

გარდამავალი მართლმსაჯულების პერსპექტივები საქართველოში

თებერვალი 2017



გარეკანზე: თბილისი, საქართველო,
2012 წლის სექტემბერი.

სტუდენტების დემონსტრაცია გლდანის ციხესთან
პატიმართა მიმართ განხორციელებული წამების
კადრების გამოქვეყნების შემდეგ.

© ლევან ხერხეულიძე/ლიბერალი.

გარდამავალი მართლმსაჯულების პერსპექტივები საქართველოში

ჰოვარდ ვერნი

თებერვალი 2017

ჰოვარდ ვერნი

გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრი (“გმსც”) მადლობას უხდის ფონდ ღია საზოგადოებას ფინანსური მხარდაჭერისთვის, რამაც შესაძლებელი გახდა ამ ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევა ისევე, როგორც მისი შექმნა და გამოქვეყნება. გმსც მადლობას უხდის ყველას, ვინც დიდსულოვნად არ დაიშურა საკუთარი დრო და საქართველოში გარდამავალი მართლმსაჯულების პერსპექტივების შესახებ გაგვიზიარა საკუთარი მოსაზრებები. ავტორი ასევე მადლიერია ბესარიონ ბოხაშვილის, გიორგი ბურჯანაძის და გიორგი ჩიტაძის, მათი კომენტარების და ზოგადად კვლევაში შეტანილი წვლილის გამო.

გმსც-ს შესახებ

გმსც ეხმარება ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების პირისპირ აღმოჩენილ საზოგადოებებს ანგარიშვალდებულების განვითარებაში, სიმართლის ძიებაში, რეპარაციასა და სანდო ინსტიტუტების შექმნაში. დაზარალებულთა უფლებების აღდგენის და გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლის მიზნებიდან გამომდინარე შესაბამის ორგანიზაციებს ჩვენ ვეხმარებით ექსპერტული (ტექნიკური) კონსულტაციებით, პოლიტიკის ანალიზით და გარდამავალი მართლმსაჯულების მექანიზმების შედარებითი კვლევებით, რაც ასევე გულისხმობს სისხლისსამართლებრივ დევნას, რეპარაციას, სიმართლის დადგენის და მეხსიერების შენარჩუნებას, და ინსტიტუციურ რეფორმებს. დამატებით ინფორმაციისთვის იხილეთ www.ictj.org

შესავალი

მოკლე მიმოხილვა	1
1. ზოგადი კონტექსტი	3
ვარდების რევოლუციის შემდგომი განვითარება.....	3
ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა.....	4
2. 2004-2012 წლებში ადამიანის უფლებათა ძირითადი დარღვევები	7
მართლმსაჯულების ხარვეზები.....	7
არასათანადო მოპყრობა და წამება დაკავებისას.....	8
საკუთრების კონფისკაცია.....	8
3. საქართველო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ	10
4. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და შემდგომი განვითარება	11
5. 2012 წლის შემდგომი ღონისძიებები წარსულის გააზრებისთვის	12
ამნისტიის შემოღება.....	12
მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის წინადადება.....	13
რეაბილიტაცია.....	15
საკუთრების უფლების დარღვევები.....	16
სისხლის სამართალწარმოება ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ.....	16
წამებისთვის და სხვა მძიმე დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა.....	17
ფარული მიყურადება.....	18
ინსტიტუციური რეფორმები.....	19
ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია.....	21
6. გარდამავალი მართლმსაჯულების პოლიტიკა და მის მიმართ დამოკიდებულება საქართველოში	22
7. გარდამავალი მართლმსაჯულების პრიორიტეტები	25
პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება.....	25
მართლმსაჯულების ხარვეზების შესწავლა.....	26
სიმართლის დადგენა.....	26
რეპარაციები.....	27
ინსტიტუციური რეფორმა.....	28
შერიგება.....	28
სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.....	29
წინადადებები სპეციალური საგამოძიებო მექანიზმის შექმნის თაობაზე.....	29
8. დასკვნები	32
რეკომენდაციები.....	32
წარსულის და მომავლის შესახებ ეროვნული დიალოგი.....	33
დოკუმენტირების ეროვნული პროექტი.....	33
სიმართლის და ერის კონსოლიდაციის პრობლემების კომისია.....	34
ინსტიტუციური რეფორმა და შეფასება.....	36
რეპარაციის და რეაბილიტაციის უწყება.....	37
მართლმსაჯულების ხარვეზების კომპენსაცია.....	38
დამოუკიდებელი საგამოძიებო სააგენტო.....	40
თანმიმდევრობის შესახებ.....	46

აკრონიმები

COE	ევროსაბჭო
EU	ევროპის კავშირი
ECHR	ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის შესახებ ევროპული კონვენცია
ქო	ქართული ოცნება (პოლიტიკური პარტია)
გმსც	გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრი
NATO	ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OHCHR	ადამიანის უფლებათა უმაღლესი წარმომადგენლის ოფისი
ეუთო	ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია
გაერო	გართიანებული ერების ორგანიზაცია
ენმ	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (პოლიტიკური პარტია)
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები

მოკლე მიმოხილვა

საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ (1991) ყოველი ხელისუფლება ქვეყანაში ცდილობდა გამკლავებას გაბატონებულ ენდემურ კორუფციასთან, ორგანიზებულ დანაშაულთან და საზღვარზე არსებულ დავებთან, რომლებიც დროდადრო შეირალებულ კონფლიქტშიც კი გადაიზრდებოდა. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკის გზით კორუფციასთან და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ძალისხმევა ბოლოს ადამიანის უფლებების მასშტაბურ დარღვევებში გადაიზარდა. ეს დარღვევები უპირველესად გულისხმობდა პატიმრების წამებას და არასათანადო მოპყრობას, თვითნებურ დაპატიმრებას, სამართლიანი სასამართლოს გარანტიებზე უარის თქმას და ქონების კონფისკაციას.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხშირია წარსულის გაანალიზების მცდელობები. ამის გამოხატულებაა ამნისტიის შემოღება, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაცია, მაფრთლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის წინადადება, პროკურატურაში მიწის ნაკვეთების რესტიტუციის სამსახურის შექმნა და წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების წინააღმდეგ სისხლის სამართალ-წარმოების დაწყება, მაგრამ არც ერთი მათგანი არ აღმოჩნდა ეფექტიანი. შეთავაზებული მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისია კრიტიკის ობიექტი გახდა და ის მალევე დაივიწყეს. სისხლის სამართლებრივი დევნის ძალისხმევა პოლიტიკურად მოტივირებულად და სამართლიანი სასამართლოს გარანტიებს მოკლებულად ჩაითვა. არც განხორციელებულმა ინსტიტუციურმა რეფორმებმა მოიტანა სასურველი შედეგები. დაზარალებულებმა ვერც საჭირო მხარდაჭერა მიიღეს და ვერც სათანადო აღიარება.

2015 წლის ბოლოსთვის ფონდმა „ღია საზოგადოება - საქართველომ“ გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრის წარმომდგენლები მოიწვია საქართველოში, რათა შეეფასებინა თუ რამდენად ხელსაყრელია ამჟამად არსებული პირობები წარსულის სერიოზული შესწავლისთვის და გარდამავალი მართლმსაჯულების არსებითი ღონისძიებების გატარებისათვის, რაც ხელს შეუწყობს წარსული კონფლიქტების და ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევების გააზრებას. *გმსგ-მა* ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ჩაატარა ინტერვიუები და მათთან განიხილა რიგი საკითხები.¹

გამოკითხულებმა პირველ რიგში წარსულის შეფასებისას ერთიანი მიდგომების არარსებობა აღნიშნეს. ამავე დროს, მათ ხაზი გაუსვეს პოლიტიკური ნების არარსებობას, როგორც შემაფერხებელ გარემოებას და აღნიშნეს, რომ დაზარალებულთა წრის და ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების გამოკლებით, მოსახლეობის უმეტესობა წარსულის უსამართლობაზე ყურადღების გამახვილების ნაცვლად უპირატესობას ეკონომიკურ კეთილდღეობას ანიჭებს. ამის მიუხედავად წამების და საკუთრების უფლების დარღვევის მსხვერპლთა მხრიდან არ წყდება საკუთრების რესტიტუციის, იგივე დარღვევების განმეორების აღკვეთისა და ინსტიტუციური რეფორმებისთვის ბრძოლა.

ამ კვლევის და დასკვნების საფუძველზე წინამდებარე ანგარიში აფასებს გარდამავალი

¹ მისიის წევრები - ჰოვარდ ჰარვი და პატრიკ პირსი.

მართლმსაჯულების პერსპექტივებს საქართველოში და ამ კონტექსტში იძლევა გარკვეულ რეკომენდაციებს.

ეს შეფასება *გმსც-ის* მიერ საქართველოში ჩატარებული მსგავსი შეფასებიდან 7 წლის შემდეგ ხორციელდება.² 2009 წელს *გმსც-მა* თავი შეიკავა გარდამავალი მართლმსაჯულების ფორმალური ნაბიჯების გადადგმის რეკომენდაციისგან, რადგან ამ ეტაპზე არსებული პირობები არ იყო ხელსაყრელი. ეს ანგარიში შეიცავს რეკომენდაციებს გარკვეული ზომებთან დაკავშირებით, რაზეც უნდა იმსჯელოს საქართველომ. აღნიშნული რეკომენდაციები *გმსც-მა* იმ მოსაზრებით მოამზადა, რომ შესაძლოა პირობები არ იყოს იდეალური საქართველოში, მაგრამ აღნიშნული ზომების დაყოვნება ზიანის მომტანი იქნება ქვეყნისთვის. მართლაც, *გმსც* თვლის, რომ წარსულის შეფასებისათვის დადგა კონკრეტული და გააზრებული ნაბიჯების დრო, რაც რეფორმების და ერის კონსოლიდაციის საქმეში გარკვეული წვლილს შეიტანს.

რეკომენდაციები გულისხმობს:

- პირველი ნაბიჯის სახით საქართველოს წარსულსა და მომავალზე ეროვნული დიალოგის გამართვას, წარსულის ხარვეზების დაძლევის და მომავლის შენების შესაძლებლობების დადგენის პროცესის თანხლებით;
- ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების დიკუმენტაციისთვის ძალისხმევას გაწევას წარსულში არსებული უფლებების დარღვევის შესახებ მონაცემების შეგროვების მიზნით, რათა მოხდეს შესაბამისი მექანიზმების საშუალებით კომპენსაციისა და ანგარიშვალდებულების დაკისრებისათვის ინფორმაციის მოგროვება და ხელშეწყობა.
- პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით სიმართლის დადგენის და ერის კონსოლიდაციის კომისიის შექმნის შესაძლებლობის განხილვას, რომელიც შედარებით მოკლევადიანი პერიოდით იარსებებს, რათა გამოიძიოს კონფლიქტების და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამომწვევი მიზეზები და მოამზადოს რეკომენდაციები მათი განმეორების აღსაკვეთად.
- სისხლის სამართლის საქმეების გადახედვისთვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნას, რომლის საქმიანობაც შესაბამისობაში იქნება ვენეციის კომისიის მიერ გაცხადებულ სტანდარტებთან, და რომელიც განახორციელებს მართლმსაჯულების სავარაუდო ხარვეზების შემოწმებას და ყოველი ინდივიდუალური შემთხვევისთვის რეკომენდაციების შემუშავებას შესაძლო ხელახალი სასამართლო განხილვის ან შეწყალების თაობაზე.
- კომპეტენტური და კარგად აღჭურვილი „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის“ შექმნას, რომელიც დაცული იქნება პოლიტიკური ზემოქმედებისგან. შინაარსობრივი იურისდიქცია უნდა შეიცავდეს როგორც საჯარო პირების მიერ ჩადენილ, ასევე სხვა დანაშაულსაც, რომელიც შეიძლება რეზონანსულად ჩაითვალოს საზოგადოებაზე მისი გავლენის ან მისგან მომდინარე საფრთხის გათვალისწინებით. დროებითი მანდატი უნდა მოიცავდეს როგორც წარსულ, ასევე მომავალ შემთხვევებს, რომლებიც ექცევა მექანიზმის შინაარსობრივი იურისდიქციის ფარგლებში.
- სხვადასხვა ინსტიტუციურ რეფორმებს, რომლებიც ზემოთ შეთავაზებულ, პრობლემური საკითხების შესახებ სიმართლის დადგენის კომისიის რეკომენდაციებს და დასკვნებს დაეფუძნება.
- დაზარალებულების გამოვლენის მიზნით დამოუკიდებელი უწყების ან მექანიზმის შექმნას; საქართველოსთვის ყოველისმომცველი კომპენსაციის პროგრამის ჩამოყალიბებას და მის იმპლემენტაციას.

² მაგდალენა ფრიიოვა, *გმსც*, „გარდამავალი მართლმსაჯულება და კონფლიქტები საქართველოში: სიჩუმის დარღვევა“ 2009 წლის მაისი, www.ictj.org/sites/default/files/ICTJ-Georgia-Breaking-Silence-2009-English.pdf

1. ზოგადი კონტექსტი

საბჭოთა კავშირის კოლაფსის და 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ, ქვეყანამ სამოქალაქო ომი და აჯანყება გადაიტანა, რის შედეგადაც პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია 1992 წლის იანვარში ქვეყანიდან გაიქცა. სამხედრო გადატრიალებამ ახლადშექმნილი სახელმწიფოს საბჭოს სათავეში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე მოიყვანა. 1990 წლის დასაწყისში საქართველო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან სეპარატისტულ კონფლიქტში აღმოჩნდა ჩართული, რომლებიც 1992 და 1994 წლებში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებებით დასრულდა. ამის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის საფუძველზე ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს.

90-იანების მეორე ნახევარში შევარდნაძის მთავრობა ცდილობდა ფართოდ გავრცელებულ ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლას. შევარდნაძემ სცადა სტრატეგიული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით დასავლეთთან დაახლოება და ამის მეშვეობით ქვეყნის რუსეთის ფინანსური და ენერგეტიკული დამოკიდებულებისგან განთავისუფლება, მაგრამ თითქმის მთელი საჯარო სფერო მოცული იყო სისტემური კორუფციით და ნეპოტიზმით. სახელმწიფო ინსტიტუტები იყო იყო სუსტი და მყიფე და არ არსებობდა მათი რეფორმირების პოლიტიკური ნება. დაბალი ხელფასები და პენსია კი, კორუფციასა და ნეპოტიზმთან ერთად, რიგითი მოქალაქეების ყოფას კიდევ უფრო ამძიმებდა.

ვარდების რეკოლუციის შემდგომი განვითარება

2003 წლის ნოემბერში, მმართველი პარტიის სასარგებლოდ საყოველთაო გაყალბებით დადგასმული საპარლამენტო არჩევნებით გამოწვეულმა სახალხო დემონსტრაციებმა გამოიწვია პრეზიდენტის გადადგომა და ევრეთ წოდებული ვარდების რეკოლუცია. ახალმა არჩევნებმა 2004 წლის იანვარში ძალაუფლებაში მიხიელ სააკაშვილი მოიყვანა, ხოლო იმავე წლის მარტში შეიქმნა ახალი საპარლამენტო უმრავლესობა.

ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლისას სააკაშვილის მთავრობამ ცვლილებები შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში და სამართალდამცავი ორგანოების არსებითი რეფორმები განახორციელა. ეს რეფორმები გულისხმობდა „KTB“-ს³ ყაიდაზე მოწყობილი უშიშროების სამინისტროს ისევე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს (შს) და საგზაო პოლიციის გაუქმებას, რომლებსაც მოსახლეობა „დისფუნქციური სახელმწიფოს“⁴ სიმბოლოებად აღიქვამდა. ამ უწყებების ყველა თანამშრომელი დაითხოვეს და ახალი შსს და საპატრულო პოლიცია შეიქმნა, გამოცხადდა კრიმინალის და კორუფციის მიმართ „ნულოვანი ტოლერანტობის“⁵ პოლიტიკა. 2004 წლის

3 “KTB” არის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რუსული აკრონიმი, რომელიც 1954 წლიდან 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამდე, საბჭოთა კავშირის უსაფრთხოების ძირითად უწყებას წარმოადგენდა.

4 მეთუ დევილინი, „რეფორმების დაწყების მომენტის შეჩერება: საქართველოს პოლიციის გარდაქმნა, 2004-2006,“ ინოვაცია წარმატებული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის, 2010, 1, https://successfultsocieties.princeton.edu/sites/successfultsocieties/files/Policy_Note_ID126.pdf.

5 იქვე.

საკონსტიტუციო ცვლილებებით მოხდა მნიშვნელოვანი ძალაუფლების კონსოლიდაცია ხელისუფლების აღმასრულებელ შტოში, განსაკუთრებით სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებით. ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის უფლებებით აღიჭურვა, რამაც მას მოსამართლეების დანიშვნის და მოხსნის უფლება მიანიჭა.⁶

ახალმა ხელისუფლებამ თავის რიგებში დასავლური განათლებით აღჭურვილი, ამბციური განვითარების პროგრამის მქონე ახალგაზრდა რეფორმატორები გააერთიანა. ახლადარჩეული პრეზიდენტი და მთავრობა უპირატესობას მასშტაბურ კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლას ანიჭებდნენ ისევე, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ეკონომიკის ლიბერალიზაციას და სახელმწიფო ინსტიტუციების გაძლიერებას. შედეგებიც დაუყონებლივ გამოჩნდა. დიდი ნაბიჯი გადაიდგა საყოველთაო კორუფციის აღმოფხვრის საქმეში. იზრდებოდა ქვეყნის პერსპექტივების რწმენა და სახელმწიფო ხაზინა ივსებოდა ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ზრდასთან ერთად. მსოფლიო ბანკმა საქართველო კორუფციასთან და ნეპოტიზმთან ბრძოლაში ლიდერად აღიარა.⁷

ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა

2009 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ორგანიზებული კრიმინალის წინააღმდეგ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა გამოაცხადა. საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში რიგი ცვლილებები შეიტანა. პირველ რიგში ე.წ. „კანონიერი ქურდების“ ინსტიტუტი და მასთან ასოცირებული ყოველგვარი ორგანიზებული კრიმინალი აიკრძალა და ამგვარი დანაშაულისთვის მკაცრი საპატიმრო სასჯელები განისაზღვრა.⁸ 2014 წელს ევროპის ადამიანის უფლებების სასამართლომ გადაწყვეტილებაში Ashlarba v. Georgia დაადგინა, რომ მართალია დანაშაულებრივი საქმიანობა არ იყო ზუსტად განსაზღვრული, მაგრამ ის ევროპის ადამიანის უფლებების ქარტიის მინც არ ეწინააღმდეგებოდა, რადგან ადვილად განსაჯვრეტი იყო, რომ ის კრიმინალურ ქმედებას წარმოადგენდა.⁹

ასეთმა მიდგომამ საქართველოში კრიმინალის მასშტაბები საგრძნობლად შეამცირა,¹⁰ რის შედეგადაც ქვეყანა უსაფრთხო ქვეყნების ათეულშიც კი მოიხსენიებოდა.¹¹ თუმცა, ავტორიტარიზმის ზრდასთან ერთად ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას მოყვა დიდი რაოდენობით დაპატიმრებები და ძალაუფლების გადამეტების შემთხვევები. 2011 წელს ქვეყნის პენიტენციური დაწესებულებებში აღირიცხებოდა პატიმრების მაქსიმალური რაოდენობა – 24,114.¹² საქართველოს სასამართლოები წინასწარი პატიმრობის შესახებ პროკურორების თითქმის ყველა შუამდგომლობას აკმაყოფილებდნენ. 2006 და 2008 წლებში სასამართლოების მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ შუამდგომლობაზე თანხმობა შემთხვევების 90 პროცენტს

6 იხ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, 73-ე მუხლის პირველი პუნქტი, მიღებული 1995 წლის აგვისტოში, იმავე წლის თებერვლის შესწორებით იხ. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/13294>. იხ. კარლო გოდოლაძე, „საკონსტიტუციო ცვლილებები საქართველოში: სამართლებრივი ასპექტები“, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმოხილვა 443 (2013).

7 მსოფლიო ბანკი, კორუფციასთან ბრძოლა საჯარო სამსახურში: საქართველოს რეფორმების ქრონიკა, 2012.

8 გევიზ სლეიდი და სხვ. „სისხლის სამართლის დანაშაული და გადაჭარბებული სასჯელი: ადამიანის უფლებების დარღვევის დომინირება და მისი მიზეზები საქართველოს ციხეებში“, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, 2014, იხ. www.osgf.ge/files/2015/Publication/Final_Report_ENG.pdf

9 პალატის გადაწყვეტილება, [2014] [2014] ECHR 775, 45554/08 – სამართლებრივი შეჯამება, [2014] ECHR 884, [2014] ECHR 962: <http://swarb.co.uk/ashlarba-v-georgia-echr-15-jul-2014-4/>

10 აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველო 2014 დანაშაულისა და უსაფრთხოების შესახებ ანგარიში, 2014,

11 Agenda ge, „საქართველო: ცხოვრება ათ ყველაზე უსაფრთხო სახელმწიფოს შორის მყოფ ქვეყანაში“, 7, 2014, <http://agenda.ge/news/17480/eng>

12 იხ. საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის სისხლის სამართლის სტატისტიკა, იხ. ვებგვერდი <http://geostat.ge/index.php?action=page&id=602&lang=eng>

აღემატება.¹³ 2013 წლიდან წინასწარი პატიმრობის რიცხვმა იწყო კლება და საერთო შემთხვევების 65% ნაკლები შეადგინა, რაც მიანიშნებს, რომ მოსამართლეები წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ შუამდგომლობების დაკმაყოფილებისას მისი აუცილებლობის შესახებ მსჯელობდნენ და პროკურორების ნებას ბრმად აღარ ემორჩილებოდნენ.¹⁴

მართალია, ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ხალხის ფართო წრეების მოწონებით სარგებლობდა, ის ბოლოს ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევებში, სამართლიანი სასამართლო პროცესის და ხელისუფლების დანაწილების დოქტრინის უგულვებელყოფაში გადაიზარდა. ძალთა ურთიერთშეპირისპირებისა და გაწონასწორების სუსტი სისტემა ნიშნავდა, რომ მწირი შესაძლებლობა არსებობდა საქართველოს ხელისუფლებაში ავტორიტარული ტენდენციების შესაზღუდად.¹⁵

სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ მისმა მმართველობამ ხალხის ნდობა დაკარგა. „პარტიკულარისტული“ საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ნეპოტიზმმა საბოლოოდ გამოუთხარა ძირი გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. მმართველი ელიტა კრიტიკის მიმართ სულ უფრო ნაკლებად შემწყნარებელი ხდებოდა.¹⁶ სააკაშვილის ადმინისტრაცია ადამიანის უფლებებთან შედარებით უპირატესობას ძლიერ სახელმწიფოს ანიჭებდა. ძლიერი სახელმწიფო უშიშროების სექტორის საფუძველზე ძლიერი სახელმწიფო შექმნა სააკაშვილის მთავრობას საშინაო და საგარეო გამოწვევებზე ყველაზე მისაღებ პასუხად ეჩვენებოდა. ამან სახელმწიფო შტოების ურთიერთდაბალანსების პრინციპის უგულვებელყოფა გამოიწვია; მთავრობა ხისტ, ცენტრალიზებულ ინსტიტუტად იქცა, ხოლო პარლამენტის ფუნქცია დაკნინდა.¹⁷

ხელისუფლების უარი ყურად ეღო ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების მოთხოვნები 2007 წლის პროტესტების საფუძველად იქცა, რასაც ხელისუფლების ძალისმიერი რეაქცია მოჰყვა. ამ პროცესებმა, იმედი ტვ-ის დარბევასთან ერთად, რაც საშინაო და საერთაშორისო კრიტიკის საფუძველი გახდა, სააკაშვილს გადადგომა აიძულა. ახალი სახელისუფლო მანდატის ძიებაში ის ვადამდელი არჩევნების შედეგად 2008 წლის იანვარში კვლავ ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს.

2008 წელს სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით რუსეთთან მოკლე მაგრამ წარუმატებელმა კონფლიქტმა ქვეყანა სერიოზულად დააზარალა, რამაც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი გამოიწვია და ისედაც მრავალრიცხოვანი დევნილების რაოდენობა კიდევ რამდენიმე თაასით გაზარდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ თვეებში ოპოზიციის მხრიდან სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დემოკრატიის მდგომარეობისა და ომის და მისი კატასტროფული შედეგების კრიტიკა გაძლიერდა.

ოპოზიური პარტიები, ე.წ. სახალხო კრების თაოსნობით, 2009 წლის აპრილში დაწყებული ყოველდღიური აქციებით წარუმატებლად მოითხოვდნენ სააკაშვილის გადადგომას. მათი ძირითადი მოთხოვნა იყო ხელისუფლების ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, ასევე გამოხატვის არსებითი თავისუფლება, სასამართლოს დამოუკი-

13 ივონა ბიბერი და სხვ. „წინასწარი დაკავების ინსტიტუტის რეფორმირების ხელშეწყობა ცენტრალური ევროპის და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში – კარგი პრაქტიკის გაცნობა,“ უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი, 2013, იხილეთ http://helsinki.hu/wp-content/uploads/Pre-trial_detention_in_CEE-FSU_countries.pdf

14 აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, საზღვარგარეთის ქვეყნების უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, „2014 წლის ადამიანის უფლებების ანგარიში, საქართველო,“ 2015.

15 გეგინ სლეიდი და სხვ. „სისხლის სამართლის დანაშაული და გადაჭარბებული სასჯელი.“

16 საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, „საქართველო: დაღმასვლა ავტორიტარიზმისკენ?“, ევროპის ანგარიში N. 189, დეკემბერი, 19 2007.

17 იქვე.

დებლობა, კორუფციის აღმოფხვრა, საარჩევნო კოდექსის რეფორმა და საპრეზიდენტო ძალაუფლების შეზღუდვა.¹⁸

მართალია 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით ეუთოს ანგარიშში ნათქვამია, რომ „არჩევნებმა ეუთოს და ევროპის საბჭოს დემოკრატიზაციის სტანდარტებთან შესატყვისობის მიმართულებით პროგრესი აჩვენა,“ თუმცა იმავდროულად გამოითქვა წუხილი ხელისუფლების კანდიდატების მიერ ადმინისტრაციული რესურსებით ბოროტად სარგებლობის პრაქტიკასთან დაკავშირებით.¹⁹

2011 წლის მაისში სახალხო კრებამ თბილისში ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია მოაწყო, რომელიც ძალით დაშალეს საქართველოს უშიშროების ძალებმა, რასაც მსხვერპლი ახლდა. ჭარბი ძალის გამოყენება დაგმეს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა გამოძიების საფუძველზე სამსახურიდან დათხოვნილი იქნა ან დისციპლინური სასჯელი დაეკისრა 16 პოლიციელს.²⁰

18 ჯიმ ნიკოლი, „საქართველოს რესპუბლიკა: განვითარება და აშშ-ს ინტერესი, ივნისი, 2013.

19 იქვე.

20 გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი წარმომადგენელი, სპეციალური წარმომადგენლის ანგარიში, მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებისა და გაერთიანების უფლებების შესახებ, მინა კიკი, მივლინება საქართველოში, (A/HRC/20/27), ივნისი 2012 წელი.

2. 2004-2012 წლებში ადამიანის უფლებათა ძირითადი დარღვევები

მართლმსაჯულების ხარვეზები

კორუფციასთან ბრძოლის პროცესში სისხლის სამართლის სისტემაში სახელმწიფო ბრალდების ინსტიტუტები დომინირებდა და მორჩილ სასამართლო ხელისუფლებას საკუთარ ნებას კარნახობდა. 2008-2012 წლებში სასამართლოებმა გაიზიარეს წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ შუამდგომლობა საქმეთა 90%-ში.²¹ მაგ. 2009 და 2010 წლებში სასამართლოს მიერ განხილულ საქმეთა 0.1%-ზე ნაკლები დასრულდა გამამართლებელი განაჩენით.²²

2011 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო მსოფლიოში სულ მოსახლეზე პატიმართა მაჩვენებლით მე-4 იყო - 100 000 ადამიანზე 547 პატიმრით.²³ საპროცესო შეთანხმების სისტემის მასშტაბურმა ბოროტად გამოყენებამ წარმოშვა არანორმალურად მაღალი გამამტყუნებელი განაჩენების მაჩვენებელი, რადგან ბრალდებულებს არ სურდათ ნაკლებად მიმზიდველ საპატიმრო პირობებში სრული ვადის მოხდა, საპროცესო შეთანხმება კი, როგორც წესი, ფულადი ჯარიმის დაკისრებით სრულდებოდა. სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის პროცესების სამართლიანობა საეჭვოდ მიჩნდათ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცავ ორგანიზაციებს, ისევე როგორც ევროსაბჭოს და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს.²⁴

სასამართლოს გადაწყვეტილებები იშვიათად იყო სათანადოდ დასაბუთებული.²⁵ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე დაფუძნებული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობდა არა-საბიუჯეტო ფონდებისთვის დიდი ოდენობით თანხის „შეწირვას“ ციხისთვის თავის არიდების მიზნით, ყოველდღიურობად იქცა.²⁶ ეს კანონდარღვევები შეეხო მრავალ ადამიანს, რიგითი დანაშაულისთვის ბრალდებულებით დაწყებული, ელისუფლების პოლიტიკური ოპონენტებით დასრულებული, რომლებიც პოლიტიკური მიზეზებით იდევნებოდნენ.²⁷

21 კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის: ალკვეთის ღონისძიებების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში: კანონმდებლობის და პრაქტიკის კვლევა. იხ. http://coalition.ge/files/preventive_measures_2012_ge.pdf (უკანასკნელი წვდომა 8. აგვისტო 2016)

22 საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, “საპროცესო შეთანხმება საქართველოში- შეთანხმებული სამართალი” დეკემბერი, 2010 წელი, http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20-%20Negotiated%20Justice%20-%20GEO%20%28%29.pdf

23 როი ვოლმსლი, პატიმართა შესწავლის საერთაშორისო ცენტრი, მსოფლიო პატიმართა პოპულაცია“ (მეცხრე გამოცემა), 2011
24 იხ. მაგალითად ფრიდომ ჰაუსი, ერი გარდამავალ პროცესში: საქართველო (2012); თომას ჰამერბერგის ანგარიში, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი, მისი ვიზიტი საქართველოში 18-20 აპრილი 2011, ევროპის საბჭო, 30 ივნისი, 2011; აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, დემოკრატიის ბიურო, ადამიანის უფლებები და შრომა, „ქვეყნის ანგარიში ადამიანის უფლებათა პრაქტიკების შესახებ, 2012 წლისათვის: საქართველო,“ 2012.

25 იქვე.

26 გევინ სლეიდი, დანაშაული და გადაჭარბებული სასჯელი.

27 იქვე.

არასათანადო მოპყრობა და წამება დაკავებისას

საკაშვილის ადმინისტრაციის დროს ციხეების მასობრივი გადატვირთულობის ფონზე წამების და არასათანადო მოპყრობის შესახებ ათასობით საჩივარი დაიწერა. გამოუცდელი და გადატვირთული პოლიციის და საპატიმროების თანამშრომლები აცხადებდნენ, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ დისციპლინის შენარჩუნების და ალიარებითი ჩვენების მოსაპოვებლად წამებისთვის მიემართათ²⁸ და ეს პრაქტიკა მისაღები იყო მმართველობის უმაღლეს რანგებში.²⁹ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისთვის გასამართლებული 1200 პატიმრის და ყოფილი პატიმრის ინტერვიუებზე დაფუძნებული ანგარიშის თანახმად, რომელიც ფონდმა ღია საზოგადოებამ მოამზადა საქართველოში, წამებას სისტემური ხასიათი ჰქონდა და იგი სახელმწიფო პოლიტიკის სახეს იღებდა.³⁰

2012 წლის ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებად რამდენიმე დღით ადრე, საქართველოს საზოგადოება შოკირებული დარჩა საქართველოს N8 საპყრობილეს პატიმართა სასტიკი მოპყრობის სატელევიზიო კადრების ნახვის შემდეგ. მამაკაცი პატიმრების ცემის და ცოცხის ტარით გაუპატიურების ვიდეო კადრების ჩვენებამ რამდენიმე დღიანი პროტესტი და შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების მინისტრების გადადგომა გამოიწვია.³¹ კადრებმა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებული საგანგაშო მდგომარეობა გამოაშკარავა, რაზეც საკუთარ წლიურ ანგარიშებში³² საქართველოს სახალხო დამცველი მუდმივად საუბრობდა.³³ ეს სკანდალი 2012 წელს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის არჩევნებში დამარცხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად დასახელდა.³⁴

საკუთრების კონფისკაცია

მრავალი ბიზნესმენი აცხადებდა, რომ ენმ-ის მთავრობის თანამდებობის პირებმა მათ თვითნებურად ჩამოართვეს საკუთრება. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ანგარიშის თანახმად ხელისუფლება სისხლის სამართალწარმოების გზით ქონების ჩამორთმევას ბიზნესზე გეგმიურად იყენებდა.³⁵ დაანგარიშების თანახმად, თანამდებობის პირებმა, სხვა და სხვა მეთოდებით, მესაკუთრებს დაახლოებით 100 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ქონება და მიწა ჩამოართვეს.³⁶ 2012 წელს, სახალხო დამცველმა დაადასტურა, რომ ხშირი იყო ქონების უკანონო ჩამორთმევის შემთხვევები.³⁷ ასევე ხელისუფლებას ხშირად სდებდნენ ბრალს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრაქტიკა, რაც გამოიხატებოდა ბიზნესის მესა-

28 ინტერვიუ ნიკა ჯივრანაშვილთან, ადამიანის უფლებათა პროგრამის მენეჯერი, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო".

29 გევინ სლეიდი (Gavin Slade), დანაშაული და არათანაზომიერი სასჯელი.

30 იქვე.

31 გიორგი ლომსაძე, „საქართველო: ციხეში წამების ჩვენება იწვევს ცვლილებებს, მაგრამ რამდენად ღრმა ცვლილებებს?“, 24 სექტემბერი, 2012, <http://www.eurasianet.org/node/65948>

32 საქართველოს სახალხო დამცველი, საპარლამენტო ანგარიშები <http://ombudsman.ge/ge/reports/saparlameto-angarishebi>

33 სახალხო დამცველის (ომბუდსმენი) ოფისი შეიქმნა 1997 წელს, 1996 წელს მიღებული „სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს კანონის“ საფუძველზე. ომბუდსმენის ამოცანას საქართველოში ადამიანის უფლებების და თავისუფლების მისი იურისდიქციის ფარგლებში ზედამხედველობა და მონიტორინგი წარმოადგენს. ოფისი საქართველოს მთავრობას ასევე აძლევს რჩევებს საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით ადამიანის უფლებათა დაცვისთვის საჭირო ნაბიჯების შესახებ, და ადამიანის უფლებათა საკითხებზე სხვა საგანმანათლებლო აქტივობებს ახორციელებს. იხ. „საქართველოს სახალხო დამცველის (ომბუდსმენი) ფუნქციები“ www.ombudsman.ge/en/public-defender/mandati

34 იხილეთ, მაგალითად, საიმონ შუსტერი, „შიგნიდან დანახული საპატიმრო, რომელმაც დაამარცხა პრეზიდენტი: როგორც წავაო საქართველოს სააკაშვილმა საკუთარი არჩევნები“, TIME, 2 ოქტომბერი, 2012; CNN, „CNN, საქართველოს მმართველი პარტია ალიარებს საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებას“, 3 ოქტომბერი, 2012.

35 ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის ცენტრი, „ელიტური კორუფციის და ბიზნესზე სახელმწიფო გეგმიური შემთხვევების აღმოჩენა“ 2012, 13-14 http://eprc.ge/admin/editor/uploads/files/Broshura_korufcia_200x260mm_WEB.pdf

36 აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, დემოკრატიის ბიურო, ადამიანის უფლებები და შრომა, „ქვეყნის ანგარიში ადამიანის უფლებათა პრაქტიკების შესახებ, 2012 წლისთვის: საქართველო“, 2013.

37 იქვე.

კუთრების იძულებაში მიწა ხელოვნურად დაბალ ფასად გაეყიდათ ან მთავრობის-თვის უსასყიდლოდ გადაეცათ. ხშირად ეს კეთდებოდა სხვა საქმეში ხელსაყრელი მოპყრობის, მათ შორის (კანონიერი თუ უკანონო) სისხლის სამართლის ბრალდების მოხსნის სანაცვლოდ.³⁸

ბევრი საჩივარი მომზადდა ყოფილი ადმინისტრაციის წინააღმდეგ, ადმინისტრაციის მიერ ექსპროპრიაციის უფლების (სახელმწიფოს უფლება ჩამოართვას ქონება კერძო მესაკუთრეს საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის სათანადო კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ) არასათანადოდ გამოყენებისთვის, არაგონივრულად დაბალი ფასის სანაცვლოდ ქონების ხელში ჩაგდებისთვის. მთავრობის სასარგებლოდ ღირებული კერძო საკუთრების მიტოვების ან ჩუქების მრავალი დოკუმენტურად დადასტურებული შემთხვევაა, განსაკუთრებით ქონების ეკონომიკის სამინისტროს გადაცემის შემთხვევები ძირითადად ტურისტულ ადგილებში, როგორცაა შავი ზღვის სანაპირო.³⁹ 2004-2012 წლებში „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ გამოავლინა კომპანიებისა და კერძო პირების მიერ ღირებული მიწის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ ან სიმბოლური ფასად - 1 ლარად (60 ცენტი) გადაცემის შემთხვევები.⁴⁰ როგორც ირკვევა, თითქმის ყველა ამ შემთხვევაში მოქალაქეებმა ზეწოლის ქვეშ თქვეს საკუთარ ქონებაზე უარი.⁴¹

დაანგარიშების თანახმად, თანამდებობის პირებმა, სხვა და სხვა მეთოდებით, მესაკუთრეებს დაახლოებით 100 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ქონება და მიწა ჩამოართვეს. ასევე ხელისუფლებას ხშირად სდებდნენ ბრალს სახელმწიფო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრაქტიკა, რაც გამოიხატებოდა ბიზნესის მესაკუთრეების იძულებაში მიწა ხელოვნურად დაბალ ფასად გაეყიდათ ან მთავრობისთვის უსასყიდლოდ გადაეცათ. ხშირად ეს კეთდებოდა სხვა საქმეში ხელსაყრელი მოპყრობის, მათ შორის (კანონიერი თუ უკანონო) სისხლის სამართლის ბრალდების მოხსნის სანაცვლოდ.

38 ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზის ცენტრი, „ეკონომიკური კორუფციისა და ბიზნესზე სახელმწიფო ზეწოლის შემთხვევების აღმოჩენა“ 2012.

39 მწვანე ალტერნატივა „საკუთრების დაუცველი უფლება საქართველოში, მესამე ანგარიში“ 2012 წლის მარტი.

40 საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ნებაყოფლობითი საჩუქარი თუ სახელმწიფო „რეკეტი“ 2008-2012 წლები“, 7 მაისი, 2013.

41 იქვე.

3. საქართველო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ

2012 წელს საპარლამენტო არჩევნებში პარტია „ქართულმა ოცნებამ“, ცნობილი ბიზნეს-მენშენის ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა კოალიციამ გაიმარჯვა. ეს მოხდა ხელისუფლების ენერგიული მცდელობების მიუხედავად, რაც მან ივანიშვილის კანდიდატურის არჩევნიდან მოხსნისთვის გასწია,⁴² ივანიშვილისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევის და მისი საკაბელო და სატელიტური ტელეკომპანიის „გლობალ ტვ“-ს სახელმწიფო მმართველობაში გადაცემის ჩათვლით. ეუთომ და ევროსაბჭომ არჩევნები თავისუფალ, სამართლიან და ხალხის ნების გამომხატველად მიიჩნიეს. აღინიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ეს იყო პირველი მშვიდობიანი ძალაუფლების გადაცემა.⁴³

ივანიშვილი გახდა პრემიერი და მისმა მთავრობამ დაუყოვნებლივ დაიწყო პარლამენტის ძალაუფლების გაზრდის მიზნით კონსტიტუციის ცვლილების პროცესი. კონსტიტუციის ცვლილების მიზნით კონსტიტუციური კანონის პროექტის მომზადებისთვის 2013 წლის ოქტომბერში შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რაც „საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ დადგენილები“ საფუძველზე მოხდა.⁴⁴

სხვა პრიორიტეტებს კი სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზაცია, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების დადება, ევროპის კავშირსა და NATO-ში ინტეგრაცია, ქართულ პროდუქტებზე დაწესებული ემბარგოს მოხსნისთვის და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ტერიტორიების რეინტეგრაციისთვის რუსეთთან დიალოგის დაწყება, სიღარიბის შემცირება და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მრავალი მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირი, მათ შორის 46 გამგებელი და 24 საკრებულოს თავმჯდომარე შეიცვალა.⁴⁵ შედეგად ყოფილმა მმართველმა პარტიამ – ენმ-მა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე უმრავლესობა დაკარგა.⁴⁶

ეს ყველაფერი წარსულის სიღრმისეული შესწავლის და, შესაბამისად, სიღრმისეული რეფორმების გარეშე განხორციელდა. ქართული ოცნების კამპანიის ძირითადი სლოგანი იყო პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაულისთვის, საკუთრების ჩამორთმევის და ციხეებში არასათანადო მოპყრობისთვის „გაის აღდგენა“. მართალია ზოგიერთი ყოფილი ლიდერი და თანამდებობის პირი გაასამართლეს, თუმცა წამყვანი ბიზნეს ორგანიზაციის მიხედვით, სხვა მხრივ წარსულის გააზრებისათვის ცოტა რამ გაკეთდა.⁴⁷

42 ჯიმ ნიკოლი, „საქართველო: უახლესი მოვლენები და აშშ-ს ინტერესები“, 21 ივნისი, 2013.

43 ეუთო, „საქართველო, საპარლამენტო არჩევნები, საბოლოო ანგარიში“, 1 ოქტომბერი, 2012 ივ. www.osce.org/odihr/98399

44 სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, „ჩვენს შესახებ“ ვებგვერდი, <http://constcommission.parliament.ge/en/about>

45 სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, „თვითმმართველობებში განხორციელებული საკადრო ცვლილებების, საპროტესტო აქციების და თვითმმართველობის მოხელეთა მიმართ განხორციელებული სამართლებრივი დევნის არჩევნების შედეგში პროცესის მონიტორინგი“ მეორე ანგარიში, 2013 წლის 12 თებერვალი.

46 იქვე.

47 ინტერვიუ ბიზნესის და ეკონომიკის ცენტრის თამაზდომარესთან და აღმასრულებელ დირექტორთან არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

4. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და შემდგომი განვითარება

2013 წლის ოქტომბერში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება ხმათა 62%-ით ქართული ოცნების კანდიდატმა, გიორგი მარგველაშვილმა მოიპოვა. შედეგებმა ქართული ოცნების, როგორც პარტიის კონსოლიდაცია გამოიწვია, რომელიც პრეზიდენტს და საპარლამენტო უმრავლესობას აკონტროლებს.⁴⁸ მარგველაშვილის პრეზიდენტად ინაუგურაცია კონსტიტუციური ცვლილებების ამოქმედებას ნიშნავდა, რომლითაც პრეზიდენტის ძალაუფლება მნიშვნელოვნად შემცირდა და მისი ძალაუფლების ნაწილი პრემიერ-მინისტრს გადაეცა.⁴⁹

2013 წლი ნოემბერში პრემიერ მინისტრის თანამდებობა ირაკლი ლარიბაშვილმა დაიკავა, რომელმაც ივანიშვილი შეცვალა, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა თანამდებობა ნებაყოფლობით დატოვა. ოპოზიცია და სამოქალაქო საზოგადოება ივანიშვილს მისი არაფორმალური მმართველობის სტილის გამო აკრიტიკებდა.⁵⁰ თუმცა მმართველობის და ეკონომიკის მიმართ განსხვავებული მოდგომების გამო 2014 წელს ქართულ ოცნებასა და მარგველაშვილს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რამაც ქართული ოცნების და მისი ლიდერებისგან პრეზიდენტის დისტანცირება გამოიწვია.⁵¹

სამწუხაროდ, ქართული ოცნების ადმინისტრაციაში ძალაუფლების ბოროტად გამოყენების დამკვიდრებული პრაქტიკა გრძელდება, რაც დაკავების დროს წამებას და არასათანადო მოპყრობას და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გადაშენების მავნე პრაქტიკას გულისხმობს.⁵² პროკურორები ბევრად ნაკლებ ნებას იჩენენ თანამდებობაზე მყოფი პირების საქმის გამოძიებისთვის, ვიდრე ყოფილი თანამდებობის პირების საქმის გამოძიებისთვის.⁵³ წამების და არასათანადო მოპყრობის შესახებ მრავალი საჩივრის მიუხედავად 2015 წელს არასათანადო მოპყრობის გამო ციხის მხოლოდ 4 თანამდებობის პირის მიმართ განხორციელდა სისხლის სამართლის დევნა.⁵⁴ სისხლის სამართლის დევნის პრიორიტეტების ეს ცხადი დისპროპორცია, პროცესულ დარღვევებთან ერთად, ბადებს ეჭვს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სისხლის სამართლის დევნის მიზანს მხოლოდ სააკაშვილის ადმინისტრაციის დისკრედიტაცია წარმოადგენს.⁵⁵

48 ჯიმ ნიკოლი, „საქართველოს 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები: შედეგები და იმპლიკაციები“, კონგრესის კვლევითი სამსახური, 4 ნოემბერი, 2013.

49 საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკონსტიტუციო კანონი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1080890>
50 ალექსანდრე სკრივინერი, „საქართველოს პარალამენტი: ბეჭდით მექანიკური დადასტურების დასასრული?“ პოლიტიკის ქართული ინსტიტუტი, მარტი, 2016.

51 ლიზ ფულერი, „ქართველი პრეზიდენტი გამყოფ ფიგურად რჩება“, რადიო თავისუფალი ევროპა, 23 თებერვალი, 2016.

52 ტომას ჰამმერბერგი, საქართველო გარდამავალ ეტაპზე: ანგარიში ადამიანის უფლებათა განზომილების შესახებ: კონტექსტი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები,“ ევროპის კავშირი, 2013 წლის სექტემბერი. ასევე იხილეთ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, “2015 ადამიანის უფლებათა ანგარიში: საქართველო,” www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/2015/eur/252849.htm

53 იქვე.

54 იქვე.

55 ჯონათან პოპიანევი, “რეტრიბუცია და სამართლის უზენაესობა: მართლმსაჯულების პოლიტიკა საქართველოში,“ ცენტრალური აზიის და კავკასიის ინსტიტუტი, ივნისი 2015, <http://silkradstudies.org/resources/pdf/SilkRoadPapers/2015-popjanevski-retribution-and-the-rule-of-law-the-politics-of-justice-in-georgia.pdf>

5. 2012 წლის შემდგომი ღონისძიებები წარსულის გააზრებისთვის

ამნისტიის შემოღება

2012 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე წამების ამსახველი კადრების გავრცელების და სამართლიანი სასამართლოს გარანტიების დარღვევების შესახებ საჩივრების მოზღვავეების გამო, ახალი ხელისუფლება ამ გამოწვევებზე სწრაფი და ეფექტიანი პასუხის გაცემის აუცილებლობის მიძიმე წინხის ქვეშ აღმოჩნდა. ბევრმა ადამიანმა ახალ ხელისუფლებას საჩივრით მიმართა, სადაც ამტკიცებდნენ რომ პატიმრობაში მხოლოდ პოლიტიკური მიზეზების გამო იმყოფებოდნენ.⁵⁶ თუმცა, თავიდანვე არ იყო ცხადი, რომელი საქმეები იყო უკანონო და რომელი – მართლზომიერი. საპროცესო შეთანხმების დადების პრაქტიკა და გადაწყვეტილებებში საქმის დეტალების სიმწირე ნიშნავდა, რომ გამამტყუნებელი გადაწყვეტილებების გადახედვისთვის საკმარისი საფუძველი არ არსებობდა.⁵⁷

ამ კონტექსტში არჩევანი ორ გადაწყვეტილებას შორის მერყეობდა – ამნისტია ან შეწყალება. სხვა ქვეყნების უმრავლესობის მსგავსად, საქართველოში პრეზიდენტს აქვს კონსტიტუციით განსაზღვრული შეწყალების პრეროგატივა. ამნისტია, მეორე მხრივ, როგორც წესი, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიიღება და ის განსაზღვრულ ჯგუფს და არა კონკრეტულ ინდივიდს ეხება.

ამნისტიის შესახებ კანონის მიღების საბოლოო გადაწყვეტილება პოლიტიკური იყო, რადგან სააკაშვილი კიდევ ერთი წელი პრეზიდენტად რჩებოდა და ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ ის მისი მთავრობის მიერ დაპატიმრებულ ადამიანებს შეიწყალებდა. დამატებით, ბევრი ადამიანს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ უკანონო პატიმრობაში იყვნენ, თითქოს არ სურდათ შეწყალების შესახებ განცხადების დაწერა, რადგან ეს ბრალის აღიარებას ნიშნავდა.⁵⁸

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის პარლამენტის კომიტეტმა „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საკითხების შემსწავლისათვის სპეციალური სამუშაო ჯგუფი“ შექმნა. ჯგუფში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შედიოდნენ; ზოგიერთ შემთხვევაში ამ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პოლიტიკურ პატიმრად მისაჩინვე ადამიანების სახელობითი სიები წარადგინეს. წინადადებების მიღების შემდეგ ჯგუფმა პოლიტიკური პატიმრების სია განსაზღვრა. კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრა, თუ რომელი საქმეები იყო პოლიტიკური, საჯაროდ ცნობილი არ გამხდარა.⁵⁹

56 გევი სლეიდი, დანაშაული და გადამეტებული სასჯელი.

57 ბესარიონ ბოხაშვილი, „საქართველო“, ეფექტიანი სისხლის სამართლებრივი დაცვა აღმოსავლეთ ევროპაში, ედ კეიპის და ზაზა ნამორაძის რედაქტირებით. (სოროსის ფონდი, მოლდოვა, 2012), www.opensocietyfoundations.org/reports/effective-criminal-defence-eastern-europe

58 ვენეციის კომისია, „მოსაზრება პოლიტიკური პატიმრების ამნისტიის საქართველოს კანონის დებულებების შესახებ, მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ 94-ე პლენარულ სესიაზე“, 8-9 მარტი, 2013

59 იქვე.

არჩევნებიდან ორი თვის შემდეგ 2012 წლის დეკემბერში, პარლამენტმა მიიღო დადგენილება და „პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულად“ 190 ადამიანი, ხოლო „პოლიტიკური ნიშნით დევნილად“ 4 ადამიანი დაასახელა და დაადგინა, რომ მათი პასუხისმგებლობისგან და ნებისმიერი სახის სასჯელისგან განთავისუფლებისთვის ზომებს მიიღებდა.⁶⁰ ციხეებში არასათანადო მოპყრობის შესახებ გავრცელებული ბრალდებების საპასუხოდ მმართველმა კოალიციამ 2012 წლის 28 დეკემბერს დაიწყო ფართომასშტაბიანი ამნისტია.⁶¹ ამნისტიის შედეგად ციხეებში მოსახლეობის რაოდენობა არსებითად შემცირდა, 2011 წელს 24 114 პატიმრიდან 2013 წელს 9093 პატიმრამდე.⁶²

ამნისტიის კანონის შესახებ თავის მოსაზრებაში ვენეციის კომისიამ⁶³ დაასკვნა, რომ პარლამენტის მიერ ამნისტიის გამოცხადება განსაზღვრულ სამართლის უზენაესობის ფუნდამენტურ პრინციპებს უნდა შეესაბამებოდეს, კერძოდ იგი უნდა შეესაბამებოდეს: კანონიერების (გამჭვირვალობის ჩათვლით), თვითნებობის აკრძალვის, დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვის და კანონის წინაშე თანასწორობას მოთხოვნებს. სხვა ხარვეზებთან ერთად, ვენეციის კომისიამ აღნიშნა რომ, კანონმა ვერ შეძლო „პოლიტიკური პატიმრის“ ცნების განმარტება, თვითნებური აღსრულების საფუძველი გახდა. კომისიამ აღნიშნა, რომ „ამნისტიის შესახებ კანონის 24-ე მუხლი აღნიშნულ პრინციპებს არ შეესაბამება. ამის მიუხედავად გათავისუფლებული პატიმრების ციხეში დაბრუნება, უდავოდ, სამართლის განსაზღვრულობის და სისხლის სამართალში უკუძალის აკრძალვის პრინციპების საწინააღმდეგო იქნებოდა.“⁶⁴

რადგან იმგვარი პატიმრებიც არსებობდნენ, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი სასჯელი პოლიტიკურად იყო მოტივირებული, კომისიამ, დამატებით, გაუწია რეკომენდაცია, ამ საქმეების გადახედვისათვის გარკვეული მექანიზმის ამოქმედებას, რომელიც ამნისტიის კანონთან დაკავშირებით მის მოსაზრებებში ჩამოყალიბებულ პრინციპებთან იქნებოდა შესატყვისობაში.⁶⁵ ამ რეკომენდაციის განხორციელება ცადეს გ მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის მეშვეობით, მაგრამ როგორც შემდგომი მსჯელობისას გამოჩნდება, ამ წინადადებას კომისიის მხრიდან მძიმე კრიტიკა მოჰყვა.

პოლიტიკურ პატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ადამიანების ნასამართლობა გაქარწყლდა, სხვა გათავისუფლებული ადამიანების ნასამართლობა კი - არა, მიუხედავად მათი მტკიცებისა, რომ ადგილი ქონდა სამართლიანი სასამართლოს უფლებების უხეში დარღვევებს. ზოგიერთმა პოლიტიკურმა პატიმარმა გათავისუფლებამდე მიიღო ბოდიშის წერილი იუსტიციის სამინისტროსგან, მაგრამ ჩვეულებრივი დანაშაულებისთვის უკანონოდ მსჯავრდებულ ადამიანებს არც კონკრეტული აღიარება და არც ბოდიში მიუღიათ.⁶⁶

მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისიის შექმნის წინადადება

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ახლმა მთავრობამ მოამზადა არა-სასამართლო, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი

60 სივილ ჯორჯია, “პარლამენტმა 215 ადამიანი პოლიტიკურ პატიმრად და დევნილად აღიარა,” 5 დეკემბერი, 2012, www.civil.ge/eng/article.php?id=25519&search=

61 ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონი, 28 დეკემბერი, 2012, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1819020>

62 სისხლის სამართლის პოლიტიკის კვლევის ინსტიტუტი, ანგარიში “მსოფლიო საპატიმროების შესახებ: საქართველო,” www.prisonstudies.org/country/georgia (უკანასკნელი ვედრომა 15 აგვისტო, 2016)

63 სამართლის საშუალებით დემოკრატიის განმტკიცების ევროპული კომისიის (ცნობილი, როგორც “ვენეციის კომისია”) ამოგანას სახელმწიფოებისთვის სამართლებრივი მოსაზრებების სახით საკანონმდებლო პროექტებზე ან ძალაში შესული კანონის შესახებ არა-სავალდებულო სამართლებრივი რჩევების შეთავაზება წარმოადგენს, რომლებიც მათ გაცნობის თხოვნით ეგზავნებათ. ის ასევე აწარმოებს კვლევებს და აქვეყნებს ანგარიშებს გარკვეულ არსებით საკითხებზე, www.venice.coe.int/WebForms/pages/?p=01_activities

64 ვენეციის კომისია, “მოსაზრება“

65 იქვე, აბზაცი 59.

66 ინტერვიუ წამების მსხვერპლთა ფსიქოლოგიური და სამედიცინო რეაბილიტაციის ქართული ცენტრის აღმასრულებელ დირექტორთან ლელა ცისკარიშვილთან.

(3 წლიანი) კომისიის შექმნის თაობაზე კანონპროექტი. მისი მიზანი იყო კანონიერების და სამართლიანობის აღდგენა ათასობით საქართველოს მოქალაქის ისევე, როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქის და მოქალაქეობის არმქონე პირისთვის, რომლებიც უკანონოდ ან/და დაუსაბუთებლად იქნენ მსჯავრდებულნი.⁶⁷

შემოთავაზებულ კომისიას უნდა მოეხდინა იმ ადამიანების მსჯავრდების გადახედვა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მათი მსჯავრდება მართლმსაჯულების ხარვეზის საფუძველზე მოხდა და კომისიას უნდა გადაეწყვიტა მსჯავრდების გაუქმების ან მისი ძალაში დატოვების საკითხი.⁶⁸ მართლმსაჯულების ხარვეზის განსაზღვრება მტკიცებულების განსაზღვრულ სტანდარტებთან შეუსაბამობას ან პროცესუალური უფლებების არსებითი დარღვევების შემთხვევებს გულისხმობდა, რამაც არსებითი გავლენა იქონია საქმის შედეგზე ან თუკი მსჯავრდება იმგვარი საპროცესო შეთანხმების შედეგი იყო, სადაც მოსამართლემ „ამკარად უგულებელყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული დებულებები“.⁶⁹ კანონის პროექტი ასევე ავალდებდა კომისიას „მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაშვებული ხარვეზების გამომწვევი სისტემური მიზეზების თაობაზე მოსაზრებების ჩამოყალიბებას და საკუთარი მოსაზრებების საქართველოს პარალმენტისთვის და მართლმსაჯულების სისტემაში შემავალი სახელმწიფო ორგანოებისთვის წარდგენას, ასევე მათი აღმოფხვრის და მომავალში მათი თავიდან აცილების შესახებ რეკომენდაციების შემუშავებას.“⁷⁰

პოლიტიკურ პატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ადამიანების ნასამართლობა გაქარწყლდა, სხვა გათავისუფლებული ადამიანების ნასამართლობა კი - არა, მიუხედავად მათი მტკიცებისა, რომ ადგილი ქონდა სამართლიანი სასამართლოს უფლებების უხეში დარღვევებს. ზოგიერთმა პოლიტიკურმა პატიმარმა გათავისუფლებამდე მიიღო ბოდიშის წერილი იუსტიციის სამინისტროსგან, მაგრამ ჩვეულებრივი დანაშაულებისთვის უკანონოდ მსჯავრდებულ ადამიანებს არც კონკრეტული აღიარება და არც ბოდიში მიუღიათ.

აღნიშნული კანონპროექტის თაობაზე საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბების თხოვნით იუსტიციის მინისტრმა ვენეციის კომისიას და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგად დირექტორატს მიმართა. კომისიის თანახმად, თვით არა-სასამართლო ორგანოს მიერ მართლმსაჯულების

აღნიშნული კანონპროექტის თაობაზე საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბების თხოვნით იუსტიციის მინისტრმა ვენეციის კომისიას და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგად დირექტორატს მიმართა. კომისიის თანახმად, თვით არა-სასამართლო ორგანოს მიერ მართლმსაჯულების

ხარვეზების შესაძლო შემთხვევების მასობრივი შესწავლის პროცესის იდეა შემხებლობაში მოდიოდა ხელისუფლების დანაწილების დოქტრინასა და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან, რასაც საქართველოს კონსტიტუცია იცავს.⁷¹

ვენეციის კომისიამ ასევე დაასკვნა, რომ სასამართლო ხელისუფლების ფუნდამენტური რეფორმის გარეშე საქმეების ხელახლა შესწავლა არ იქნებოდა საკმარისი და ასეთი ღონისძიებები სასამართლო ხელისუფლების ფართემასშტაბიანი რეფორმის პარალელურად უნდა ხორციელდებოდა, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის წინაპირობა გახდებოდა. და ბოლოს, კომისიამ მიიჩნია, რომ სა-

67 ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის და ევროსაბჭოს სამართლის და ადამიანის ღირსების დირექტორატის და ადამიანის უფლებათა და სამართლის უზენაესობის დირექტორატის ერთობლივი დასკვნისთვის წარდგენილი მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის კანონის პროექტი, მოსაზრება N 728/2013(მიღებულია 17 ივნისს, 2013).

68 იქვე.

69 იქვე 8.

70 კანონის პროექტი მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ (ქართულ ენაზე, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1924705>

71 ვენეციის კომისია, “ვენეციის კომისიის და ევროპის საბჭოს მართლმსაჯულებისა და ადამიანის ღირსების დირექტორატის და ადამიანის უფლებათა დაცვის და სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი დირექტორატის ერთობლივი მოსაზრება მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შესახებ.“ მიღებულია ვენეციის კომისიის 95-ე პლენარულ სესიაზე (ვენეცია, 14-15 ივნისი, 2013) ბატონების ნიკოლაე ესანუს (წევრი, მოლდოვა) ჯეიმს ჰემილტონის (შემცვლელი წევრი, ირლანდია) და ანხელ სანჩეს ნავაროს (შემცვლელი წევრი, ესპანეთი) და ქალბატონ ჯეინ ქრისტინანსენის (ექსპერტი) კომენტარების საფუძველზე.

მართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი შესაძლოა შელახულიყო ისეთი ღონისძიების მიღებით, რომელიც შეიძლება პოლიტიკურად მოტივირებულად მიეჩნიათ.⁷² თუმცა, მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი მექანიზმის იდეა კომისიამ სრულად არ დაიწუნა და ინიცირებული კანონის ევროპული სტანდარტების შესაბამისად დახვეწის-თვის დეტალური რეკომენდაციები შეიმუშავა.⁷³ კომისიამ ასევე ევროპაში არსებული მსგავსი, მაგრამ უფრო შესაბამისი კომისიების მაგალითები მოიყვანა.⁷⁴

კომისიის მიმართ გამოთქმულ კრიტიკასთან ერთად ვერც შეთავაზებული მექანიზმის დროით ჩარჩოზე შეთანხმდნენ პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები. ნაწილი უახლესი წარსულის მომცველ მანდატს ემხრობოდა, ხოლო ნაწილს უფრო ხანგრძლივი მანდატი სურდა, 1990-იანი წლების ჩათვლით.⁷⁵ საბოლოოდ მთავრობამ დაასკვნა, რომ დამრალბულების კომპენსაციისთვის ფინანსური რესურსები არ იყო საკმარისი და ეს ინიციატივა თაროზე შემოდეს.⁷⁶

ზოგი თვლის, რომ მართლმსაჯულების ხარვეზების გამოსწორების პროცესზე სახელმწიფომ საბოლოოდ თქვა უარი.⁷⁷ თუმცა მთავრობა, როგორც ჩანს, მზადაა განიხილოს ისეთი ვარიანტები, რაც მსხვილი კომპენსაციის გადახდას აარიდებს. როგორც აღნიშნავენ, პრემიერ-მინისტრმა საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა მრჩეველ მაიქლ ობრაიენს კომპენსაციის იმგვარი მოდელების მოძიება სთხოვა, რომელიც საქართველოსთვის ხელმისაწვდომი იქნება.⁷⁸

რეაბილიტაცია

საქართველოს მთავრობამ ცოტა რამ გააკეთა დაზარალებულთა კომპენსაციის საქმეში. მას აქვს რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც ფსიქოსოციალურ მომსახურებასაც გულისხმობს, ზოგადად ყველა სახის პატიმრებისთვის.⁷⁹

მთავრობა მათ გაუმჯობესებაზე მუშაობს ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოების ზოგადი ჩარჩოს ფარგლებში. მაგალითად იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა დანაშაულის პრევენციის და რეინტეგრაციის და დაზარალებული პატიმრების რეაბილიტაციის ცენტრი.⁸⁰ თუმცა საზოგადოების ნაწილი ფიქრობს, რომ რამდენიმე უწყების ერთობლივ პროექტად განხორციელების შემთხვევაში ის უფრო ეფექტიანი იქნებოდა.⁸¹ საპატიმროში წამების მსხვერპლთათვის სარეაბილიტაციო მომსახურების არარსებობის გამართლების მცდელობისას სწორედ ამ პროგრამებზე მიუთითებდა მთავრობა, მაგალითად ევროპის საბჭოს წამების შესახებ ანგარიშის ფორმალურ პასუხში.⁸² თუმცა გამოცდილება აჩვენებს, რომ წამების მსხვერპლს აქვს რეაბილიტაციის მოთხოვნილება, რომელიც ჩვეულებრივი პატიმრების რეაბილიტაციის მოთხოვნილებისგან განსხვავდება და რომელზე სათანადო რეაგირება შეუძლებელია ზოგადი სარეაბილიტაციო მომსახურების ფარგლებში.

72 ვენეციის კომისია, “ვენეციის კომისიის და ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების და ადამიანის ღირსების დირექტორატის და ადამიანის უფლებათა დაცვის და სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი დირექტორატის ერთობლივი მოსაზრება მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის საქართველოს კანონის პროექტის შესახებ.“ მოსაზრება N 728/2013 (მიღებულია 17 ივნისს, 2013)

73 იქვე.

74 იქვე.

75 ინტერვიუ 42 მუხლის აღმასრულებელ დირექტორ და მისი გამგეობის წევრ ნინო ელბაქიძესთან.

76 იქვე.

77 ინტერვიუ მისიის ხელმძღვანელ ქრისტინა ურესთან და „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ხელშეწყობის“ ევროკავშირის და ევროსაბჭოს ერთობლივი პროექტის უფროს ოფიცერ სოფო წაქაძესთან.

78 ინტერვიუ ადამიანის უფლებათა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ მინისტრის თანაშემწე სოფო ჯაფარიძესთან.

79 ევროპის საბჭო, „სისხლის სამართლის სისტემის პასუხი ციხეთა გადატვირთულობაზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში,“ 2016, 206-210.

80 იქვე, 209.

81 ინტერვიუ ლელა ცისკარიშვილთან

82 ევროსაბჭო, „საქართველოს მთავრობის პასუხი წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის ევროპის კომიტეტისადმი, კომიტეტის 1-11 დეკემბრის ვიზიტის დროს საქართველოში, 2014“ წამების პრევენციის კომიტეტი (CPT/Inf) 2015, 43, 15 დეკემბერი, 2015

საკუთრების უფლების დარღვევა

საკუთრებასთან დაკავშირებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე რეაგირებისათვის საქართველოს პროკურატურაში შეიქმნა მიწის რესტიტუციის სპეციალური დეპარტამენტი. 2015 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილებამ განსაზღვრა, რომ მოქალაქეებს უნდა დაუბრუნდეთ უკანონოდ ჩამორთმეული ქონება, თუკი ამჟამად ის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ქონებას წარმოადგენს.⁸³ ბრძანების მიღებიდან ცხრა თვეში 21 საქმე გაიხსნა, რომელშიც 18 დამნაშავე და 24 მსხვერპლი გამოვლინდა.⁸⁴ ამ ეტაპზე ქვეყანაში არ არსებობს არც მიწის კომისია, არც მიწის სასამართლო.⁸⁵

სისხლის სამართლის სამართალწარმოება ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ

საქართველოს შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2014 წლის ანგარიშის თანახმად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სისხლისსამართლის დევნის განმახორციელებელმა ორგანოებმა ბრალი ყოფილი მთავრობის 45 საშუალო და მაღალი თანამდებობის პირს წაუყენეს,⁸⁶ მათ შორის სააკაშვილს; მერაბიშვილს; ოპოზიციური პარტიის, ენმ-ის გენერალურ მდივანს; ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს, თავდაცვის, იუსტიციის და ჯანმრთელობის მინისტრებს; დეპარტამენტების უფროსებს; თბილისის ყოფილ მერს. მათ ბრალი სხვა და სხვა დანაშაულისთვის წარედგინათ, მათ შორისაა მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლა, სახელმწიფო ქონების მითვისება, ფულის გათეთრება, შანტაჟი, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და პირადი ცხოვრების ხელყოფა. ამ საქმეებიდან 15 მაღალი თანამდებობის პირებს ეხებოდა, აქედან 4-ს ბრალი წამებასა და ფიზიკურ ძალადობაში ედებოდა.⁸⁷

2015 წელს სააკაშვილს და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს ასევე ბრალი წარედგინათ 2007 წლის საპროტესტო აქციების დაშლის და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრის დროს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის. 2015 წელსვე გაგრძელდა წინა ადმინისტრაციის დროს სამართალდამცავი საქმიანობის პროცესში ხელისუფლების ბოროტად გამოყენების საქმეებზე სისხლის სამართლის დევნა. ამავე წელს გასამართლდა პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე 2006 წელს ჩადენილი უკანონო სიცოცხლის მოსპობისთვის. 2015 წლის თებერვალში დააკავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს 11 ყოფილი და მოქმედი თანამდებობის პირი ადამიანის უფლებათა აქტივისტის მკვლელობაში მონაწილეობისთვის.⁸⁸

NATO-ს გენერალური მდივანი, ევროპის კავშირის კომისიის პრეზიდენტი და აშშ-ს სახელმწიფო მდივანი, სხვებთან ერთად, ქართული ოცნების მთავრობას ადანაშაულებდნენ ენმ-ის წევრების პოლიტიკურ დევნაში. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ანსამბლემ 2014 და 2015 წლებში მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გაკრიტიკებულია ენმ-ის მაღალი თანამდებობის პირების მიმართ წინასწარი დაკავების აღმკვეთი ღონისძიების ბოროტად გამოყენება. საფრანგეთის, საბერძნეთის და ავსტრიის სასამართლებმა პოლიტიკური დევნის საფუძვლით უარი განაცხადეს მაღალი თანამდებობის პირების ექსტრადიციის მოთხოვნაზე. ინტერპოლმა წითელი ცირკულარიდან ამოიღო

83 საქართველოს მინისტრის, 13 თებერვლის N 62 ბრძანება <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2728207>

84 ინტერვიუ მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი ჯოგაძესთან და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროს ნათია მეზვრიშვილთან; მთავარი პროკურატურის საერთაშორისო თანამშრომლობის სამსახურის უფროს გივი ბაღდავაძესთან.

85 ინტერვიუ სასამართლო მონიტორინგის და იურიდიული დახმარების პროგრამის პროექტის მენეჯერ ვია გვილაშასთან, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო.

86 აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, „2014 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიში: საქართველო“ 2015, www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/2014/eur/236526.htm

87 იქვე.

88 აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, დემოკრატიის ბიურო, ადამიანის უფლებები და შრომა, „ქვეყნის ანგარიში ადამიანის უფლებათა პრაქტიკების შესახებ, 2015 წლისათვის: საქართველო“, www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/humanrightsreport/#wrapper

საკავშილო, იუსტიციის ყოფილი მინისტრი ადგილობრივი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი კეზერაშვილი.⁸⁹

ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტმა შეშფოთება გამოთქვა გამოძიების ტემპობის და მოუკიდებლობის თაობაზე, რომელსაც იგივე სამინისტრო აწარმოებს, სადაც ბრალდებული მუშაობდა, და გამოძიების დროს პროცედურული დარღვევების შესახებ მიუთითა, მათ შორის „მტკიცებულებათა შეგროვების და შენახვის გაჭიანურებაზე, მოწმეების არდაკითხვასა და გამოძიების სისხლის სამართლის კოდექსის არასათანადო მუხლით დაწყებაზე“.⁹⁰

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2014 და 2015 წლებში მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გაკრიტიკებულია ენმ-ის მაღალი თანამდებობის პირების მიმართ წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენების ფაქტები.⁹¹ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Merabishvili v. Georgia* დაადგინა, რომ საქართველომ დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი (უფლებათა შეზღუდვების გამოყენების ფარგლები) მე-5 მუხლის 1 პუნქტთან ერთად (თავისუფლების აღკვეთა).⁹²

წამებისთვის და სხვა მძიმე დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა

პროკურორები ამტკიცებენ, რომ 2012 წლის შემდეგ საქართველოს პროკურატურის ოფისმა 10.000-ზე მეტი საჩივარი მიიღო სახელმწიფო თანამდებობის პირების მიმართ ძალაუფლების გადამატების, მათ შორის ძალადობრივი დანაშაულის შესახებ.⁹³ ამ მაღალი ციფრის გამო პროკურატურის ოფისი იძულებული იყო განესაზღვრა პრიორიტეტები და უპირატესობა საკუთრების უკანონო კონფისკაციის, უკანონო ან დაუსაბუთებელი სისხლის სამართალწარმოების და წამების ან ფიზიკური შეურაცხყოფის საქმეებისთვის მიენიჭებინა, რომლებიც ჩადენილი იყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ, მათ შორის ციხის თანამშრომლების მიერ.⁹⁴ ამ პრიორიტეტების მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს ადანაშაულებდნენ წამებაში დამნაშავე პირების მიმართ ბრალის შერჩევით წარდგენაში.⁹⁵

ივანიშვილის ადმინისტრაციამ წამებისთვის 2013 წელს არაერთი ციხის და პოლიციის თანამშრომელი გაასამართლა.⁹⁶ თუმცა, მათ მინიმალური საქციები დაეკისრათ, რომლებიც არც ეროვნული და არც საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს შეესაბამებოდა, ისევე როგორც ვერ პასუხობდა საზოგადოების მოლოდინებს. ბევრი პროცესუალური პრობლემა, რომელმაც ძველ საქმეებში მართლმსაჯულების ხარვეზები გამოიწვია, ამ საქმეებშიც გამოვლიდა, მათ შორის საპროცესო შეთანხმებების ხარვეზები, რომლის შედეგიც არსებითად მსუბუქი სასჯელები იყო.⁹⁷ მეტიც, წინა ხელისუფლების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრაქტიკაში ჩაბმული გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ თანამდებობრივი საქმიანობის გაგრძელებამ, ჩრდილი სისხლისსამართლებრივი დევნის მცდელობების ეფექტიანობას მიაყენა.⁹⁸ მცირე სასჯე-

89 იქვე.

90 ევროსაბჭო, „საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილი წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის ევროპის კომიტეტის ვიზიტის ანგარიში საქართველოში“ 2014 წლის 1-11 დეკემბერი, 2015 წლის 15 დეკემბერი, 6.

91 2015 წლის რეზოლუცია: საქართველოში დემოკრატიული ინტიტუტების მუშაობა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, მუხლი 5.4 (1 ოქტომბერი 2014) და რეზოლუცია 2077: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მხარეების მიერ წინასწარი დაკავების ბოროტად გამოყენება, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, მუხლი 7.2 (1 ოქტომბერი, 2015)

92 App. No(s). 72508/13, გადაწყვეტილება მიღებულია 14 ივნისს, 2016, [http://hudoc.echr.coe.int/eng#{"fulltext":\["merabishvili"\],"documentcollectionid":\["GRANDCHAMBER"\],"chamber":\["CHAMBER"\],"itemid":\["001-163671"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{)

93 ინტერვიუ გორგი გოგაძესთან, ნათია მებღვრიშვილთან და გივი ბაღდაძესთან.

94 იქვე.

95 ცირა ტანტურია, „წამებასთან ბრძოლა, საქართველოს ერთი დეკადის გამოწვევა“, ფონდი „ლია საზოგადოება - საქართველო“, მაისი 2015, www.osgf.ge/files/2015/Publication/EU-Georgia%20Association%20Angarishi_A4_2.pdf

96 იქვე.

97 იქვე.

98 იქვე.

ლების და საპროცესო შეთანხმებების პრაქტიკის დომინირების გამო, საზოგადოების ბევრმა წევრმა სისხლის სამართლის დევნის ეს პროცესი მიიჩნია პოლიტიკურად მოტივირებულად და არა პასუხისმგებლობის დაკისრების, მნიშვნელოვანი პროცესის ნაწილად.⁹⁹ ასევე გამოითქვა შეშფოთება, რომ ჯერაც არ დაწყებულა წამების პრაქტიკის სულისჩამდგმელების მიმართ გამოძიება და მართლმსაჯულების წინაშე ისინი ჯერ არ წამდგარან.¹⁰⁰ წინა ხელისუფლების მომხრეები წამების მასშტაბებს და მართლმსაჯულების ხარვეზებს მტკიცედ უარყოფენ.¹⁰¹

მართალია, საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ წარმატებული სისხლის სამართლის დევნის დაწყება უკვე დაგვიანებულია. თუმცა უნდა აღინიშნოს ბოლო დროს წამების და წარსულში ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევების პრიორიტეტად ქცევისთვის გაღებული ძალისხმევა.¹⁰² 2015 წელს სახელმწიფო პროკურატურის ოფისში შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი, რომელიც წარსულში და აწმყოში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულს, ცემას და წამებას იძიებს.¹⁰³ ეს დეპარტამენტი 10 გამოძიებლის, 4 პროკურორის და 4 დაზარალებულის და მოწმეთა კოორდინატორისგან შედგება.¹⁰⁴ მთავარი პროკურორის მოადგილის, გიორგი გოგაძის განცხადებით 2015 წლის ბოლოსთვის მრავალ ადამიანს, მათ შორის მაღალი თანამდებობის პირებს, ბრალი ან უკვე წარუდგინეს ან მათ საქმიანობაზე გამოძიება დაიწყო.¹⁰⁵ თუმცა, ეს განცხადება, როგორც არაზუსტი, მაღევე კრიტიკის ობიექტად იქცა.¹⁰⁶

ფარული მიყურადება

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან ცოტა ხნის შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ სამალავიდან 26.000 აუდიო და ვიდეო ჩანაწერი ამოიღო, რომლებიც 2007 წელს სასამართლოს ნებართვის გარეშე განხორციელებული მრავალი პოლიტიკოსის, ჟურნალისტის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის და მოქალაქეების შეხვედრების და საუბრების ჩანაწერებს შეიცავდა.¹⁰⁷ ეს იყო სავარაუდოდ შანტაჟის მიზნით ჩაწერილი პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები.¹⁰⁸ დააკავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს 12 თანამდებობის პირი და მათ ბრალი წარუდგინეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და უკანონო მიყურადებაში.¹⁰⁹

ჩანაწერების მიმართ პოლიტიკის გამოყალიბების მიზნით 2013 წლის ივნისში ხელისუფლებამ მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან შექმნა უკანონო ჩანაწერების და ფარული მიყურადების დროებითი კომისია, რომელიც ზედამხედველობას უწევდა როგორც წესი სექსუალური ბუნების, პირადი აუდიო და ვიდეო ჩანაწერების, განადგურების პროცესს.¹¹⁰

99 ინტერვიუ არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

100 ინტერვიუ ბესარიონ ბოხაშვილთან, პროგრამის ეროვნული ოფიცერი, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი საქართველოში.

101 იქვე.

102 ინტერვიუ სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილთან, (ომბუდსმენი); სახალხო დამცველის პირველ მოადგილესთან პაატა ბელთაძესთან, სახალხო დამცველის მოადგილესთან ნათია კაციტაძესთან, სახალხო დამცველის ოფისი.

103 საქართველოს მთავრობა, „მთავარი პროკურორის ოფისში შეიქმნა სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი“, 30 იანვარი, 2015, http://pog.gov.ge/eng/news?info_id=627. იხ. Agenda.ge, „ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების მიერ 12 უკანონოდ ჩამორთმეული მანქანა მესაკუთრეებს დაუბრუნდა“, 24 სექტემბერი, 2015, <http://agenda.ge/news/43072/eng>

104 ინტერვიუ მთავარი პროკურორის მოადგილესთან, გიორგი გოგაძესთან.

105 იქვე.

106 ინტერვიუ ფონდი „ლია საზოგადოება - საქართველო“ პროგრამის მენეჯერთან, გიორგი ბურჯანაძესთან.

107 აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი, „ქვეყნის ანგარიში ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ 2013-საქართველო“ 27 თებერვალი, 2014, http://www.eoi.net/local_link/270713/387458_en.html

108 იქვე.

109 იქვე.

110 იხ.იქვე, ასევე იხილეთ: DFW, „საქართველოში მიიღო ფარული მიყურადების მკაცრი რეგულირება“, 5 აგვისტო 5, 2014, <http://bit.ly/low5Bws>; და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში: 2013-2015“, 9, ივნისი, 2015, <http://bit.ly/1BWslU50>.

პირადი ინფორმაციის დაცვა და უკანონო თვალთვალის კონტროლი ქართული ოცნების კოალიციის ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება იყო. თუმცა ახლა, მოსმენებთან დაკავშირებული კანონმდებლობის საფუძველზე, შესაძლებელია პირადი საუბრის სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩაწერა და ტელეკომუნიკაციის ყველა მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი „შავი ყუთის“ გასაღები მისცეს მთავრობას.¹¹¹ მას შემდეგ, რაც 2014 წელს რეფორმის პროცესი შეფერხდა, სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა წამოიწყეს კამპანია „ეს შენ გეხება – ისევ გვისმენენ“, რომელიც პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით კანონმდებლობის შექმნას მოითხოვდა.¹¹² ეს ჯგუფი პირადი ინფორმაციის ინსპექტორის შესახებ კანონს კრიტიკულად აფასებდა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა სარჩელით, სადაც იმ დებულებების გაუქმებას ითხოვდა, რომლის საფუძველზეც სამართალდამცავ ორგანოები ფლობენ ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიების მონაცემებზე პირდაპირ და რეალურ დროში წვდომის უფლებას.¹¹³ სარჩელი წარმატებული იყო და გასაჩივრებული ნორმები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. პარლამენტს კანონის გაუქმება და ახალი კანონმდებლობის მიღება დაევა.¹¹⁴

ინსტიტუციური რეფორმები

საქართველოში მართლმსაჯულების ხარვეზების შესწავლის და წამების გამოძიების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა საშუალო დონის იმ თანამდებობის პირების დღევანდელი სამსახურებრივი საქმიანობაა, რომლებიც ჩართულები იყვნენ სამართალდარღვევის პროცესში და დღესაც თანამდებობებზე რჩებიან. ხელისუფლების სამივე შტოს უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების არასრულყოფილი გარდაქმნის შედეგად აღმასრულებელმა შტომ სასამართლოზე და სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე არასათანადო ზეგავლენის მოპოვება მოახერხა.¹¹⁵ სისხლის სამართლის სისტემის ეტაპობრივი რეფორმების მიუხედავად, სამართალდამცველი ორგანოების მიერ ჩადენილი დანაშაულების ადეკვატური და ეფექტიანი გამოძიების არარსებობამ არსებითად წარმატებული რეფორმის პერსპექტივის ეროზია გამოიწვია.¹¹⁶

უშიშროების სექტორში ზოგიერთი რეფორმის განხორციელებას შეუდგნენ. 2015 წლის აგვისტოში, ევროკავშირის სტანდარტებთან თანხვედრის მიღწევის ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტოლის სფეროდან გამოვიდა მწვავე კრიტიკის საგნად ქცეული უშიშროების სამსახურები.¹¹⁷ ასევე დამატებითი ღონისძიებები გატარდა სახალხო დამცველის რეკომენდაციების განხორციელებისათვის, განსაკუთრებით ციხეში არსებულ პირობებთან მიმართებით.¹¹⁸

„მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის“ შეფასებისას ვენეციის კომისიამ აღნიშნა, რომ პარლამენტი არასათანადო სისხლის სამართლის სასჯელების გადახედვის ადეკვატური საშუალების პოვნას ცდილობდა, იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ „მათი შეფასებით სისხლის სამართლებრივი დევნის

111 ინტერვიუ ნიკა ჯვირანაშვილთან.

112 „ეს შენ გეხება – ისინი ისევ გვისმენენ“: ბესელია, ფოფხაძე, სესიაშვილის პროექტი სამოქალაქო თავისუფლებების დაცვისათვის უკან გადადგმული ნაბიჯია,“ 24 ნოემბერი, 2014, <https://gvla.ge/eng/news?info=2356>; და Transparency.ge, „ფარული მოსმენების ახალი კანონმდებლობიდან მომდინარე შენი პირადი ცხოვრების 9 საფრთხე“ 23 დეკემბერი, 2014, <http://transparency.ge/en/blog/nine>

113 ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „ფარული მიყურადების რეგულირება საქართველოში: ივნისი 2015–მარტი 2016,“ <https://idfi.ge/public/upload/Meri/Surveillance-Report-06-04-2016-ti.pdf>

114 ინტერვიუ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ადამიანის უფლებათა პროგრამის კორდინატორთან, გიორგი ჩიტიძესთან.

115 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „პოლიტიკური მოტივის მქონე სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი,“ 2011.

116 ინტერვიუ არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

117 ინტერვიუ რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს სამსახურის უფროსთან შალვა ხაბულიანთან; რეფორმების და განვითარების სააგენტოს დირექტორის მოადგილესთან ვალერი ლომუაშვილთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს ევრო-ატლანტიკური განყოფილების უფროსთან ნინო გახარიასთან.

118 იქვე. 2016 წლის სექტემბერში მიღებული კანონი ციხეების მდგომარეობის უფრო სრულყოფილი მონიტორინგის საშუალებას იძლევა. მსგავსად ძალაში შევიდა საპატიმროების სამედიცინო მკურნალობის სრულყოფის და სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების რეკომენდაციები.

განმახორციელებელი ორგანოები და სასამართლო თვითონ მონაწილეობდნენ მართლმსაჯულების ამ მასობრივი სავარაუდო ხარვეზების საქმეებში¹¹⁹ კომისიამ აღიარა „სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის გაძლიერებისთვის ფართომასშტაბიანი რეფორმის“ მცისიერი საჭიროება.¹²⁰ ასეთი რეფორმის გარეშე საქართველო იტრიალებს წრეზე, სადაც პოლიტიკურად მოტივირებული სისხლისსამართლებრივი დევნის ციკლს ამნისტია მოჰყვება.

მართლმსაჯულების რეფორმა საქართველოს მთავრობის რეფორმების დღის წესრიგში რჩება, რასაც ხაზს უსვამს ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია.¹²¹ სახელმწიფო პროკურატურის დამოუკიდებლობას ხელს შეუწყობს ზოგიერთი პოზიტიური პროცესი, მაგრამ საერთაშორისო დამკვირვებლები, მათ შორის ევროსაბჭო, აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი.¹²² 2015 წლის სექტემბრამდე პროკურატურა იყო აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი და მთავარ პროკურორს პრეზიდენტი ნიშნავდა. რეფორმის შედეგად მთავარ პროკურორს პროკურორებისგან შემდგარი საბჭო ირჩევს, რომელსაც პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამი კანდიდატიდან წარადგენს იუსტიციის მინისტრი.¹²³

საკაშვილის მთავრობამ პოლიციის რადიკალური და სწრაფი ლუსტრაციის პროცესი დაიწყო. თუმცა პოლიციის თანამშრომლების მასობრივი სამსახურიდან დათხოვნა ძირითადად რამდენიმე, პრეზიდენტისთვის სანდო ადამიანის შეფასებებს ეფუძნებოდა და სათანადო პროცედურები არ იყო დაცული.¹²⁴ 2004 წლის ივლისში საგზაო პოლიციის ყველა ფორმიანი თანამშრომელი დაითხოვეს და ახალი თანამშრომლებით ჩაანაცვლეს – ერთ თვეში, ბუნებრივია, მათ არასაკმარისი მომზადება ჰქონდათ გავლილი. პროცესი უფრო ადეკვატური იყო კრიმინალური პოლიციის და სხვა საგამოძიებო უწყებებში, სადაც თითოეული ადამიანის საქმე ინდივიდუალურად შეისწავლეს და მხოლოდ ხელმძღვანელები დაითხოვეს. ხარვეზების მიუხედავად რეფორმა იმ დროს წარმატებად აღიქმებოდა, რამაც „პოლიციის რეპუტაციის მნიშვნელოვანი ამაღლება განაპირობა“¹²⁵ თუმცა არასაკმარისი მომზადება თანამდებობის დაკავებამდე და დაკავების შემდეგ იყო ის მთავარი ხარვეზი, რომელმაც გავლენა იქონია ძალისხმევის გრძელვადიან მდგრადობაზე.¹²⁶ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის რომ, პროცესზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის არარსებობამ ხელი შეუწყო გარდაქმნილი შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიზებას. ასეთმა პოლიტიზებამ გამოიწვია საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენების უხეში შემთხვევები, რომლებიც აღნიშნულია ამ ანგარიშში.¹²⁷

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, რამდენიმე ასეული ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელი დაითხოვეს სამსახურიდან მათი პოლიტიკური კავშირების გამო.¹²⁸ სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო სა-

119 ვენეციის კომისია, „ვენეციის კომისიის და ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების და ადამიანის ღირსების დირექტორატის და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ზოგადი დირექტორატის ერთობლივი მოსაზრება მართლმსაჯულების ხარვეზების შესწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შესახებ.“ მოსაზრება N 728/2013 (მიღებულია 17 ივნისს, 2013)

120 იქვე, მუხლი 11.

121 საქართველოს მთავრობა, საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014–2020, მარტი 2014.

122 ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიარი, „საქართველომ უნდა განაგრძოს მოსამართლეების დამოუკიდებლობის და მიუკერძოებლობის გაძლიერება,“ 12 იანვარი, 2016.

123 Agenda.GE, „საქართველოში მთავარი პროკურორის არჩევის ახალი წესი ამოქმედდა,“ 19 ოქტომბერი, 2015, <http://agenda.ge/news/44696/eng>

124 იქვე.

125 იქვე, განსხვავებული მოსაზრებისთვის, რომლის მოხედვითაც რეფორმებმა ჯერ კიდევ უნდა შექმნან დემოკრატიული პოლიცია, იხ. ჯომეფ ბოდა და კორნელი კაკაჩია, „საქართველოში პოლიციის რეფორმის ამჟამინდელი მდგომარეობა,“ რევოლუციური რეფორმამდე: საქართველოს ბრძოლა დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნისთვის და უშიშროების სექტორის რეფორმა, ფ. ფლურის და ე. კოლის რედაქტორებით. (DCAF, ივლისი 2005) 13.

126 მეთიუ დევილინი, „რეფორმის მომენტის შეჩერება,“ 10; კაკაჩია და ბოდა, „პოლიციის რეფორმის ამჟამინდელი მდგომარეობა,“ 7.

127 ერიკა მარატი და დებორა სატონი, „საქართველოს პოლიციის რეფორმა სააკაშვილი შემდგომ ერაში“ ცენტრალური აზიისა და კავკასიის ანალიტიკოსი, 4 ივნისი, 2014, <http://cacianalyst.org/publications/analytical-articles/item/12987-reforming-georgias-police-in-the-post-saakashvili-era.html>

128 ინტერვიუ სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორ ნინო ლომჯარიასთან.

ზოგადობის თანახმად ახალ მთავრობას სურდა ეჩვენებინა, რომ ის საჯარო სექტორს ძველი მთავრობის მიერ დანიშნული, სავარაუდოდ კორუმპირებული ადამიანებისგან ასუფთავებდა. ეს პროცესი განიხილებოდა „სამართლიანობის აღდგენის“ პროგრამის ნაწილად.¹²⁹ ეს შედეგები ბევრს კორუმპირებული ელემენტებისგან განთავისუფლების კუთხით დიდ მიღწევად მიაჩნდა.¹³⁰

2013 წელს პროცესი დასრულდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დეპოლიტიზებით, რომელიც ახალი კანონის მიღებას და წევრების არჩევის ახალი მექანიზმის შემუშავებას გულისხმობდა.¹³¹ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ნომინირების პროცესში აღარ მონაწილეობენ. პროცესი ბევრად უფრო დემოკრატიულია და გადაწყვეტილებებს იღებს პარლამენტი. ცვლილებების შედეგი, როგორც ჩანს, მეტი გამჭვირვალობა და უკეთესი პროგრამების შექმნა იყო.¹³²

ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია

2013 წლის სექტემბერში, საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების და ადამიანის უფლებათა ევროპის კავშირის სპეციალურმა მრჩეველმა გამოაქვეყნა ანგარიში სათაურით: „საქართველო გარდაქმნის პროცესში“¹³³ ანგარიშში რეკომენდებულია მთავრობის მიერ ნაბიჯების გადადგმა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, ადამიანის უფლებათა გაუმჯობესების, შრომითი რეფორმის, გამჭვირვალობის გაზრდის და დაინტერესებული პირების კონსულტაციების და ელიტურ კორუფციასთან ბრძოლის ხელშეწყობისათვის.¹³⁴

ანგარიშის დასკვნების საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2014 წლის აპრილში მიიღო და რომლის შედეგიც იყო 2014 წლის ივლისში მიღებული ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა.¹³⁵ ეს 7 წლიანი სტრატეგია, რომელიც მიზნად 23 პროექტის განხორციელებას ისახავს, ინკლუზიური სამუშაო პროცესის შედეგი იყო და მის შექმნაში სახელმწიფო უწყებები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობდნენ. ადამიანის უფლებათა საბჭო უწყებათაშორისი საბჭოა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი პირადად ხელმძღვანელობს და რომელიც ყველაზე მსხვილ არასამთავრობო ორგანიზაციებს ისევე, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპის საბჭოს, ევროპის კავშირის დელეგაციას და საქართველოს სახალხო დამცველს მოიცავს. იგი სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს აწარმოებს. პრემიერ-მინისტრის ოფისში მდებარე ადამიანის უფლებათა სამდივნო პასუხისმგებელია, როგორც სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე, ისე უწყებათაშორის კორდინაციაზე.¹³⁶

საკაპშვილის მთავრობამ პოლიციის რადიკალური და სწრაფი ლუსტრაციის პროცესი დაიწყო. თუმცა პოლიციის თანამშრომლების მასობრივი სამსახურიდან დათხოვნა ძირითადად რამდენიმე, პრეზიდენტისთვის სანდო ადამიანის შეფასებებს ეფუძნებოდა და სათანადო პროცედურები არ იყო დაცული.

129 იქვე.

130 შ. დევლინი, „რეფორმის მომენტის შეჩერება“, 10; ზაქარი ფილინგჰემი „სახელმწიფოს მშენებლობა & პოლიციის რეფორმა: გაკვეთილები საქართველოდან“, გეოპოლიტიკური მონიტორი, 4 ივლისი, 2012, www.geopoliticalmonitor.com/author/zacharyfillingham/.

131 საზოგადოებრივი მაუწყებლის შესახებ საქართველოს კანონის ცვლილებები, 2013. ინტერვიუ ხატია ჯინჯიხაძესთან, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან და მედიის მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერთან.

132 იქვე.

133 თომას ჰამერბერგი, „საქართველოს გარდაქმნის პროცესში.“

134 იქვე.

135 საქართველოს ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგია, <http://yourhumanrights.ge/documents/national-human-rights-strategy-of-georgia/>; და ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმა, <http://yourhumanrights.ge/discussion/>

136 იქვე.

6. გარდამავალი მართლმსაჯულების პოლიტიკა და მის მიმართ დამოკიდებულება საქართველოში

საზოგადოების გარდამავალი მართლმსაჯულების მიმართ დამოკიდებულება პოლიტიკურ პრეფერენციებთან ერთად იცვლება. ზოგი მიიჩნევს, რომ ის პოლიტიკური ოპონენტების მიმართ პოლიტიკურად მოტივირებულ შურისძიებას წარმოადგენს.¹³⁷ საზოგადოების პრიორიტეტს წარმოადგენს არა იმდენად შურისგებაზე-დაფუძნებული მართლმსაჯულება, რამდენადაც ქონებრივი კომპენსაცია.¹³⁸ ბევრისთვის წარსული წამების მსხვერპლი კრიმინალია. ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის მხარდამჭერთა რიცხვი იყო და ახლაც საკმაოდ მაღალია.¹³⁹ გარდა ამისა, ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად ქართველებისთვის მთავარი პრიორიტეტი ეკონომიკური საკითხებია.¹⁴⁰

გარდამავალი მართლმსაჯულება სამოქალაქო საზოგადოების მთავარ ინტერესს არ წარმოადგენს. იურიდიული პროფესიის გარკვეული ორგანიზებული ნაწილისთვის გარდამავალი მართლმსაჯულება არ არის საკმარისად „სამართლებრივი“ და მკაცრად სისხლისსამართლებრივი მიდგომის თვალსაზრისით არასასურველ კომპრომისს წარმოადგენს. თუმცა ფსიქო-სოციალური და აკადემიკური სექტორების მხრიდან დიდი ინტერესი არსებობს.¹⁴¹ ზოგიერთი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აცნობიერებენ დილემას, რომ გარდამავალი მართლმსაჯულება „ქართული ოცნების თემა“ და მისი მხარდაჭერა მათ პოლიტიკურ მხარდაჭერად შეიძლება ჩაითვალოს.¹⁴²

ქართული ოცნების გამარჯვების მთავარ მიზეზად ზუსტად 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ გამოქვეყნებული წამების კადრებთან დაკავშირებული საჯარო სკანდალი და სასამართლო ხარვეზების აღმოფხვრის დაპირება ითვლება. საწყისი ნაბიჯების შემდეგ, როგორცაა პატიმრების განთავისუფლება და წარსული ძალადობის სისტემური აღმოფხვრისათვის მექანიზმის შექმნის წარუმატებელი ცდა, ხელისუფლების ძალისხმევა დამუხრუჭდა, რამაც ზოგიერთ ოპოზიურ პარტიას პოლიტიკური რიტორიკის კარგი მასალა მისცა.¹⁴³

საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ლელა ცისკარიშვილის თანახმად, ახლა

137 ინტერვიუ ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის ადგილობრივი წარმომადგენლობის დირექტორთან, ლორა თორნთონთან.

138 იქვე.

139 ინტერვიუ გაერთიანებულ ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის საქართველოს ეროვნული პროგრამის ოფიცერთან ბესარიონ ბოხაშვილთან.

140 იქვე.

141 ინტერვიუ ლელა ცისკარიშვილთან.

142 ინტერვიუ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარესთან ანა ნაცვლიშვილთან.

143 ინტერვიუ ადამიანის უფლებათა საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველთან კახა კოჟორიძესთან.

მოლოდინების შესწავლის დრო დადგა, რაც საკმაოდ „წინააღმდეგობრივ შენაერთს“ ქმნის. ის აღწერს ზოგიერთ ამგვარ შერეულ შეხედულებებს:

„აწამებდნენ ნამდვილ კრიმინალებს. ზოგიერთი მათგანი ნამდვილი მკვლეელი იყო და ციხეში წესრიგის დამყარების მიზნით აწამეს. მეორე მხრივ, აწამებდნენ სხვებსაც, თუმცა სასჯელს ისინი ნამდვილად უმნიშვნელო ბრალდების გამო იხდიდნენ. არაადამიანური პირობები იყო იმდენად თვალშისაცემი და შემზარავი, რომ სიმპათია ნამდვილად იზრდებოდა და მსხვერპლის მენტალიტეტიც კი ჩამოყალიბდა. გაჩნდა გრძნობა, იმისა რომ მათთან საზოგადოება ვალში იყო, რამაც ამ ვალის რეალიზაციის მოლოდინი თუ მოთხოვნა გააჩინა და ამ მოლოდინის გაწბილებამ მეტი აღშფოთება და დაპირისპირებები წარმოშვა.“¹⁴⁴

დასავლეთის სახელმწიფოები აკრიტიკებდნენ სისხლისსამართლებრივ დევნას, როგორც პოლიტიკურად მოტივირებულს და აღნიშნავდნენ, რომ საქართველო წარსულზე კონცენტრაციით, პოლიტიკურ კაპიტალს არ უნდა ფლანგავდეს, ყურადღებას არ უნდა ადუნებდეს იმ დროს, როდესაც ნამდვილი საფრთხე სწორედ რუსეთიდან მოდის, რაც უნდა იყოს კიდევ მთავარი საბრუნავი.¹⁴⁵ ბიზნესის და ეკონომიკის ცენტრის თავმჯდომარის არჩილ ბაკურაძის და აღმასრულებელი დირექტორის, ნათია კაციაშვილის თანახმად, შეზღუდვა, რომ „საქართველო წინ უნდა იყურებოდეს“, დამაბნეველია ქართველი ხალხისთვის. ამ კონტექსტში დასავლეთის ქვეყნები სააკაშვილის ადმინისტრაციის მფარველებად აღიქმებიან. ბაკურაძე დასძენს, რომ საქართველო მხოლოდ „წარსულის პატიოსნად დანახვით“ შეძლებს წინსვლას.¹⁴⁶

ზოგიერთი თანამოსაუბრის თანახმად დღევანდელი ხელისუფლება თავს არიდებს პასუხისმგებლობას და რეფორმებს, ნაწილობრივ იმიტომ, რომ არ დაკარგონ სამართალდამცავი ორგანოების კეთილგანწყობა.¹⁴⁷ თუმცა სხვები თვლიან, რომ ხელისუფლებას აქვს ნება, მაგრამ მან მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი კომისის შექმნაში შეყოვნების გამო იმპულსი დაკარგა და ვერ შეძლო მომავალთან დაკავშირებით ცხადი ხედვის ჩამოყალიბება.¹⁴⁸

ნებისმიერი დისკუსია რეპარაციის თაობაზე კომპენსაციის თვალსაზრისით არსებითად შეზღუდულია. ხშირად ამის მიზეზად ის სახელდება, რომ სახელმწიფოს სრული რესტიტუცია არ შეუძლია და რომ კომპენსაციის რაოდენობის განსაზღვრა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ძალიან რთული იქნებოდა. მაგალითად, არსებობს „საყოველთაოდ აღიარებული“ მოსაზრება, რომ კომპენსაციის მთელი თანხა დაახლოებით ნ მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს.¹⁴⁹

ზოგიერთმა სამოქალაქო ორგანიზაციამ, ისეთმა, როგორცაა ბიზნესის და ადამიანის უფლებათა ცენტრი, დაიწყო გარდამავალი მართლმსაჯულების შესაძლებლობების შესწავლა. ის ცდილობს შესაძლებლობების მოძებნას, რათა იყოს მთავრობასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის ხელშეწყობი და სამომავლო გამოყენებისათვის მსხვერპლთა მონაცემთა ბაზის შექმნას.¹⁵⁰

საქართველოში ძალზე ცოტა ორგანიზებული მსხვერპლთა ჯგუფი არსებობს, რომლებსაც შეუძლიათ გემოქმედება მოახდინონ გარედამავალ მართლმსაჯულებაზე, მაგრამ ისინი პოლიტიკურად ნაკლებად აქტიურები და ცუდად ორგანიზებულები არიან. სა-

144 ინტერვიუ ლელა ცისკარიშვილთან.

145 ინტერვიუ არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

146 იქვე.

147 ინტერვიუ ნიკა ჯეირანაშვილთან და კახა კოჭორიძესთან.

148 ინტერვიუ ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში საქართველოს პრემიერ მინისტრის მრჩეველთან სოფო ჯაფარიძესთან.

149 ინტერვიუ არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

150 იქვე.

მოქალაქო საზოგადოება სუსტია და ცუდადაა დაკავშირებული მოსახლეობასთან.¹⁵¹ თუმცა ქალთა ჯგუფების კოალიცია სწრაფად იზრდება, რომლის საფუძველსაც, იდეოლოგიური განსხვავებების მიუხედავად, საერთო მიზნები და მრისხანება წარმოადგენს.¹⁵² გარდამავალი მართლმსაჯულების პროცესის პოტენციურ ლიდერად აკადემიურ სფეროში მოღვაწე გარკვეული პირები განიხილებიან. მართალია ეკლესია პოპულარულია საქართველოში, მაგრამ მის ლიდერებს ჯერ-ჯერობით ამ პროცესში თავისი წვლილი არ შეუტანიათ.¹⁵³

ერთ-ერთი თანამოსაუბრის თანახმად პოლიტიკოსები არ არიან დაინტერესებული დაზარალებულებთან კონსულტაციებით.¹⁵⁴ მაშინ როცა ბევრ დაზარალებულს, განსაკუთრებით ნულოვანი ტოლერანტობის მსხვერპლს, ჯანმრთელობის პრობლემები აწუხებს და როგორც ამბობენ იმედგადაწურული და განრისხებულია. ბევრი მათგანი ციხიდან გამოსვლის შემდეგ ვერ გრძნობს სათანადო ყურადღებას და მხარდაჭერას. მათი სამედიცინო და სხვა პრობლემები ვერ პოულობს შესაბამის რეაგირებას. ამან ზოგიერთ მათგანში „მსხვერპლის მენტალიტეტი“ ჩამოაყალიბა და შურისძიების უწყვეტი ციკლების გამო შეშფოთების საფუძველი შექმნა.¹⁵⁵

2015 წელს ბიზნესის და ადამიანის უფლებების ცენტრმა მსხვერპლთა გარდამავალი მართლმსაჯულების პრიორიტეტების კვლევა ჩაატარა და გაარკვია, რომ წამების და საკუთრების უფლებების დარღვევების მსხვერპლთა მთავარი მოთხოვნებად სამომავლოდ მსგავსი მოვლენებისგან დაცულობის გარანტიები და ინსტიტუციური რეფორმები რჩება.¹⁵⁶

151 იქვე.

152 ინტერვიუ ლელასთან.

153 ინტერვიუ არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

154 იქვე.

155 ინტერვიუ ლელა ცისკარიშვილთან.

156 ინტერვიუ არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან. იხილეთ ჯენი მუნრო, „წარსულის პირისპირ: გაკვეთილები საერთო გამოცდილებიდან“ ბიზნესის და ეკონომიკის ცენტრი, 2015 www.bec.ge/images/doc/2015_09-facing-the-past-jenny_munro-2.pdf

7. გარდამავალი მართლმსაჯულების პრიორიტეტები

გარდამავალი მართლმსაჯულების საერთაშორისო ცენტრის მიერ გამოკითხულებმა მიუთითეს, რას ანიჭებენ უპირატესობას გარდამავალი მართლმსაჯულების პროგრამის ფარგლებში. გამოვლინდა, რომ არსებობს კონსენსუსი, რომ დაუსჯელობის ციკლი უნდა დაირღვეს და ხელშესახებმა ღონისძიებებმა და დაზარალებულთა უფლებების აღიარებამ დიდი ხანია დაიგვიანა.¹⁵⁷ ამ თვალსაზრისით სასარგებლო იქნებოდა საქმეების შედარებითი ანალიზი.¹⁵⁸ ამავე დროს სასურველი იქნებოდა გარდამავალი მართლმსაჯულების მიმართ საზოგადოების მოლოდინის და დამოკიდებულების შესწავლა.¹⁵⁹

პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება

გამოითქვა მოსაზრება, რომ წარსულზე რეაგირებისთვის თავი უნდა ავარიდოთ პოლიტიკურად მოტივირებულ ზომებს და შემდგომი წინსვლისათვის საჭიროა კონკრეტული წინადადებები.¹⁶⁰ ზოგიერთი ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო ზომების მიღება გარდამავალი მართლმსაჯულებისთვის გზის გასახსნელად იმის უზრუნველყოფით, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებები გარემოებების ადეკვატურ ცოდნას ემყარებოდეს, რაც ყველა ალტერნატივის ზედმიწევნით შესწავლას მოითხოვს.¹⁶¹

აუცილებელი პოლიტიკური ნება გარდამავალი მართლმსაჯულების მიერ შემოთავაზებული ალტერნატივების ცოდნის და გაგების საფუძველზე შეიძლება ჩამოყალიბდეს. მნიშვნელოვანია, რომ წარსულის შეფასებაზე უარის თქმის ფასი კარგად გავიხრთ და ზუსტად შევაფასოთ. ამ წინასწარი ნაბიჯების გათვალისწინებით ხელისუფლებას ნათელი სტრატეგიის ჩამოყალიბება იმ თვალსაზრისით შეუძლია, თუ რა ნაბიჯებია აუცილებელი და მათი როგორი თანამიმდევრობაა საჭირო.¹⁶²

აქამდე სახელისუფლებო წრეებში საქართველოს გარდამავალი მართლმსაჯულების ერთიანი ან მდგრადი მხარდაჭერა არ არსებობდა.¹⁶³ დღეს ხელისუფლებას არა აქვს გარდამავალი მართლმსაჯულების ხედვა, თუმცა ამოსავალი წერტილის ძიებამ შეიძლება სამინისტროებსა და პარლამენტში განსხვავებული შესაძლებლობების ხედვები წარმოშვას.¹⁶⁴

არსებობს მოსაზრება, რომ აუცილებელია წარსულის შეფასების თაობაზე ეროვნული დიალოგი, სავარაუდოდ პარლამენტის შუამავლობით ინიცირებული, როგორც პირველი

157 ინტერვიუ უჩა ნანუაშვილთან, პაატა ბელთაძესა და ნათია კაციტაძესთან.

158 იქვე.

159 ინტერვიუები ლელა წიქარიშვილთან და თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან დოქტორ ანა დოლიძესთან,

160 ინტერვიუ აჩილ ბაკურაძესა და ნათია კაციტაძესთან.

161 იქვე.

162 იქვე.

163 ინტერვიუ სოფო ჯაფარიძესთან.

164 იქვე.

ნაბიჯი სამართლებრივი და საკონსტიტუციო რეფორმებისთვის, რაც გარდამავალი მართლმსაჯულებისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის ჩამოყალიბებას შეუწყობდა ხელს.¹⁶⁵

მართლმსაჯულების ხარვეზების შესწავლა

რესპონდენტების უმრავლესობისთვის ყველაზე აქტუალური წარსულში მომხდარი მართლმსაჯულების ხარვეზების, წამების და საკუთრების ჩამორთმევის პრაქტიკის შესწავლა იყო. ამ და სხვა საკითხების მოსაგვარებლად სანდო და დამოუკიდებელი მექანიზმების შექმნის აუცილებლობაზე საუბრისას ბევრი თვლიდა, რომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ევროპული სასამართლოების და იურისტების გამოცდილება, რათა დაჩქარდეს ცვლილებები საქართველოს კანონებში, სახელმწიფო პოლიტიკასა და პრაქტიკაში.¹⁶⁶

გაჩნდა მოსაზრება, რომ მართლმსაჯულების ხარვეზები მართლმსაჯულების სისტემის მიერ უნდა მოგვარდეს და არა პრეზიდენტის შეწყალებით ან სხვა მეთოდებით. ადამიანის უფლებების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველის კახა კოჭორიძის მოსაზრებით ამ საქმეების გადახედვისთვის უნდა შეიქმნას ახალი პალატა უზენაესი სასამართლოს ფარგლებში, რომელიც უნდა დაკომპლექტდეს სპეციალურად მომზადებული მოსამართლეებით, რომლებიც არ იქნებიან დაკავშირებული წარსულ დარღვევებთან და რომლებსაც წარადგენს პრეზიდენტი და დანიშნავს პარლამენტი.¹⁶⁷

სიმართლის დადგენა

სიმართლის დადგენის კომისიის შექმნის იდეა სულ ახლახან ადამიანის უფლებების და სამართლის უზენაესობის საკითხებში საქართველოს მთავრობის სპეციალურმა მრჩეველმა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებების დირექტორატის წარმომადგენელმა მაიკლ ო'ბოილმა გაახმოვანა.¹⁶⁸ მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გოგაძე

ადასტურებს, რომ ალტერნატიული, სიმართლის დადგენის და კომპენსაციის მექანიზმი პროკურორის უწყებას მრავალი საქმის განხილვის მძიმე ამოცანას საგრძნობლად შეუმსუბუქებდა.¹⁶⁹

**აუცილებელი პოლიტიკური ნება
გარდამავალი მართლმსაჯულების მიერ
შემოთავაზებული ალტერნატივების
ცოდნის და გაგების საფუძველზე შეიძლება
ჩამოყალიბდეს. მნიშვნელოვანია, რომ
წარსულის შეფასებაზე უარის თქმის ფასი
კარგად გავიაზროთ და ზუსტად შევაფასოთ.**

არჩილ ბაკურაძე თვლის, რომ სიმართლის დადგენის თვალსაზრისით დღემდე ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა და არც დამნაშავეთა მხრიდან მოუხდია ვინმეს ბოდიში. ის ამტკიცებს, რომ სიმართლის დადგენა პრიორიტეტი უნდა იყოს, მაგრამ ის არ უნდა იფარგლებოდეს ცალკეული შემთვევებით, არამედ საზოგადოების სისტემური პრობლემებით უნდა დაკავდეს. კახა კოჭორიძეც პრიორიტეტულად ფართომასშტაბიან ანალიზს და არა ცალკეული საქმეების გამოძიებას მიიჩნევს.¹⁷⁰

სიმართლის დადგენა სახელმწიფოს მხარდაჭერით უნდა ხორციელდებოდეს და, განსაკუთრებით, ლოკუმენტებზე წვდომა უნდა გამარტივდეს. როგორც ამბობენ, გარკვეუ-

165 ინტერვიუ არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

166 ინტერვიუ ნინო ელბაქიძესთან და კონსტიტუციის 42-ე მუხლის მართველობის გუნდის წევრებთან.

167 ინტერვიუ კახა კოჭორიძესთან.

168 ინტერვიუ ბესარიონ ბოხაშვილთან, იხ. Agenda. Ge, „საქართველოს მთავრობამ ახალი მრჩეველი დანიშნა,“ 25 ივნისი, 2015, <http://agenda.ge/news/37941/eng>. იხილეთ ასევე ანა დოლიძე, თომას დე ვალი, „სიმართლის დამდგენი კომისია საქართველოში,“ კარნეგის ფონდი საერთაშორისო მშვიდობისთვის, 2012 წლის 5 დეკემბერი <http://carnegieendowment.org/2012/12/05/truth-commission-for-georgia-pub-50249>

169 ინტერვიუ გიორგი გოგაძესთან, ნათია მეზვრიშვილთან და გივი ბაღდავაძესთან.

170 ინტერვიუ კახა კოჭორიძესთან.

ლი უწყებების, მაგალითად შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების არქივები აქამდე მკვლევარებისთვის მიუწვდომელი რჩებოდა.¹⁷¹ თუმცა „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ წევრები საერთოდ ეტვობენ, რომ სიმართლის დადგენი კომისია ოდესმე შეიქმნება, რადგან ხალხმა ისედაც „იცის“ სისტემაში წარსული კონფლიქტების და მანკიერებების მიზეზები.¹⁷²

წიქარიშვილი თვლის, რომ სიმართლის დადგენის კომისიამ სამართლიან პროცედურებს უნდა მიმართოს და თავი აარიდოს ადამიანების დეჰუმაციას. ის თვლის, რომ სიმართლის დადგენის ნებისმიერ ოფიციალურ წამოწყებას წინ პილოტური პროექტი უნდა უძღოდეს.

როგორც ჩანს არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, სიმართლის დადგენის კომისიამ რა უნდა შეისწავლოს და მისი დროებით მანდატი როგორი უნდა იყოს. ზოგიერთი კომენტატორი თვლის, რომ სიმართლის დადგენის კომისიის კვლევის ობიექტი უნდა იყოს საქართველოს ოსტორია 1990 წლიდან დღევანდელიამდე.¹⁷³

რეპარაციები

რეპარაციებთან დაკავშირებით უმრავლესობა თანხმდება, რომ მისი ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით ის შეუძლებელი იქნება და რომ სახელმწიფომ ასეთ ხარჯებს თავი უნდა აარიდოს.¹⁷⁴ ამ მხრივ საჭიროა ზუსტი ცოდნა აღწევს თუ არა ასეთ მასშტაბებს ხარჯები.¹⁷⁵ აუცილებელია უფრო მეტი დაზარალებულის გამოკითხვა და მათი სურვილების დადგენა. წიქარიშვილის თანახმად დაზარალებულებს სერიოზული სარეაბილიტაციო მომსახურება სჭირდებათ:

წამებით მათ დიდი ზიანი მიადგათ და ისინი შესაბამის დახმარებას არ იღებენ. ასევე აწუხებთ სამედიცინო პრობლემები . . . პირველ რიგში მათ დაზარალებულის სტატუსი უნდა მიენიჭოთ და თუკი კომპენსაცია შეუძლებელია, შესაძლებელია მისცენ თუნდაც საგანათლებლო ვაუჩერი შვილებისთვის ან სხვა სახის დახმარება.¹⁷⁶

თითქოს სულ უფრო მეტი ადამიანი თანხმდება, რომ დაზარალებულთა დასადგენად საჭიროა სპეციალური მექანიზმის არსებობა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა.¹⁷⁷ სარეაბილიტაციო სამსახურებმა უნდა მოიცვან სამედიცინო და ფსიქოლოგიური ასპექტები. რადგან ასეთი სამსახურები საქართველოში არ არსებობს, ინდივიდუალურ საფინანსო გრანტებზე უნდა ვიფიქროთ.¹⁷⁸ ასევე აღინიშნა, რომ წამებაზე ან სხვა ტრავმებზე მხოლოდ სამედიცინო და ფსიქოლოგიური სამსახურების მეშვეობით რეაგირება სრული განკურნებისთვის საკმარისი არაა. საჭიროა იყოს სამართლებრივი მიდგომა, რაც სიმართლის დადგენის და ანგარიშვალდებულების პირობებს შექმნიდა.¹⁷⁹

რაც შეეხება კერძო საკუთრების უფლებების დარღვევებს, საერთაშორისო გამჭვირვალობის სასამართლო მონიტორინგის და სამართლებრივი რეკომენდაციების პროგრამის პროექტის მენეჯერის გია გვილაგას თვალსაზრისით სახელმწიფომ უნდა აღიაროს ტრადიციული მიწის საკუთრების უფლება და კერძო საკუთრების ჩამორთმევა განიხილოს მართლმსაჯულების ხარვეზების შედეგად. უკანონოდ ჩამორთმეული საკუთრების

171 ინტერვიუ საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის ბორდის წევრთან, ირაკლი ხვადაგიანთან.

172 ინტერვიუ ნინო ელბაქიძესთან და კონსტიტუციის 42-ე მუხლის სხვა მმართველ წევრებთან.

173 ინტერვიუ ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ადამიანის უფლებების პროგრამის კოორდინატორთან, გიორგი ჩიტიძესთან.

174 ინტერვიუ სოფო ჯაფარიძესთან.

175 ინტერვიუ ლელა ცისკარიშვილთან.

176 იქვე.

177 ინტერვიუ არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

178 ინტერვიუ ლელა წიქარიშვილთან.

179 ინტერვიუ ნინო ელბაქიძესთან და 42-ე მუხლის მმართველობის სხვა წევრებთან.

კომპენსაციის დიდი მოთხოვნაა. პროკურატურის უწყებაში შექმნილი სპეციალური დეპარტამენტი განსაკუთრებით ცუდად აღჭურვილი იყო საკუთრების რესტიტუციის ამოცანასთან გამკლავებისათვის.¹⁸⁰ მიწის საკუთრებასთან დაკავშირებული სასამართლო დავები საბჭოთა და მეორე მსოფლო ომის პერიოდამდე მიდის.¹⁸¹

ინსტიტუციური რეფორმა

გარკვეული რეკომენდაციები შემუშავდა ინსტიტუციურ რეფორმებთან დაკავშირებით. იყო ლუსტრაციის, ანუ ერთგვარი წმენდის ჩატარების მოთხოვნაც, ოღონდ უფრო პერსონალის გადამზადების და არა მისი იდეოლოგიური შესატყვისობის კუთხით გაცხრილების თვალსაზრისით.¹⁸² იყო მსჯელობა ეთიკურ მოსაზრებებზე დაფუძნებული ლუსტრაციის საფრთხეზე, რაც მოსამართლეების არსებული რაოდენობის თითქმის ნახევარის გათავისუფლებას (230) გამოიწვევდა.¹⁸³ სხვა რეფორმების აუცილებლობა შეიძლება კონფლიქტის სისტემური მიზეზების თაობაზე სიმართლის დადგენის რეკომენდაციებმა წარმოშვას.¹⁸⁴

სამოქალაქო საზოგადოებამ წარმოადგინა „ინფორმაციის თავოსუფლების შესახებ“ კანონის პროექტი, რომელიც სხვადასხვა სამინისტროების ლაბირინთებში ჩაიკარგა.¹⁸⁵ მაგრამ სამოქალაქო საზოგადოება ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურობს და მედიაც მხარს უჭერს დაზარალებულებს.¹⁸⁶ მეტი გამჭვირვალობის მისაღწევად 2011 წელს მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა.¹⁸⁷ გაცხადდა, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონმდებლობა შეესატყვისება ევროპულ სტანდარტებს, თუმცა ზეწოლა ყოველთვის პრობლემური იყო და კვლავაც ასეთად რჩება.¹⁸⁸ არაკანონიერ დათხოვნასთან დაკავშირებით განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან არსებულმა კომისიამ თანამშრომლების პოლიტიკური მოტივებით დათხოვნის შემთხვევები შეისწავლა და 2015 წლის მაისში შესაბამისი ანგარიში გამოაქვეყნა.¹⁸⁹ მან 90 ოფიციალური პირის უკანონოდ დათხოვნის ფაქტი დაადგინა.¹⁹⁰ ამ კომისიის სამუშაო, რომელიც სამართლიანი არჩევნების და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერითაა გაწეული, ინსტიტუციურ რეფორმებისა და დამსახურებაზე დაფუძნებულ შეფასების პროცესის შესაძლებლობას ადასტურებს.¹⁹¹

შერიგება

აღინიშნა, რომ საქართველოს ჭირდება ეროვნული შერიგების „[ქვეყანა] მეტისმეტად პატარა იმისთვის, რომ დაყოფილი იყო.“¹⁹² არსებობს შერიგების სამინისტრო, თუმცა ის უფრო სეპარატისტული რეგიონების ისეთ პრობლემებზე ფოკუსირებული, როგორცაა ეთნიკური კონფლიქტი და საკუთრების რესტიტუცია.¹⁹³

180 ინტერვიუ ირაკლი ხვადაგიანთან.

181 ინტერვიუ არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

182 ინტერვიუ ქრისტინა ურსესა და სოფო წაქაძესთან.

183 ინტერვიუ არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

184 ინტერვიუ ხატია ჯინჯიხაძესთან

185 იქვე.

186 იქვე.

187 იქვე.

188 საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული სააგენტოების თანამშრომლების სამსახურიდან დათხოვნის შემსწავლელი კომისიის კვლევა - განათლების რესურს-ცენტრები და პოლიტიკურ რწმენაზე დაფუძნებული საჯარო სკოლები, 2015 წლის 5 მაისი, <http://mes.gov.ge/content.php?id=5805&lang=en>

189 იქვე.

190 იქვე.

191 ინტერვიუ ნინო ლომჯარიასთან.

192 ინტერვიუ არჩილ ბაკურაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

193 ინტერვიუ უჩა ნანუაშვილთან, პაატა ბელთაძესთან და ნათია კაციაშვილთან.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

აქცენტი დაუსჯელობის სისტემის დასასრულის აუცილებლობაზე კეთდება, „რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.“¹⁹⁴ მართალია პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტის შექმნას¹⁹⁵ ყველა მიესალმა, ის მაინც არაადეკვატურად და არცთუ ლეგიტიმურად მიიჩნევა.¹⁹⁶ აღინიშნა, რომ, პროკურატურას გაცილებით მეტი რესურსები ჭირდება წამებისა და ქონების ჩამორთმევის შემთხვევების შესწავლისათვის. ასევე სინანულით აღინიშნა, რომ ამ საკითხების შესწავლაში შემდგომი წინსვლისთვის პოლიტიკური ნება არ ჩანს.¹⁹⁷ მტკიცებულებათა სიმცირის გამო ეჭვი წამების ფაქტების შესწავლის შესაძლებლობის თაობაზე გაჩნდა.¹⁹⁸ ითქვა ისიც, რომ სისხლის სამართლის დევნის მცირერიცხოვანი შემთხვევების ან სულაც მისი არარსებობის შემთხვევაშიც უნდა ჩატარდეს გამოძიება და დადგინდეს, თუ რა მოხდა. სამოქალაქო საზოგადოების დიდმა ნაწილმა მართებულად მიიჩნია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა.¹⁹⁹ ეს უწყება ან სააგენტო უნდა იყოს ინსტიტუციურად დამოუკიდებელი უწყებებისგან და იმ პირობისგან, რომლის წინააღმდეგაც აწარმოებს გამოძიება.²⁰⁰

წინადადებები სპეციალური საგამოძიებო მექანიზმის შექმნის თაობაზე

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს მთავრობას შესთავაზეს რიგი რეკომენდაციები, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უწყების შექმნის შესახებ, რომელმაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილი ის კანონდარღვევები უნდა გამოიძიოს, რასაც სიცოცხლის უფლების დარღვევა და ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობის უგულებელყოფა მოჰყვა. საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების და ადამიანის უფლებების საკითხებში ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების კომიტეტი, ადამიანის უფლებების საკითხებში გაერთიანებული ერების უმაღლესი კომისარი, წამების საკითხებში გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი, საქართველოს ომბუდსმენი და რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას სანდო მექანიზმის შექმნისკენ მოუწოდებდნენ, რომელიც ადამიანის უფლებების სერიოზული დარღვევების შემთხვევებს შეისწავლიდა.²⁰¹ გაერთიანებული ერების უნივერსალური პერიოდული ანგარიშის 2015 წლის ციკლზე,²⁰² ბევრი ქვეყანა ურჩევდა საქართველოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას.²⁰³ და 2014 – 2015

194 იქვე.

195 ეს დეპარტამენტი ძირითადად იძიებს კერძო საკუთრების უკანონო ჩამორთმევის, არასათანადო ან არაკანონიერი სისხლის სამართლის დევნის და ფიზიკური შეურაცხყოფით მუქარის და წამების საქმეებს, რომლებშიც ჩართული არიან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, ციხის პერსონალის ჩათვლით.

196 ინტერვიუ ნინო ელბაქიძესთან და კონსტიტუციის 42-ე მუხლის მმართველობის გუნდის სხვა წევრებთან.

197 ინტერვიუ კახა კოჭორიძესთან.

198 ინტერვიუ ნიკა ჯეირანაშვილთან.

199 იქვე.

200 იქვე.

201 იხილეთ მაგ. თომას ჰამერბერგი, „საქართველო გარდამავალ პერიოდში: უმაღლესი წარმომადგენლის, ვიცე-პრზიდენტ კეტრინ ეშტონის და ევროკავშირის გაფართოების და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის კომისიის შტეფან ფულესათვის წარდგენილი ანგარიში,“ 22-23 გვ. 2013 წლის სექტემბერი; გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომისარი, „ადამიანის უფლებების კომისიის მოსაზრებები პოლიციის მიმართ არსებულ საჩივრებზე დამოუკიდებელი და ეფექტიანი რეაგირებასთან დაკავშირებით,“ CommDH, 2009, 4, საქართველოს სახალხო დამცველი, 2009, 4, 2015, ანგარიში პარლამენტისადმი გაწეული რეკომენდაციების შესრულების შეფასების თაობაზე,“ 31 ივლისი, 2015, www.ombudsman.ge/en/news/assessment-of-fulfillment-of-recommendations-offered-in-parliamentary-report.page

202 გაერთიანებული ერების უნივერსალური პერიოდული ანგარიში შეიქმნა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ, 2015 წლის 15 მარტს, 60/251 რეზოლუციის საფუძველზე. ეს არის ადამიანის უფლებათა საბჭოს უნიკალური მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესებას გაერთიანებული ერების ყველა წევრს სახელმწიფოში. ამ მექანიზმის ფარგლებში ყველა წევრის სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა სიტუაციის შესწავლა ხდება ყოველ 4-5 წელიწადში.

203 სხვებთან ერთად შვეიცარიამ, თურქეთმა, ჩეხეთის რესპუბლიკამ, კვიპროსმა და საფრანგეთმა ურჩიეს საქართველოს ასეთი მომენტის მიღება, იხილეთ. უნივერსალური პერიოდული ანგარიშის მონაცემთა ბაზა და რეკომენდაციები, www.upr-info.org

წლის ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმაში, საქართველოს მთავრობამ ამ-
გვარი მექანიზმის შექმნისთვის მზადყოფნა დაადასტურა.²⁰⁴

ყველაზე სრულყოფილი რეკომენდაციების პაკეტის ავტორები იყვნენ გაერთიანებული
ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის საქართველოს ოფისი, ფონდი „ღია
საზოგადოება - საქართველო“ და ევროპის საბჭო/ევროპის კავშირი, ადგილობრივ
არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით.²⁰⁵ წინადადება სამ
საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის მოდელს მოიაზრებდა: 1) სრულიად
დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმს, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების
გარეთ იქნება განთავსებული; 2) აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში არსე-
ბულ მექანიზმს, დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიებით; 3) ომბუდსმენის
მსგავსი უფლებამოსილებებით აღჭურვილ აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებას.
წინადადების დასკვნების თანახმად საქართველოს რეალობის გათვალისწინებით,
მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების გარეთ არსებული დამოუკიდებელი მექა-
ნიზმი შეიძლება პასუხობდეს საერთაშორისო სტანდარტებს.²⁰⁶

ამ ჯგუფმა შეიმუშავა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საგამოძიებო მექანიზმის
შესახებ კანონპროექტი, რომელიც წარედგინა ხელისუფლების წარმომადგენლებს.²⁰⁷
კანონპროექტი ითვალისწინებს აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან „დამოუკიდე-
ბელი საგამოძიებო მექანიზმის“ შექმნას,²⁰⁸ რომელსაც სამართალდამცველი ორგანოე-
ბის, მათ შორის პოლიციის, უსაფრთხოების უწყებების, სისხლის სამართლის დევნის
განმახორციელებელი უწყებების და ციხის თანამშრომლების მიერ ჩადენილი ადა-
მიანის უფლებათა დარღვევების გამოძიების კომპეტენცია ექნება.²⁰⁹ ამჟამად ამ ტიპის
დანაშაულებს სახელმწიფო პროკურატურა და თავად სამართალდამცავი ორგანოები
იძიებენ,²¹⁰ რაც ეწინააღმდეგება სხვადასხვა ევროპულ დირექტივებს.²¹¹

შეთავაზებული დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი მუდმივმოქმედი უწყება იქ-
ნება, რომელიც საქართველოს მისცემს შესაძლებლობას გაუმკლავდეს სამართალ-
დამცავი ორგანოების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და კომპლექსური
დანაშაულის ენდემურ პრაქტიკას სპეციალური სამართლებრივი ინსტიტუტით. მას პა-
რალმენტის მიერ დანიშნული კომისარი გაუძღვება, რომელსაც აირჩევს ხელისუფ-

204 საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებების დაცვის საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმა 2014 – 2016 წლების, პუნქტი 6.6.1 („პროფესიონალური, დამოუკიდებელი, ძალაუფლებით აღჭურვილი და სანდო მექანიზმის შექმნა, რომელიც დაკავდება პროკურორების და პოლიციის ოფიცრების და სხვების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევების საქმეების შესწავლით“.)

205 ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესახებ კანონის პროექტი“ www.osgf.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=15&info_id=4077

206 ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესახებ კანონის პროექტი“ თებერვალი, 2015 www.osgf.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=15&info_id=4077

207 ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესახებ კანონის პროექტი“ 24 თებერვალი, 2015 www.osgf.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=15&info_id=4077; ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“, „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის შესახებ კანონის პროექტი“ პრეზენტაცია www.osgf.ge/files/2015/News/IIM_-_ENG.pdf

208 კანონის პროექტის მე-5 მუხლი განსაზღვრავს: „დამოუკიდებლობა და პოლიტიკური ნეიტრალობა – დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი აღმასრულებელი ხელისუფლების არც ერთი უწყების და არც ერთი პოლიტიკური ძალის წინაშე არ არის ანგარიშვალდებული, იგი ანგარიშვალდებულია მხოლოდ საქართველოს პარლამენტის წინაშე“.

209 წინადადების თანახმად მექანიზმს უპირატესი უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს ასეთი დანაშაულების ისევე, როგორც სახელმწიფო საპატიმროებში პატიმრის გარდაცვალების გამოძიებისთვის. იხ. კანონის პროექტის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლები.

210 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და იუსტიციის მინისტრის ბრძანება სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე (N34, 07.07.2013).

211 ერიკ სვანიძე, არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება: ევროპული სტანდარტების სახელმძღვანელო პრინციპები, ევროპის საბჭო, 2009, სახელმძღვანელო პრინციპები IV.1.1, თანამდებობის პირები, რომლებიც ასეთ გამოძიებაში მონაწილეობენ იმ პირებისგან უნდა იყვნენ დამოუკიდებლები, რომლებსაც ბრალი ედებათ დანაშაულის ჩადენაში. დამოუკიდებლობის ვალდებულება მოიცავს ყველა პირს, რომელიც გამოძიების დროს იღებს გადაწყვეტილებებს. (26.01.2006 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე Mikheev v. Russia, გადაწყვეტილების ნომერი N 77617/01, აბზაცი 116); ისევე როგორც ზედამხედველი პროკურორები (რამზააზი ჰოლანდიის წინააღმდეგ, 15.05.2007 წლის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Ramsahai v. the Netherlands, გადაწყვეტილების ნომერი N 52391/99, აბზაცი. 6--63).

ლების სამივე შტო და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.²¹² კომისარი გამოძიებებსა და პროკურორებს დანიშნავს სისხლის სამართლის და ადამიანის უფლებათა სამართლის ექსპერტებისგან შემდგარი საკონკურსო კომისიის მიერ ჩატარებული კონკურენტული პროცესის შედეგების გათვალისწინებით.²¹³

შეთავაზებული კანონის პროექტის მიხედვით მექანიზმს ექნება საკუთარი გამოძიების ინიცირების და სისხლისსამართლებრივი დევნის უფლება და იგი მხოლოდ პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული. მას მიენიჭება იმ დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება, რომლებიც სახელმწიფო პატიმრობაში ან სახელმწიფო ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი პირების მიმართაა ჩადენილი სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირების მიერ.²¹⁴ მართალია ეს ჯერ კიდევ დებატების საგანს წარმოადგენს, მაგრამ შეთავაზებული საგამოძიებო მოდელის დროითი უფლებამოსილება წარსულში ჩადენილი დარღვევების გამოძიებას გამორიცხავს, რათა თავი დაიზღვიოს საქმეებით პოტენციური გადატვირთულობისგან²¹⁵ და იმ პრობლემაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ შესაძლოა ძველი საქმეების გამოძიებისთვის არ იყოს საკმარისი მტკიცებულებები.²¹⁶

მას ექნება მის მიერ განსახილველ დანაშაულებზე „ექსკლუზიური იურისდიქცია“, ისევე როგორც გამოძიების და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისათვის სხვა უწყებებისგან საქმეთა გადმოცემის, მათ შორის დისციპლინური სამართალწარმოების გადმოცემის უფლებამოსილება. სხვა სახელისუფლებო უწყებები ვალდებული იქნებიან მიაწოდონ ინფორმაცია დანაშაულებზე, რომლებიც მის ექსკლუზიურ იურისდიქციას განეკუთვნება.

ამჟამად კანონის პროექტი ანგარიშვალდებულებას და მის საქმიანობაზე ზედამხედველობას წელიწადში ორჯერ პარლამენტისადმი ანგარიშის წარდგენითა და საპარლამენტო კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე პარლამენტში გამოცხადებით უზრუნველყოფს.²¹⁷ საჯაროობა უზრუნველყოფილია მექანიზმის ვებგვერდით;²¹⁸ და კომისარი ვალდებული იქნება დაზარალებულებს საქმეების შესახებ ინფორმაცია „გონივრული სიხშირით მიაწოდოს“.²¹⁹ მექანიზმის მმართველობის პრინციპები დაზარალებულების ჩართულობას, საზოგადოების მიმართ გახსნილობას და გამჭვირვალობას მოიცავს, რათა შენარჩუნდეს „საზოგადოების ნდობის მაღალი დონე“.²²⁰

2015 წლის დასაწყისში მთავრობაში ინიცირებული იყო კანონის პროექტი, თუმცა ის ჯერ არ არის მიღებული.

212 კანონის პროექტი, მუხლი 8 (დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისარი).

213 კანონის პროექტი, მუხლი 10.

214 კანონის პროექტი, მე-4 მუხლი; ეს დანაშაულები მოიცავს: წამებას, ადამიანის სიცოცხლის მოსპობას, ჯანმრთელობის დაზიანებას, ცემას, დამამცირებელ ან არაადამიანური მოპყრობას, ხელშეუხებლობის ხელყოფას, ჩვენების იძულებას, სქესობრივი თავისუფლების ხელყოფას, და პატიმრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებს იმ პირების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ არიან ან/და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერაა ჩადენილი.

215 ინტერვიუ ქრისტიან ურსესთან და სოფიო წაქაძესთან.

216 ინტერვიუ ნიკა ჯეირანაშვილთან.

217 კანონის პროექტი, მე-17 მუხლი.

218 კანონის პროექტი, მე-18 მუხლი.

219 იქვე.

220 კანონის პროექტი, მე-5 მუხლი, „ე“ ქვეპუნქტი (საზოგადოების მიმართ გახსნილობა და გამჭვირვალობა).

8. დასკვნები

საქართველოში მომდინარე პროცესებმა, განსაკუთრებით უახლესმა ისტორიამ, დრამატული კითხვების პირისპირ აღმოჩენილი ერი ორად გაყო, თუმცა ისინი ჯერაც პასუხგაცემელი რჩება. მართალია იყო წარსულის გააზრების მცდელობები, მაგრამ ძალისხმევა სერიოზულად ან ეფექტიანად არ აღიქმება. ხელისუფლებამ ან სამოქალაქო საზოგადოებამ ჯერ კიდევ უნდა ჩამოაყალიბოს მკაფიო ხედვა. როგორც ჩანს ქართველებს შორის წარსულის გააზრების სურვილი არც საყოველთაოა და არც ყოვლისმომცველი.

საქართველო პატარა ქვეყანაა, მცირე მოსახლეობით, რომელსაც აქვს უნიკალური კონტექსტი. ის საკამოდ განსხვავდება მასობრივი სისასტიკის ან სამხედრო ხუნტის

თუმცა ქართველი ხალხის სრული პოტენციალის გამოვლენას წარსულის სრულფასოვანი შეფასების არარსებობა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების კომპენსაციისთვის სათანადო ნაბიჯების გადაუდგმელობა აფერხებს. მეტიც, წარსულის განმეორების საფრთხე მუდმივად არსებობს.

რეპრესიული მმართველობის ან ძალადობრივი რეჟიმის გამოცდილების მქონე ქვეყნებისგან. საქართველოში ინსტიტუტები პოლიტიკური მიზნების გამო დაზარალებულნი, თუმცა ისინი არ დანგრეულა და აუცილებელი არ არის მათი ნანგრევებიდან ხელახლა აშენება. სახელმწიფო, დიდ წილად, ფუნქციონირებს და მოსახლეობის მთავარი მოთხოვნები სრულდება.

თუმცა ქართველი ხალხის სრული პოტენციალის გამოვლენას წარსულის სრულფასოვანი შეფასების არარსებობა და ძალაუფლების ბო-

როტად გამოყენების კომპენსაციისთვის სათანადო ნაბიჯების გადაუდგმელობა აფერხებს. მეტიც, წარსულის განმეორების საფრთხე მუდმივად არსებობს.

რეკომენდაციები

ამ ანგარიშში გმსც იძლევა რჩევებს წარსულის გააზრების ფორმალური, შეწონილი და გამიზნული ნაბიჯების გადადგმის თაობაზე. მართალია, საქართველოში გარდამავალი მართლმსაჯულების წარმოებისთვის პირობების შესაფერისობა საკამათოა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ არ შეგვიძლია როდესმე იდეალური პირობების არსებობა ვივარაუდოთ და ხანგრძლივმა ლოდინმა შესაძლოა თავისი საზიანო შედეგები მოიტანოს.

ამ ანგარიშის მიზანი არ არის საქართველოსთვის სტანდარტული სამოქმედო გეგმის შემუშავება. ექსკლუზიურად ქართველების გადასაწყვეტია სურთ თუ არა მათ წარსულთან კონფრონტაცია, და თუ სურთ, ეს როგორ უნდა გაკეთონ. ამის მიუხედავად, ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები არსებული პრობლემების გადალახვისთვის საჭირო შესაძლო მიდგომების თაობაზე, საქართველოში ამ კვლევის და სხვა კონტექსტში გმსცის გამოცდილების ფარგლებში გამართული მსჯელობის საფუძველზე. ქვევით მოყვანილ იდეათა შორის ზოგიერთი შესაძლოა ეროვნული დიალოგის პროცესის ნაწილად განვიხილოთ.

წარსულის და მომავლის შესახებ ეროვნული დიალოგი

- მოკლე ვადებში დაიწყოს ეროვნული დიალოგი იმ შესაძლო ნაბიჯების შესწავლი-სათვის, რომლებიც ხელს შეუწყობდა წარსულში ჩადენილი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გააზრების და ერის კონსოლიდაციის პროცესს. ეს შეიძლება იყოს წარსულის გააზრების და სამომავლო ერის კონსოლიდაციის შესაძლებლობების იდენტიფიკაციის მიზნით გამართული ეროვნული კონფერენცია. ასეთი კონფერენციის დამფინანსებლები ხელისუფლება და სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრები იქნებოდნენ, რაც შექმნიდა განსხვავებულ შესაძლებლობებზე მსჯელობის და შედარებითი მაგალითების განხილვის სივრცეს.
 - კონფერენციის მაქსიმალური ინფორმატიულობის მისაღწევად შესაძლოა მას წინ უძღოდეს სხვადასხვა სექტორში პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილეებთან ინტერვიუები და წინადადებების შეგროვებისთვის გამართული რეგიონული ან რაიონული ფორუმები, რასაც ალბათ მოჰყვება „რაოდენობრივი ფაზა“ – წერილობითი და სატელეფონო კვლევის ჩათვლით, ფართო საზოგადოების მოსაზრებების განსასაზღვრად. შესაძლოა წინადადებების განსახილველი ონლაინ და მედია დებატების წახალისება. ცალკე ძალისხმევა იქნება საჭირო მთავრობაში და პარლამენტში პოლიტიკოსების, ბიზნესის და პროფესიული სექტორის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების ცნობიერების ასამაღლებლად. ეროვნული დიალოგის სამდივნო, თემატური სამოშო ჯგუფების დახმარებით, შეძლებდა შეგროვილი ინფორმაციის ანალიზს და ანგარიშის მომზადებას, რომელიც ეროვნულ კონფერენციას გაამდიდრებდა.
 - უპირველეს ყოვლისა, ეროვნული კონფერენცია სამომავლო მიმართულებას განსაზღვრავდა, გარდამავალი მართლმსაჯულების პროგრამის ზოგადი პოლიტიკის მიდგომის იდენტიფიცირებითა და კონსტიტუციურ და საკანონმდებლო ზომებთან ერთად, რომლებიც შესაძლოა აუცილებელი იყოს ასეთი პროგრამის ხელშეწყობისთვის.

დოკუმენტირების ეროვნული პროექტი

- ეროვნული ადამიანის უფლებათა დოკუმენტაციის შექმნა, რაც შექმნიდა აღიარების, პასუხისმგებლობისა და რეფორმის ნებისმიერი შემდგომი ზომების უზრუნველყოფის მყარ საფუძველს. წარსულში ჩადენილი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გააზრების სტრატეგიის მიუხედავად, აუცილებელი იქნება ზუსტი ინფორმაცია შერჩეულ დროის მონაკვეთში ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევების ბუნების და მასშტაბების შესახებ. სანდო დოკუმენტაციის პროგრამა ფასდაუდებელი იქნება მრავალი აქტივობისა და მიზნისთვის. ეს ამავე დროს, ზუსტი ისტორიული ჩანაწერების და დარღვევების კანონზომიერებების და ინსტიტუციური პასუხისმგებლობების განსაზღვრაში წვლილის შეტანასაც გულისხმობს. მართალია, დოკუმენტაციის მიზანი არ იქნება ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, შესაძლოა მან სისხლის სამართლის გამოძიების და დევნისთვის სწორი ვერსიები და მტკიცებულებათა წყაროები უზრუნველყოს. ამიტომ, მყარი დოკუმენტაციისთვის გაწეული ძალისხმევა შესაძლოა ემსახუროს როგორც კანონდარღვევის და მიყენებული ზიანის დადასტურებას, ისე ხელი შეუწყოს ანგარიშვადებულებას. მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანის და დანაკარგის დოკუმენტირება მათი აღმოფხვრის და რეაბილიტაციის ნებისმიერი სამომავლო პროგრამებისთვის დიდი დახმარება იქნება. ასეთი წამოწყებით ნაკლებად სანდო ინსტიტუციების ტრანსფორმაციის და ახალი სტანდარტების შემოღების პროცესიც უფრო ინფორმირებული იქნება.

როგორც წესი ადამიანის უფლებათა დოკუმენტირების პროექტი სიღრმისეულ გამოძიებას არ ანაცვლებს, არამედ იმ აქტივობათა რიგს გულისხმობს, რომლის მიზანაც, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ფაქტების აღმოჩენა და გამოძიებაა. ეს სხვადასხვა წყაროებიდან ოფიციალური და არაოფიციალური ინფორმაციის შეგროვებას, სხვადასხვა სფეროს ექსპერტებთან კონსულტაციებს და მოწმეებთან ინტერვიუებს გუ-

ლისხმობს, რაც ქმნის ქრონოლოგიურ, მაღალი დონის სურათს – თუ რა, სად და როდის მოხდა; ვინ არის მსხვერპლი; ვინაა სავარაუდო დამნაშავე ან მონაწილე ინსტიტუტები.

ადამიანის უფლებათა დოკუმენტაციას, როგორც წესი, ორგანიზაციები და პირები აწარმოებენ, რომლებიც დამოუკიდებელი და ობიექტური რეპუტაციით სარგებლობენ. მთელ მსოფლიოში ყველაზე სერიოზულ დოკუმენტაციას ყველაზე ცნობილი ეროვნული და საერთაშორისო ადამიანის უფლებათა ორგანოები აწარმოებდნენ. სახალხო დამცველის ოფისი მნიშვნელოვანი პატივისცემით, პროფესიონალური და მიუკერძოებელი ინსტიტუტის რეპუტაციით სარგებლობს. 2013 წელს ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტმა ომბუდსმენს „A“ სტატუსით ხელახალი აკრედიტაცია მიანიჭა, ადამიანის უფლებათა დაცვის და ამ პროცესის ხელშეწყობისთვის.²²¹ სასურველია ზევით აღწერილი ეროვნული დოკუმენტირების პროექტის წარმოება სახალხო დამცველის ოფისს დაევალოს.²²²

შედეგები, ანგარიშებისა და ბრიფინგების გარდა, შესაძლოა მოიცავდეს ადამიანის უფლებათა ეროვნულ არქივს და მონაცემთა ბაზას, საგანმანათლებლო მასალებს და ციფრულ რესურსებს. მონაცემები და ანალიზი შემდეგ ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდებოდა, რადგან ეს აუცილებელი რესურსების თაობაზე რეალისტურ შეფასებას და შემდგომ გამოძიებასა და მოქმედებებს შეუწყობდა ხელს, ძირითადი საკითხებისა და საქმეების იდენტიფიცირებით.

როგორც წესი ადამიანის უფლებათა დოკუმენტირების პროექტი შესაძლოა ნ თვიდან 1 წლამდე გაგრძელდეს. ვინაიდან საქართველოს შემთხვევა არ არის ფართომასშტაბიანი ძალადობის ან მასობრივი სისასტიკის მაგალითი, შესაძლოა ყოვლისმომცველი დოკუმენტირების წარმოება ერთ წელზე ბევრად ნაკლებ დროში მოხერხდეს.

სიმართლის და ერის კონსოლიდაციის პრობლემების კომისია

- **ეროვნული დიალოგის და ეროვნული დოკუმენტაციის ძალისხმევის შედეგების მიხედვით, სიმართლის კომისიის შექმნაზე უნდა დაფიქრდეთ, რომელიც აქცენტს წარსული ძალადობის მიზეზების დადგენაზე გააკეთებს და მსგავსი დარღვევების განმეორებისგან თავის დაზღვევის რეკომენდაციებს შეიმუშავებს.**

1990-იანების მეორე ნახევრიდან კომისიები წარსულის გააზრების პოპულარულ მეთოდად დამკვიდრდა. თუმცა, ასევე ხშირად, კომისიები პანაცეად ან წარსული ტრამვების და ჭრილობების სწრაფი გამოსწორების საშუალებად განიხილება.²²³ შეიძლება ითქვას, რომ კომისიები ნაკლებად ეფექტიანი გახდა მას შემდეგ რაც მათი რაოდენობა უფრო მრავალრიცხოვანი, ხოლო მათი პასუხისმგებლობები უფრო მრავალმხრივი გახდა. სიცარიელის შესავსებად, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სრულად ან ნაწილობრივ თავის არიდების საფუძველზე იქმნებოდა, სიმართლის კომისიებს ძალიან ბევრი, ხშირად ათასობით, დარღვევის გამოძიებას და მათ შესახებ ანგარიშს სთხოვდნენ. მეტიც, მათ სთხოვდნენ რომ ათასობით მსხვერპლის ხმა საზოგადოებისთვის მიეწვდინათ და შედეგი მრავალვექტორიანი ჰქონოდათ, მაგალითად: ეროვნული გაჯანსაღება და შერიგება, წარსული კონფლიქტების შესახებ სიმართლის ისევე, როგორც მათი მიზეზების დადგენა, ასევე კომპენსაციის ყველა ფორმის შესახებ

221 ადამიანის უფლებათა დაცვის და ამ პროცესის ხელშეწყობისთვის ეროვნული ინსტიტუტების საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტი „ეროვნული ინსტიტუტების სტატუსის ცხრილი“ (აკრედიტაციის სტატუსი 2016 წლის 26 იანვრის მდგომარეობით), www.ohchr.org/Documents/Countries/NHRI/Chart_Status_NIs.pdf.
222 ადამიანის უფლებათა ეროვნული დოკუმენტირების უახლესი პროექტები გაერთიანებული ერების უწყებების, კერძოდ გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის, ისევე როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტების და დაფინანსების ხელშეწყობით განხორციელდა.
223 სიმართლის დადგენის შესახებ ამ ტრენდის უფრო სრული დისკუსიისთვის და იმისთვის, თუ როგორც ავირდით მსგავსი საფრთხეები იხილეთ გმსც და კოფი ანანის ფონდი, „კონვენციურის გამოწვევა: შეუძლიათ სიმართლის კომისიებს მშვიდობის პროცესის გაძლიერება?“ 2014, www.ictj.org/publication/challenging-conventional-can-truth-commissions-strengthen-peace-processes

ტექნიკური და მისაღები რეკომენდაციების შემუშავება და ძალადობის განმეორების პრევენციის პრაქტიკული და მარეგულირებელი ზომების შემუშავება.

ამ მასშტაბის ამოცანების შესასრულებლად სიმართლის კომისიებმა უკიდურესად რთული, თუმცა სრულიად ჩახლართული, ორგანიზაციული სტრუქტურები შექმნეს. დასახეს ამბიციური და, შესაბამისად, მიუღწეველი მიზნები. ზოგიერთმა სიმართლის კომისიამ ათი ათასობით ჩვენება მოიპოვა კანონმდებლობით ან საკუთარი ინიციატივით მათზე დაკისრებული მოთხოვნების შესრულებისთვის გაწეული ძალისხმევასა. მათ შეგროვილი ინფორმაციის ტალღით სარგებლობა ან გააზრება გაუჭირდათ და ხშირად საკუთარი ორგანიზაციული ტვირთის სიმძიმის მსხვერპლიც ხდებოდნენ.

გმც რეკომენდაციას არ უწევს ასეთ კომპლექსურ სიმართლის კომისიას, რომელიც მრავალი მიზნისთვის იმუშავებდა საქართველოში. ამის ნაცვლად, თუ საქართველო კომისიის შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას მაინც მიიღებს, გმც თვლის, რომ კომისიამ კონცენტრაცია კონკრეტული საქმის ფარგლებში ინდივიდუალურ დარღვევებზე არ მოახდინოს, არამედ, უპირველესად:

- შექმნას წარსული ძალადობის და დარღვევების ბუნების, ხასიათის და მოცულობის შესახებ საქართველოს უახლესი ისტორიის ზოგადი ანგარიში
- ახსნას ამ ძალადობის და კონფლიქტის კონტექსტი, მემკვიდრეობა და გამოკვეთოს მათი წარმოშობის და არსებული დაპირისპირების მიზეზები
- განსაზღვროს ინსტიტუტებში, ხელისუფლებაში და საზოგადოებაში არსებული სისტემური პრობლემები და იქ დამკვიდრებული პრაქტიკა, რომლებმაც გამოიწვია კონფლიქტი და რომლებმაც შესაძლოა მათი განმეორება განაპირობოს
- შეიმუშავოს ამ სისტემური პრობლემების, მიღებული პრაქტიკის და კონფლიქტების გააზრებისთვის რეკომენდაციები და სხვა ზომები

შესაძლოა სხვა კონტექსტებში შექმნილი გამოცდილების შემდეგი ასპექტების და ზომების გათვალისწინებამაც შეუწყოს საბოლოო წარმატებას ხელი:

- შეთავაზებულ სიმართლის კომისიას უნდა ჰქონდეს სახელმწიფო დოკუმენტებზე შეფერხების გარეშე წვდომის და სათანადო გარემოებებისას ჩვენებების გამოთხოვის უფლებამოსილება. იგი ვალდებული უნდა იყოს ნებისმიერ გარემოებაში პროცედურული მართლმსაჯულება დაიცვას.
- კომისიის წევრების და აპარატის თანამშრომლების შერჩევის პროცესი პოლიტიკური ზეგავლენისგან მკაცრად უნდა იყოს დაცული
- თუ ადამიანის უფლებათა დოკუმენტირების ყოვლისმომცველი პროგრამა შეიქმნება, იგი კომისიას მასობრივი განცხადების საჭიროებისგან დააზღვევს და ნებას დართავს თავმოყრილი დოკუმენტაციით გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხებზე, პრაქტიკაზე და ღონისძიებებზე სიღრმისეული და კონცენტრირებული მოკვლევა ჩაატაროს.²²⁴
- აქცენტი პროცესებში საზოგადოების ყველა მნიშვნელოვანი სექტორის მონაწილეობაზე უნდა გაკეთდეს, დაზარებულთა ჩათვლით, რომლებიც მნიშვნელოვან თემებზე საჩივრების შემოტანის და სხდომებში მათი მონაწილეობისთვის უნდა წავახალისოთ.
- შეძლებისდაგვარად სიმართლის კომისია უნდა აღიჭურვოს უფლებამოსილებით, გადასცეს საკითხები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის და კომპენსაციის ორგანოებს.

224 თუ დოკუმენტაციის პროცესი გამოავლენს, რომ მატერიალური კომპენსაციის მიღმა არსებობს ინდივიდუალური გამოყოფის საჭიროება, შესაძლებელია ქვეყნის მასშტაბით მსხვერპლის მოსმენების ორგანიზების გათვალისწინება. ალტერნატიულად, მსხვერპლის მოსმენების ჩატარება პოტენციურად შესაძლოა დაევალოს შეთავაზებულ კომპენსირების მექანიზმს, რომელიც განხილული იქნება შემდგომში და რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაუკავშირდეს მსხვერპლს.

თუკი შეთავაზებულ სიმართლის კომისიას ყველა დარღვევის თითოეული საქმის საფუძველზე გამოძიების ან მასობრივი განაცხადის შემუშავების ვალდებულება არ ექნება, ასეთი კომისია პოტენციურად საკუთარ საქმიანობას ერთი წლიდან 18 თვის ვადაში დაასრულებს, კომისიის შექმნის და დახურვის დროის გამოკლებით.

ინსტიტუციური რეფორმა და შეფასება

- თავიდან უნდა იქნას აცილებული შეფასების პოლიტიზებული პროგრამა, რომელიც ადამიანების მონაწილეობას რომელიმე ორგანიზაციასთან ასოცირების ან მისი წევრობის საფუძველზე გამორიცხავს. ინსტიტუციების რეკონსტრუქციის მიზნით, უპირატესობა კომპეტენციაზე დაფუძნებულ და სექტორით განპირობებულ, სამართლიანი და ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე გაკეთებულ შეფასებას უნდა მიენიჭოს,

ინსტიტუციურ რეფორმასთან მიმართებით არსებობს რეკომენდაცია, რომ მმართველობის სისტემური პრობლემები შემოთავაზებული სიმართლის კომისიამ განსაზღვროს და შეიმუშავოს მათი დაძლევისათვის ნაბიჯების და ზომების თაობაზე რეკომენდაციები. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ, როგორც ჩანს, საქართველოში გარკვეული ფორმის შეფასების საზოგადოებრივი ოფისის მოთხოვნა არსებობს, სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შესაძლებელია გარკვეული გაფრთხილებების შეთავაზება.

ეროვნულ ლუსტრაციას ან შეფასების პროგრამას, რომელიც ადამიანებს დაუსაბუთებლად გამორიცხავს, როგორც არის ამა თუ იმ ორგანიზაციასთან კავშირი ან წევრობა, შესაძლოა ქვეყნისთვის კატასტროფული შედეგები ჰქონდეს.²²⁵ შეფასების პოლიტიკურმა ზომებმა შესაძლოა სახელმწიფოს ინსტიტუტებში საზოგადოების ნდობა გაანადგუროს, რაც, დამატებით, ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევებში გადაიზრდება. მეორე მხრივ, ინსტიტუტების ხელახალი მშენებლობისათვის კომპეტენციაზე დაფუძნებული, სექტორით განპირობებული შეფასება მათი უფრო წარმატებული ფუნქციონირებისთვის და ამ სექტორებში მოქალაქეების ნდობის აღდგენისთვის შესაძლოა უფრო ეფექტიანი აღმოჩნდეს. ასეთი პროგრამები თითოეული საქმის მიხედვით აპარატის თანამშრომლების კომპეტენციის და შესაბამისობის შემოწმებას, მათ შორის ადამიანის უფლებათა დარღვევის ისტორიის შემოწმებას უნდა მოიცავდეს.²²⁶

ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ერთი რელევანტური გამოცდილება არსებობს, რომელიც სასამართლო ხელისუფლების მიკერძოებულობის შესახებ არსებული მოსაზრებების გადალახვის მიზნით განხორციელდა. მოსამართლეების და პროკურორების ხელახალი შეფასებისათვის იქ შეფასების ფართომასშტაბიანი პროცესი განხორციელდა. შეიქმნა მოსამართლეების და პროკურორების თვითრეგულირების უწყება, სასამართლო და პროკურატურის უმაღლესი საბჭო და მის ამოცანად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და პროფესიონალური მართლმსაჯულების უზრუნველყოფა განისაზღვრა. 2002-2004 წლებში მოსამართლეები და პროკურორები თანამდებობის დასაკავებლად ვალდებულნი იყვნენ ხელახლა მიეღოთ კონკურსში მონაწილეობა²²⁷ საბჭომ მონაწილეების პროფესიული კომპეტენცია, კეთილსინდისიერება და მიუკერძოებლობის შესაძლებლობა შეაფასა და კონფლიქტთან დაკავშირებული საჩივრებიც გაითვალისწინა მოსამართლეების

225 მაგალითად სადამ ჰუსეინის რეჟიმის შემდეგ ერაყში განხორციელებული დე-ბაასიზაციის პროცესი იმდენად პოლიტიზებული და იმდენად ზოგადი იყო, რომ მან დესტაბილიზაცია და მმართველობის სისტემის სრული კოლაფსი გამოიწვია: იხ. მირანდა სისონსი და აბდულრაჰმან ალ-სეიდი, „მწარე მემკვიდრეობა: დე-ბაასიზაციის გაკვეთილები ერაყში“, 2013, ICTJ, www.ictj.org/publication/bitter-legacy-lessons-de-baathification-iraq

226 ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია, OECD DAC უსაფრთხოების სისტემის რეფორმა, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების ხელშეწყობის სახელმძღვანელო, 2007; გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, პოსტ-კონფლიქტურ დასახლებებში საჯარო მოხელეების შეფასება: ოპერაციული სახელმძღვანელო პრინციპები, 2006; გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისი, სამართლის უზენაესობის ინსტრუმენტები პოსტ-კონფლიქტის სახელმწიფოებისთვის: შეფასება: ოპერაციული ჩარჩო, 2006.

227 ალექსანდერ მეიერ-რიეცი, „შეფასება-მომავალი ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის: პოლიციის, სასამართლო და პროკურატურის ოფისის რეფორმა ბოსნია და ჰერცეგოვინაში“, მართლმსაჯულება როგორც პრევენცია: საჯარო მოხელეების შეფასება გარდამავალ საზოგადოებაში, ალექსანდერ მეიერ-რიეცი და პაბლო დე გრეფი, რედ. (New York: SSRIC, 2007), 180, 195-96, <http://sro.sussex.ac.uk/52113/1/Netting.pdf>

წინააღმდეგ.²²⁸ მოსამართლეებს და პროკურორებს მტკიცებულებები უნდა წარმოედგინათ სხვადასხვა კანონებთან მათი შესაბამისობის თაობაზე. მათ უნდა წარმოედგინათ: ინფორმაცია ნებისმიერი პოლიტიკურ აქტივობაზე, პირადი ქონების შესახებ ჩანაწერები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია წარსულში მათი სამხედრო ან სამხედროს მსგავსი საქმიანობის თაობაზე, ინფორმაცია ხელისუფლებაში წარსულში დაკავებული თანამდებობების შესახებ და კონფლიქტის დროს მათი სამოსამართლეო ანგარიში.²²⁹ შეფასების პროცედურამ მართლმსაჯულების სიდიდე შეამცირა და ადეკვატურ ეთნიკურ წარმომადგენლობას შეუწყო ხელი. შეფასებული 1000 განმცხადებელიდან, საბჭომ დაახლოებით 200 განმცხადებელს უთხრა უარი.²³⁰

რეპარაციის და რეაბილიტაციის უწყება

- რეკომენდებულია მსხვერპლთან დასაკავშირებლად დამოუკიდებელი სააგენტოს ან მექანიზმის შექმნა, საჭიროებების და პრიორიტეტების შეფასება და გონივრული და განხორციელებადი კომპენსაციის პროგრამის შემუშავება და მისი დაწყება.

ასეთი მექანიზმი წესით დაზარალებულთან დასაკავშირებლად და მისი იდენტიფიკაციისთვის გამოიყენება, რაც მათ, დარღვევების ან ზიანის საკუთარი გამოცდილების შესახებ საჯაროდ ან პრივატულ გარემოში საუბრისას საკუთარი საჭიროებების ჩამოაყალიბების შესაძლებლობას აძლევს. ზემოთ შემოთავაზებული საწყისი ეროვნული დოკუმენტირების პროექტი შეავსებს კომპენსაციის პოლიტიკის განსაზღვრას და მისთვის ფორმის მიცემას გაადვილებს. ამ აქტივობის შედეგებმა პოტენციური მსხვერპლის ოდენობა, მათ მიერ განცდილი ზიანის ზოგადი ბუნება ისევე, როგორც მათი ადგილმდებარეობა უნდა წარმოაჩინოს. ამ მონაცემების გამოყენება ნებისმიერი შემდგომი კომპენსაციის ინიციატივის ფარგლებში შესაძლებელი, რათა კომპენსაციის მიმართ ინფორმირებული მიდგომა დაიგეგმოს, და, განსაკუთრებით, ინკლუზიური სარეგისტრაციო პროგრამა შეიქმნას.

ბუნებრივია, შემუშავებულმა პროგრამამ საქართველოს კონტექსტში არსებული ხელმისაწვდომობა უნდა გაითვალისწინოს, თუმცა პროგრამა 2005 წლის გაერთიანებული ერების კომპენსაციის და ზიანის ანაზღაურების პრინციპებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან მაქსიმალურ თანხვედრაში უნდა იყოს.

პროცესის ბევრმა მონაწილემ ინტერვიუების დროს აღნიშნა, რომ მთავრობა კომპენსაციის პროგრამის ამოქმედებას ყველაზე მეტად შემზღუდველი ხარჯების გამო ყოყმანობდა, რომელიც ნი მილიარდ აშშ-ს დოლარამდე შეიძლება იყოს. რაც ეროვნულ ბიუჯეტს მნიშვნელოვან ტვირთად დააწვებოდა. დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ კომპენსაციის პროგრამები არასდროსაა „ყველაფერი ან არაფერის“ საკითხი, მეტიც, როგორც წესი კომპენსაციის პროგრამები მიზნად სრულ კომპენსაციას არ ისახავენ. ზოგადად, მსხვერპლს, რომელსაც სურს ყოვლისმომცველი კომპენსაცია, სასამართლოში ზიანის შესახებ სარჩელის შეტანა დასჭირდება. ვინაიდან თითოეულ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების მიღება არარეალისტური დაშვებაა, უმეტეს ქვეყნებში, რომლებიც კონფლიქტის ან ძალადობრივი მმართველობის მდგომარეობიდან გამოდიან, კომპენსაციის ადმინისტრაციული პროგრამები იმ პირების აღიარების და მხარდაჭერის საშუალებების უზრუნველყოფისთვის იქმნება, რომლებმაც მიიღეს ზიანი და არიან სერიოზული დარღვევების მსხვერპლი.

დამატებით აღსანიშნავია, რომ კომპენსაცია დაუყოვნებლივ ან ერთბაშად არ ხდება. შესაძლებელია გონივრული ზომების მიღება, არსებული რესურსების ფარგლებში რეპარაციის უფლების პროგრესული რეალიზაციის მისაღწევად. სადაც სახელმწიფო აც-

228 იქვე.

229 ასევე იხილეთ კენის მოსამართლეების და მაგისტრატების შეფასების საბჭოს მაგალითი, www.jmvb.or.ke/

230 გამსც ყოფილი იუგოსლავიის შესახებ ფაქტები, 2

ხადებს, რომ მას არ აქვს რესურსები, იგი ვალდებული უნდა იყოს რესურსების არარსებობა დაადასტუროს და რესურსების შეზღუდულობის დაძლევის ხანგრძლივადიანი გეგმა წარმოადგინოს.

ხელმისაწვდომობის არგუმენტი თითქოს ხელზე ფულის გადახდას გულისხმობს და რეპარაციის სხვა ფორმებს გამოირიცხავს. მართალია დაზარალებული ხშირად ინდივიდუალურ გრანტს როგორც მისი საშუალებით საკუთარი ცხოვრების რადიკალური ცვლილების ახალ შესაძლებლობად განიხილავს, მაგრამ რეპარაციის სხვა აზრიანი ფორმებიც არსებობს. რაც მატერიალურ სარგებელს, მაგალითად ჯანმრთელობის დაცვას, საგანმანათლებლო სტიპენდიას, უნარების ტრენინგს და მიკროსაფინანსო სესხებს გულისხმობს.

მსხვერპლის და მისი ოჯახის დანაკარგის, ტკივილის და ტანჯვის კომპენსაციისთვის შესაძლებელია სხვა ნაბიჯების გადადგმაც. უფრო ზოგადი აღიარება სიმბოლური რეპარაციის გზითაცაა შესაძლებელი, როგორც არის მემორიალი, საჯარო სივრცეების სახელის ცვლილება ან ოფიციალური ბოდიში.

წამების მტკიცების სტანდარტის და მტკიცებულებათა არარსებობის საკითხთან დაკავშირებით უნდა ვაღიაროთ, რომ ადმინისტრაციული რეპარაციის პროგრამების უმრავლესობა არ არის სამართლებრივი სამართალწარმოება, რომელიც სისხლის ან სამოქალაქო სამართლის მტკიცების ტვირთს უნდა აკმაყოფილებდეს. როგორც წესი უფრო დაბალი თამასა გამოიყენება რეპარაციის პროგრამებში, რომლის მიზანიც მსხვერპლის ვინაობის და მიღებული ზიანის ბუნების და მოცულობის განსაზღვრაა, რაც ზოგადად ალბათობების გათვალისწინებით ხდება. მკაფიო ან სისხლის სამართლის მტკიცებულების არარსებობა თავისთავად არ არის რეპარაციაზე განაცხადის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი, სადაც არსებული ფაქტები და გარემოებები მსხვერპლის სტატუსს მიუთითებს.

იმის დასადგენად, თუ რა სახის ზიანის და დანაკარგის ანაზღაურებას უნდა ითვალისწინებდეს რეპარაციის პროგრამა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება იაქნება საჭირო. მაგალითად, რეპარაციის პროგრამა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შედეგად ჩამორთმეული კერძო საკუთრების ან მიწის რესტიტუციის მოთხოვნასაც უნდა ითვალისწინებდეს? შესაძლებელია მოთხოვნის და დავის ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც დეტალურ და ტექნიკურ მოკვლევას მოითხოვს, რასაც თავს ყველაზე კარგად მიწის რესტიტუციის სპეციალური კომისია გაართმევს.²³¹ უპირველესად ეს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები ქართველების მისაღება.

მართლმსაჯულების ხარვეზების კომპენსაცია

- მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დამოუკიდებელი კომისიის შექმნა და გააზრებული რეკომენდაციის შემუშავება თითოეული საქმისთვის, იქნება ეს ხელახალი სასამართლო პროცესი ან ბოდიშის მოხდა. ხელახალი სასამართლო პროცესებისთვის მოსამართლეების ისეთი კანდიდატებისგან შერჩევა, რომლებიც მართლმსაჯულების ხარვეზებთან არ არიან დაკავშირებული ან რომლებიც დამოუკიდებელ მოსამართლეებად მიიჩნევიან და მათი კეთილსინდისიერება ეჭვგარეშეა.

როგორც ჩანს საქართველოში აღიარებენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის სერიოზულ ხარვეზებს, რომლებმაც მართლმსაჯულების მრავალი ხარვეზი განაპირობა და მათი ყურადღების მიღმა დატოვება არ შეიძლება. აღიარებენ იმასაც, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებების დაძლევა ან გაუქმება მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების მიერაა შესაძლებელი. მართალია პრეზიდენტის შეწყალების უფლებამოსილებას სასამართლოს გადაწყვეტილების დაძლევა ან გაუქმება არ შეუძლია, მაგრამ კონსტიტუციის საფუძველზე პრეზიდენტს საკუთარი უფლებამოსილებით

231 იხ. მიწის უფლებების რესტიტუციის სამხრეთ აფრიკის კომისიის მაგალითი. www.nationalgovernment.co.za/units/view/62/Economic-Infrastructure-Development/Commission-on-Restitution-of-Land-Rights

შეწყალების სახით პასუხისმგებლობის გათავისუფლების შეთავაზება, ასევე ნებისმიერი განსაკუთრებული სასჯელის და, თუ პრეზიდენტი საჭიროდ მიიჩნევს, სისხლის სამართლის ნასამართლეობის სრულად გაქარწყლებაც შეუძლია.²³² შესაბამისად კომპენსაცია სასამართლოს კომპეტენციაში უნდა რჩებოდეს ან შეწყალების უფლებამოსილების გამოყენებას გულისხმობდეს ან ორივეს კომბინაციას წარმოადგენდეს.

მართლმსაჯულების ხარვეზის ჩადენაში შემჩნეული ბევრი მოსამართლე კვლავ სასამართლო ხელისუფლების ნაწილია და მართლმსაჯულების რეფორმა ნელა მიმდინარეობს. ეს ამ საქმეების ჩვეულებრივ რეჟიმში განსახილველად სასამართლო ხელისუფლების არასათანადო აღჭურვაზე მიუთითებს. გაცემულია რეკომენდაცია უზენაეს სასამართლოში ამ საქმეების განხილვისთვის სპეციალური პანელის ან პალატის შექმნაზე, რომლისთვისაც განსაკუთრებული სიფრთხილით შეირჩევიან მოსამართლეები, რომლებიც მართლმსაჯულების ხარვეზებთან არ იქნებიან დაკავშირებული.

ვენეციის კომისია მიიჩნევს, რომ მხოლოდ შესაბამის უფლებებით აღჭურვილ სასამართლოს შეუძლია გააუქმოს მეორე სასამართლოს დადგენილება, ის არ გამოირჩევა სპეციალური შემსწავლელი კომისიის მიერ მნიშვნელოვან საგამოძიებო და სხვა მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარებას. ის დადებითად მოიხსენიებს ინგლისის, უელსის, ჩრდილოეთ ირლანდიის²³³ და ნორვეგიის სისხლის სამართლის საქმეების შემსწავლელი კომისიის გამოცდილებას.²³⁴ ორივე შემთხვევაში შემსწავლელ კომისიას არ გაუკეთებია საბოლოო დასკვნები, არამედ უფრო რჩევით შემოიფარგლა, თუ რომელი საქმეები უნდა გადაეცეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

შესაბამისად გმსც-ი შემდეგ რეკომენდაციას გასცემს:

- უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი შემსწავლელი კომისია ყველა სავარაუდო მართლმსაჯულების ხარვეზის დადგენისათვის და უნდა მოხდეს ყოველ საქმეზე დასაბუთებული რეკომენდაციების ჩამოყალიბება. ასეთი შემსწავლელი კომისია, ვენეციის კომისიის მიერ შემოთავაზებულ სტანდარტებს უნდა პასუხობდეს. შესაბამის პირობების არსებობისას, საქმეების შემსწავლელ კომისია აღჭურვილი უნდა იყოს პრეზიდენტისთვის შეწყალების თხოვნით მიმართვის უფლებით.
- კომისიის მიერ ამა თუ იმ საქმის სასამართლოსთვის ხელმეორედ განსახილველად გადაცემის რეკომენდაციისას, საქმე ხელმეორედ იმ მოსამართლემ უნდა განიხილოს, რომლის რეპუტაციასაც მართლმსაჯულების ამგვარ ხარვეზებთან კავშირი არ აქვს. ეს უნდა მოხდეს სპეციალური პალატის მიერ ან ალტერნატიულად სასამართლოს თავმჯდომარე შესაძლოა შეუბღალავი რეპუტაციის მქონე დამოუკიდებელი მოსამართლეების პანელიდან ან ასეთი რეპუტაციის მოსამართლეების რიგებიდან შეირჩეს.²³⁵
- შერჩევის პროცესი უნდა იყო სრულიად ღია და გამჭვირვალე. საჯაროდ უნდა იყოს ცნობილი შერჩევის კრიტერიუმები და საბოლოო არჩევნის გაკეთებამდე, როგორც

232 საქართველოს კონსტიტუცია, 73-ე მუხლი, 1 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი.

233 სისხლის სამართლის საქმეების შემსწავლელი კომისია (გაერთიანებული სამეფო), ვებგვერდი www.ccr.gov.uk/about-us/what-we-do/

234 ნორვეგიის სისხლის სამართლის საქმეების შემსწავლელი კომისია, „წარმოადგენთ კომისიას“ www.gjenopptakelse.no/index.php?id=166

235 მართალია ვენეციის კომისიის „მართლმსაჯულების ხარვეზების შესწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის კანონის პროექტის შესახებ ერთიანი პოზიცია“ დაასკვნა, რომ „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი სპეციალური პალატის“ შექმნა ეწინააღმდეგება საგანგებო სასამართლოების საკონსტიტუციო აკრძალვას (83 აბზაცი. რეკომენდაცია ნომერი 15), ამდენად აქ მხოლოდ სპეციალურ სასამართლოზე შეიძლება იყოს საუბარი, და არა უკვე არსებული სასამართლოს ფარგლებში მოქმედი პალატის შექმნაზე. ეს ბანალური ჭეშმარიტებაა იმ ქვეყნებში, სადაც კონსტიტუცია სპეციალური სასამართლოების შექმნას კრძალავს და პალატის შექმნას იმ პირობით უშვებს, თუკი ის სპეციალურ შემთხვევებს მხოლოდ არსებული სასამართლოს ფარგლებში განიხილავს. ამის მაგალითია ტუნისი, სადაც ტუნისის რესპუბლიკის კონსტიტუციის 110-ე მუხლი (2014) სპეციალური სასამართლოების შექმნას კრძალავს. ამის მიუხედავად გარდამავალი მართლმსაჯულების შესახებ ორგანული კანონი განსაზღვრავს სამართლოს ფარგლებში სპეციალური პალატის შექმნის უფლებამოსილებას, რომელსაც ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების განხილვა შეუძლია. იხ. გმსც, „გმსც ტუნისი გარდამავალი მართლმსაჯულების ისტორიულ კანონს მიესალმება“, 17 სექტემბერი, 2013 წელი, www.ictj.org/news/ictj-welcomes-tunisia%E2%80%99s-historic-transitional-justice-law

იურისტების პროფესიის წარმომადგენლებს ისე საზოგადოების ფართო წრეებს ყველა კანდიდატის წარსულ საქმიანობაზე კომენტარების გაკეთების საშუალება უნდა ჰქონდეთ. დღეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც მოსამართლეების დანიშვნის უფლებით კონსტიტუციის საფუძველზე აღჭურვილი, არ ითვლება სრულიად დამოუკიდებლად, ამიტომ ეს ფუნქცია მას არ უნდა დაეკისროს.

დამოუკიდებელი საგამოძიებო სააგენტო

- **კომპეტენტური, კარგად აღჭურვილი და პოლიტიკური ჩარევისგან დაცული „და-მოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის“ შექმნა.**

ამ პროცესში ჩართული მნიშვნელოვან მონაწილეთა უმრავლესობა, რომლებთანაც საქართველოში ინტერვიუ გაიმართა, აღიარებს სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულის, კერძოდ სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესწავლის მიზნით შესაბამისად აღჭურვილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი უწყების შექმნის აუცილებლობას. მთავრობაც თანახმაა შექმნას ასეთი მექანიზმი.²³⁶

როგორც უკვე ითქვა, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის ოფისმა, ფონდმა ღია საზოგადოებამ და ევროსაბჭომ საზოგადოებას „დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის“ შექმნის კანონის პროექტი შესთავაზა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა პოლიტიკური ჩარევისგან.

შემდგომი რეკომენდაციები ამ კანონპროექტზე ფოკუსირებული და საზოგადოებას საქართველოს კონტექსტის თავისებურებებიდან გამომდინარე რამდენიმე მნიშვნელოვან მოდიფიკაციას სთავაზობს, რომელიც უახლოეს წარსულში სისხლის სამართლის სფეროში დაუფარავი პოლიტიკური ჩარევით გამოირჩეოდა.²³⁷ ისინი სხვა კონტექსტებში საუკეთესო პრაქტიკის და გამოცდილების ჩამოყალიბებას ასახავს და საქართველოსთვის შეიძლება რელევანტური აღმოჩნდეს.

- **სისხლის სამართლის დევნის წარმოების ძალაუფლებით აღჭურვისას აუცილებელია ყველა საკონსტიტუციო საკითხის განხილვა**

კანონის პროექტი სპეციალური საგამომძიებლო და სისხლის სამართლის დევნის მექანიზმის არსებული პროკურატურისგან დამოუკიდებლად შექმნას გულისხმობს, მას სათავეში კომისარი ჩაუდგება, რომელსაც დახმარებას მის მიერვე შერჩეული გამოძიებლები და პროკურორები გაუწევენ.

ასეთ ინიციატივებში პროკურორების ჩართვა გამოძიებისას მოპოვებული მტკიცებულებების სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას უზრუნველყოფს. გამოძიებლებსა და პროკურორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა მსოფლიოში განვითარებულ ტენდენციას შეესატყვისება, განსაკუთრებით, როდესაც დამნაშავე ძლიერია ან პოლიტიკური კავშირების მქონეა ან/და როდესაც სისხლის სამართლის დანაშაული რთული ბუნებისაა ან როდესაც ასეთი დანაშაული ენდემურ ხასიათს ატარებს.²³⁸ ეფექტიან სპე-

236 საქართველოს მთავრობა, ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა 2014 – 2016, 6.6.1 პუნქტები (პროკურორების და პოლიციის ოფიცრების მიერ ჩადენილი დარღვევების შესწავლის მიზნით პროფესიული, დამოუკიდებელი, ძლიერი და სანდო მექანიზმის შექმნა.)

237 რეკომენდაციებში ყურადღება არ არის გამახვილებული საუკეთესო პრაქტიკის სახვადსხვა შემთხვევებზე, რისი ხილვის იმედიც სპეციალურ გამოძიებაში შეიძლება გვექნოდეს, როგორცაა მულტიდისციპლინარული გამოძიება, მოწვევების დაცვა, დაზარალებულთა დახმარება და სოციალური დახმარება. ასეთი რეკომენდაციები შეიძლება გაკეთდეს როდესაც სახელმწიფო ცდილობს ამგვარი გამოძიების დაწყებას.

238 იხილეთ მარტინ შიონტაიხი, „პრემენტაცია: პროკურატურის მიერ წარმოებული გამოძიება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ინოვაციური მიდგომა.“ 2005 წლის 6 დეკემბერი, ღია საზოგადოების მართლმსაჯულების ინიციატივა. <http://biblioteca.cejamerica.org/bitstream/handle/2015/3188/schoenteich-prosecution-led-ing.pdf?sequence=1&isAllowed=y>; დესპინა კიპრიანუ, „საპროკურორო სისტემის შედარებითი ანალიზი (ნაწ. მე-2): სისხლის სამართლის დევნის როლი გამოძიებისას და სისხლის სამართლის დევნის პრინციპები და პოლიტიკა.“ 7 კვიპროსის და ევროპული სამართლის მიმოხილვა (2008) სისხლის სამართლის დევნასთან დაკავშირებული ევროსაბჭოს რეკომენდაციები, რეკ. (2000) 19, რეკ (92) 17 რეკ (95) 12. <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804be55a>

ციალურ სამსახურს უნდა ჰქონდეს საგამოძიებო, საპროკურორო და, სადაც ეს გამართლებული იქნება, პრევენციის შესაბამისი უფლებები.

რადგან საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლის²³⁹ თანახმად პროკურატურის საქმიანობაზე იუსტიციის სამინისტროა პასუხისმგებელი, საჭიროა მსჯელობა იმის თაობაზე საჭიროებს თუ არა ეს მუხლი ცვლილებებს, რათა პროკურორებს ჰქონდეთ შეთავაზებულ მექანიზმში საქმიანობის უფლება.

• **შეთავაზებული მექანიზმის დამოუკიდებლობის და ავტონომიურობის უზრუნველყოფის გარანტიების გაუმჯობესება**

საზოგადოების რწმენა და მოლოდინი, რომ შეთავაზებული უწყება იქნება დამოუკიდებელი ფუნდამენტურია საკუთრივ დამოუკიდებლობის იდეისთვის.²⁴⁰ ამ თვალსაზრისით არსებითია, პოლიტიკური მენეჯმენტისგან და კონტროლისგან ეს გამოიყვანა იქნება თუ არა რეალური და ასეთად აღიქმება თუ არა საზოგადოების მიერ.²⁴¹ ამ უწყების ფაქტობრივი და აღქმადი დამოუკიდებლობის ხელშეწყობისთვის უფრო მეტი შეიძლება გაკეთდეს. ეს გულისხმობს ინსტიტუციის სანდო სტრუქტურულ და სამოქმედო დამოუკიდებლობას, ინდივიდების და ინსტიტუციის ფინანსურ უსაფრთხოებას და ამავე დროს თანამდებობის დაკავების უსაფრთხოებას და თანამშრომლების დანიშვნის და განთავისუფლების ნათელ კრიტერიუმებს, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირებისთვის.

- **სტრუქტურული და სამოქმედო დამოუკიდებლობის თვალსაზრისით** უწყებას თავიდანვე ისეთი სტრუქტურა უნდა ჰქონდეს, რომელიც მას გარეშე ჩარევისგან დააბლვევს. როგორც ეს კანონის პროექტით არის განსაზღვრული, მისი წესდებით უნდა განისაზღვროს მისი დამოუკიდებლობის გარანტიები და იდეალურ შემთხვევაში იგი გარანტირებული უნდა იყოს კონსტიტუციით. უწყებას, მისი ფართე საკანონმდებლო მანდატის და მისი პოლიტიკის განმსაზღვრელი დირექტივების თანახმად, რომელსაც შეთავაზებული სამეთვალყურეო საბჭო (ქვემოთ განხილული) ჩამოაყალიბებს, უნდა შეეძლოს საკუთარი საგამოძიებო პოლიტიკის და გამოძიების ფარგლების განსაზღვრა, მათ შორის ეროვნული მნიშვნელობის სისხლის სამართლის დანაშაულის შერჩევა გამოძიებისათვის.
- **ავტონომიასთან დაკავშირებით** მექანიზმს უნდა შეეძლოს საკუთარი ფინანსების განკარგვა, საკუთარი გადაწყვეტილებით ხარჯების გაწევა და რესურსების გადანაწილება. დამატებით, გაერთიანებული ერების კორუფციის წინააღმდეგ კონვენცია,²⁴² სასამართლო პროცედურების გარეშე დასჯის პრევენციის და გამოძიების პრინციპები²⁴³ და გაერთიანებული ერების წამების გამოძიების პრინციპები მოითხოვს, რომ გამომძიებლებს საგამოძიებო საქმიანობის ეფექტური წარმართვისთვის საჭირო აუცილებელი საბიუჯეტო და ტექნიკური რესურსები უნდა ჰქონდეთ.²⁴⁴
- **რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით**, ცხადი უნდა იყოს, რომ გამოძიების ბიუჯეტს, მის რესურსებსა და ეფექტიან შედეგს შორის პირდაპირი

239 საქართველოს კონსტიტუციური კანონი, 15 ნოემბერი, 2010 წელი, 2010 წლის 15 ოქტომბერი, ნო. 3710 – საქართველოს საკანონმდებლო მაცნე I, ნო. 62, 5.11.2010, მუხლი 379.

240 კანადის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, Valente v. The Queen (1986) 24 DLR (4th) 161 (SCC)172, სადაც დადგინდა რომ დამოუკიდებლობის ტესტი დამოუკიდებლობის საჯარო აღქმასაც გულისხმობს.

241 სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, Gienister v President of the Republic of South Africa and Others (CCT 48/10) [2011] ZACC 6; 2011 (3) SA 347 (CC); 2011 (7) BCLR 651 (CC) (17 March 2011) 207 აბზაციდან, www.saflii.org/za/cases/ZACC/2011/6.html

242 გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა, გაერთიანებული ერების 2003 წლის კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ, ა/58/422 (2003)/ (2004) 43 ILM 37 (2003 წლის 31 ოქტომბერი, პარ. 6 (2) ამ კონვენციას საქართველო 2008 წლის 4 ნოემბერს შეუერთდა.

243 გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭო, ექსტრა-ლეგალური, თვითნებური და სასამართლო პროცედურების გარეშე დასჯის ეფექტიანი პრევენციის და გამოძიების პრინციპები, E/RES/1989/65 (14 July 1989), დანართი 10

244 გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა, წამების და სხვა სასტიკი, არადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან საჯარო ეფექტიანი გამოძიების და დოკუმენტაციის პრინციპები/RES/55/89 (22 თებერვალი, 2001 წელი), მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

კავშირი არსებობს.²⁴⁵ რადგან კანონის პროექტი არაფერს ამბობს დაფინანსების თაობაზე, ჩვენ ვთვლით, რომ უწყებას საკუთარი ბიუჯეტის შედგენისას პარლამენტის ან მისი შესაბამისი კომიტეტების წინაშე წარდგომის და ამ საკითხის ირგვლივ გამართულ დისკუსიებში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს, მათ შორის უწყების მეთაურს უნდა ჰქონდეს სათანადო შესაძლებლობა პარლამენტისა და კომიტეტის წინაშე დაიცვას უწყების ბიუჯეტი. ამ უწყების კომისარი უნდა იყოს მისი ბუღალტერი და ამავე დროს უწყების ბიუჯეტის შედგენაზე პასუხისმგებელი. თუკი საქართველოს მთავრობა სანდო გამოძიების ჩატარების სურვილს გამოამჟღავნებს, მაგრამ საამისოდ არ ექნება საკმარისი საფინანსო რესურსები, სისხლის სამართლის გამოძიებების და სხვა სფეროებში ექსპერტების ნაკლებობა,²⁴⁶ საერთაშორისო საზოგადოებამ მას ფინანსური და ექსპერტული დახმარება უნდა გაუწიოს ყოველგვარი გაუმართლებელი წინაპირობების გარეშე.

- **თანამშრომლების დანიშვნა და განთავსების უფლება** როგორც დამოუკიდებელი მექანიზმის, ასევე ზემოხსენებულ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მაქსიმალურად არ უნდა იყოს პოლიტიზებული. ინსტიტუციის მანდატის სენსიტიურობა მოითხოვს, რომ მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნა კანონზე დაფუძნებულ კრიტერიუმის საფუძველზე ხდებოდეს, რომელიც ზუსტად ქინება დაცული. პოლიტიზებული პროცესი ყველაზე კვალიფიციური და შესატყვისი ხელმძღვანელების არჩევას არ უზრუნველყოფს, არამედ იმის წინაპირობას ქმნის, რომ ისინი პოლიტიკური მფარველების ბრძანებების შემსრულებლებად იქცნენ. ამგვარი შედეგებისგან დასაზღვევად ზოგიერთმა სახელმწიფომ შექმნა სპეციალური უწყებები, რომლებსაც მნიშვნელოვან პოსტებზე სანდო და ობიექტური დანიშვნები ევალებათ.²⁴⁷ დანიშვნებზე პასუხისმგებელი უწყება საპატივცემულო და ღირსეული პირებისგან უნდა შედგებოდეს, რომლებსაც მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების წევრებისგან შეარჩევნებენ. ხელმძღვანელი პირების დანიშვნის კრიტერიუმი როგორც სპეციალურ საგამოძიებო უწყებაში ისევე, როგორც შემოთავაზებულ სამეთვალყურეო საბჭოში კანონით უნდა იყოს განსაზღვრული და ის მკაცრად უნდა დაიცვან. გმც-ის ხედვით, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის უფროსის დანიშვნის თაობაზე კანონის პროექტში მითითებული კრიტერიუმები და პროცედურები საუკეთესო პრაქტიკას შეესაბამება.²⁴⁸ თუმცა ჩვენ ვთვლით, რომ გამოძიებლების და პროკურორების დანიშვნისას ამ ორგანოს თავმჯდომარეს გადაწყვეტი ხმა უნდა ჰქონდეს, მაგრამ კანდიდატების დანიშვნა მხოლოდ კანონპროექტის მე-10 მუხლით განსაზღვრული პანელის მიერ წარმოდგენილი სიის საფუძველზე უნდა ხდებოდეს.
- **თანამდებობის დაკავების ვადის უსაფრთხოების თაობაზე**, კომისარი თანამდებობას ფიქსირებული და არ განახლებადი ვადით უნდა იკავებდეს, როგორც ეს კანონის პროექტით არის რეკომენდებული. დამატებით, კომისარის და უფროსი

245 ნებისმიერი გამოძიებას ხელთ უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსები, რათა მექანიზმმა შეძლოს მისი სამართლებრივი მანდატის შესაბამისი საქმიანობა, და არ შეიზღუდოს მისი დამოუკიდებლობა და ავტონომია. რესურსების სიმწირემ შესაძლოა სხვა უწყებებთან არასათანადო ფუნქციონალურ ურთიერთობებში შესვლა გამოიწვიოს. ეუთო, სპეციალიზირებული კორუფციასთან ბრძოლის ინსტიტუტები.: მოდელის მიმოხილვა, 2008 წელი, 17, 24 და 27 გვერდები.

246 უზრუნველყოფილი რესურსების ოდენობა ხშირად ინიციატივის პოლიტიკური მხარდაჭერის კარგი ინდიკატორია. პ. ოლსტონი, ექსტრა-სამართლებრივი, თვითნებური და სამართლებრივი პროცედურების გარეშე დასჯის საკითხებში სპეციალური მომსახურების ანგარიში, ადამიანის უფლებათა საბჭო, 2008 წელი, აბზაცი 30.

247 შრი ლანკაში საკონსტიტუციო საბჭო 2015 წელს შეიქმნა კონსტიტუციის მე-18 შესწორების საფუძველზე, მას აქვს განსაზღვრული მანდატი, კერძოდ ყველაზე მნიშვნელოვან თანამდებობებზე სათანადო ადამიანების დანიშვნის უზრუნველყოფა. http://slembassusa.org/downloads/19th_Amendment_E.pdf

248 იხილეთ კანონის პროექტი, მე-8 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს დანიშვნის შეთავაზებულ კრიტერიუმებს. ის განსაზღვრავს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კომისარის არჩევისათვის უწყების შექმნას, რომელიც 8 ანაზღაურების არ მქონე წევრისგან დაკომპლექტდება, მათ შორის იუსტიციის მინისტრი; საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საქმეთა კომიტეტის და ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წარმომადგენლები, რომლებიც მოიცავს უმცირესობაში მყოფი პოლიტიკური პარტიის წევრებს; პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი; საქართველოს სახალხო დამცველი; და სახალხო დამცველის მიერ შერჩეულ არასამთავრობო ორგანიზაციების 3 წარმომადგენელი. მე-10 მუხლი განსაზღვრავს „შესარჩევ კომისიას“ გამოძიებლების და პროკურორების შერჩევისთვის. ამ უწყების ნახევარს საჯარო თანამდებობის პირები უნდა შეადგენდნენ, ხოლო დანარჩენი, თანაბრად, სისხლის და ადამიანის უფლებათა ექსპერტებისგან უნდა შედგებოდეს.

თანამშრომლებისთვის ანაზღაურების დონე კანონით უნდა იყოს განსაზღვრული. უწყების ყველა წევრი დასაქმების უსაფრთხოების სპეციალური გარანტიებით უნდა სარგებლობდეს, რაც მათ საკუთარი სამუშაოს ბედშიწევნივით კეთილსინდისიერად შესრულების საშუალებას მისცემთ. თანამშრომლების განთავისუფლება ობიექტურად შემოწმებად მიზეზებს უნდა ეფუძნებოდეს, როგორც არის დისციპლინური გადაცდომა ან ავადმყოფობა.

- **დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საქმიანობის ზედამხედველობის და მექანიზმის მიერ საკუთარი საქმიანობის კანონის შესაბამისად წარმართვის უზრუნველსაყოფად, ასევე მანიპულირების ან ჩარევისგან დაცვისთვის საჭირო იქნება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა.**

დღეს, კანონის პროექტი ამ უწყების ზედამხედველობას და ანგარიშვალდებულებას წელიწადში ორჯერ პარლამენტისთვის ანგარიშის წარდგენითა და, მოთხოვნის საფუძველზე, პარლამენტის კომიტეტის წინაშე წარდგომით უზრუნველყოფს.²⁴⁹ დამატებით, მექანიზმის საზოგადოებრივი კონტროლი შესაძლებელია ვებგვერდის საშუალებით.²⁵⁰ სამწუხაროდ, დამოუკიდებელი მექანიზმის სპონსორების მიერ შეთავაზებული ანგარიშვალდებულების და ზედამხედველობის მეთოდი შესაძლოა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად და ზეწოლის და ჩარევისგან მექანიზმის დასაცავად საკმარისი არ აღმოჩნდეს. ამიტომ სასურველია ზედამხედველობის უფრო მტკიცე მექანიზმი შეიქმნას.

საპარლამენტო ზედამხედველობამ მნიშვნელოვანი შეკავება და კონტროლი შეიძლება უზრუნველჰყოს, რადგან ის პოლიტიკური სპექტრის პერსპექტივებს მოიცავს და გადაწყვეტილებების მოტივაციის თაობაზე რელევანტური კითხვების დასმას უზრუნველყოფს.²⁵¹ თუმცა, საკითხავია წელიწადში ორჯერ პარლამენტისთვის და, მოთხოვნის საფუძველზე, პარლამენტის კომიტეტისთვის წარდგენილ ანგარიშებს რამდენად შეუძლიათ მეთოდური და ეფექტიანი ზედამხედველობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით, თუკი, მაღალი ალბათობით, მრავალი საქმის წინააღმდეგობრივ და პოლიტიკურად მგრძობიარე ბუნებას გავითვალისწინებთ. საქართველოში, სისხლის სამართლის სისტემის პოლიტიკური მანიპულაციის ისტორიის გამოცდილებით, აუცილებელია უწყების აქტივობების უფრო პრაქტიკული და მიმდინარე ზედამხედველობა და ანგარიშვალდებულება, ცხადია საპარლამენტო ზედამხედველობასთან ერთად.

აქტიური ზედამხედველობის უზრუნველსაყოფად უნდა შეიქმნას სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც პატივსაცემი აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირები და სამოქალაქო საზოგადოების წევრები შევლენ. ასეთმა საზედამხედველო ორგანომ სარგებელი იმ მრავალფეროვანი გამოცდილებიდან უნდა მიიღოს, რასაც მის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრების, პროფესიულ ასოციაციების და მნიშვნელოვანი სახელმწიფო უწყებების ჩართვა მოიტანს და ამ მექანიზმმა ნებისმიერი პირის ან ჯგუფის მანიპულირებისგან თავისუფლების შენარჩუნება და მკაცრად კონსტიტუციის და კანონის შესაბამისად მოქმედება უნდა უზრუნველყოს.²⁵²

მართალია ასეთი საზედამხედველო ორგანო არ უნდა იყოს აღჭურვილი საგამოძიებო და სისხლის სამართლის დევნის გადაწყვეტილებების დაძლევის ძალაუფლებით, მაგრამ მან მექანიზმის საგამოძიებო პოლიტიკა, სახელმძღვანელო პრინციპები და

249 კანონის პროექტი, მე-17 მუხლი.

250 კანონის პროექტი, მე-18 მუხლი.

251 სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *Glenister v President of the Republic of South Africa and Others* (CCT 48/10) [2011] ZACC 6; 2011 (3) SA 347 (CC); 2011 (7) BCLR 651 (CC) (17 მარტი 2011 წელი) 239-ე აბზაცი.

252 1999 წელს სამხრეთ აფრიკაში შეიქმნა სპეციალური ოპერაციების დირექტორატი. იგი განსაკუთრებით ეფექტიანი სპეციალიზირებული საგამოძიებო უწყება იყო, მაგრამ ვერ სარგებლობდა საზედამხედველო ორგანოს დაცვით ან დირექტივებით. პოლიტიკური ზეწოლის გამო იგი 2008 წელს დაიხურა. იხილეთ სებასტიან ბერგერი, „სამხრეთ აფრიკის კრიმინალთან ბრძოლის უწყება საკუთარი წარმატების მსხვერპლია,“ *The National*, 29 ივლისი, 2008, www.thenational.ae/news/world/africa/south-african-crime-fighting-unit-stung-by-its-own-success

საქმიანობის მოთხოვნები უნდა განსაზღვროს და შეაფასოს, რამდენად თანხვედრაშია სახელმძღვანელო პრინციპებთან გამოძიების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, მათ შორის ისეთი ძალის გამოყენების უფლებამოსილება, როგორც არის ჩხრეკა და ქონების ჩამორთმევა. მან ასევე უნდა შეაფასოს უწყების სტრატეგიული მიმართულება და ეს შეფასებები თავად საგამოძიებო უწყებას და პარლამენტს მიაწოდოს. ასეთი საბჭო ასევე ანგარიშს უნდა აწვდიდეს საზოგადოებას, ისე რომ არ გათქვას დეტალები, რომლებიც დააზიანებს გამოძიებას. არსებობს საზედამხედველო ორგანოს პრევენციული დენტიები სამხრეთ აფრიკაში²⁵³ გაერთიანებულ სამეფოში²⁵⁴ და სხვა ქვეყნებში.

- შეიქმნას დამოუკიდებელი საჩვენებელი განმხილველი ორგანო, რომელიც მიიღებს და მოკვლევას აწარმოებს საგამოძიებო მექანიზმის მიერ ნებისმიერ უფლებათა შეზღუდვის ან დისციპლინური გადაცდენის თაობაზე საჩივარს, ისევე როგორც საჩივარს ნებისმიერ ბრალდებასთან დაკავშირებით არასათანადო ზეგავლენის ან გამოძიების წარმოებაში ჩარევის შესახებ.

დამოუკიდებელი დავების განმხილველი ორგანო შეთავაზებულ საბჭოს უნდა ექვემდებარებოდეს ან, ალტერნატიულად, შესაძლოა ცალკე ორგანოდ ჩამოყალიბდეს, რომელსაც საგამოძიებო უწყების საქმიანობის უფლებამოსილება ექნება.²⁵⁵ დავების განმხილველ საბჭოში საზოგადოების ნებისმიერ წევრს უნდა შეეძლოს გამოძიების საფუძველზე უფლებათა დარღვევის შესახებ საჩივრის წარდგენა. რაც შესაძლებელი უნდა იყოს საგამოძიებო უწყების ნებისმიერი წევრისთვის, რომელიც გამოძიების წარმოებისას არასათანადო ზეგავლენის ან პოლიტიკური თუ ნებისმიერი სხვა სახის ჩარევის მტკიცებულებას წარადგენს.²⁵⁶

- იურისდიქცია უნდა მოიცავდეს საჯარო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულებს ისევე, როგორც სხვა დანაშაულს, რომლებიც პრიორიტეტულ დანაშაულად ითვლება, რადგან საზოგადოებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს.

სასურველია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის უფლებამოსილებამ სხვა დანაშაულებიც მოიცვას. მაგალითად დანაშაულები, რომლებიც საზოგადოებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ან განსაკუთრებულ საფრთხეს შეიცავს, უფლებამოსილების გაფართოებისას გათვალისწინებული უნდა იყოს დანაშაულის მოცულობა, საზოგადოების მიერ მისი აღქმის სიმძაფრე ან/და სირთულე. სავარაუდოა, რომ სხვა მძიმე დანაშაულებსაც, კერძოდ კი სახელმწიფო თანამდებობის პირების ან დიდი ძალაუფლების მქონე ადამიანების ან სახელმწიფოსთან დაკავშირებული ადამიანების ან უწყებების მიერ ჩადენილ დანაშაულებს, ასევე, დამოუკიდებელ და სანდო გამოძიების ყურადღება დასტირდება.

253 1990 იან წლებში ორგანიზებული დაჯგუფებების, რომლებიც სამხრეთ აფრიკას ატერორებდნენ, წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო გამოძიების უწყებამ, რომელსაც სამოქალაქო საბჭო უწევდა ზედამხედველობას, საგამოძიებო საბჭო, რომელიც უსაფრთხოებისა და უშიშროების მინისტრის მიერ შეიქმნა. მელანი ლუი, „საგამოძიებო უწყების შექმნის მოკლე ისტორია: მტრების გაჩენა - კვა-ზული-ნატალის დაჯგუფებების დაშლა“, დანაშაული და კონფლიქტი, 1996 წელი.

254 გაერთიანებული სამეფოს ყოფილი ეროვნული კრიმინალური რაზმის საქმიანობას ზედამხედველობას უწევდა ეროვნული კრიმინალური რაზმის სამსახურის უწყება, რომელშიც დამოუკიდებელი ადამიანები და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები იყვნენ გაერთიანებული. მისი მეშვეობით ეროვნული სისხლის სამართლის სააგენტო, რომელიც არ არის სამინისტროს დეპარტამენტი და უძღვება მძიმე და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიებას, ამასთან ინარჩუნებს საბჭოს ზედამხედველობას „როგორ ვიმართებთ ჩვენ“, ვებგვერდი, www.nationalcrimeagency.gov.uk/about-us/how-we-are-run საბჭო აღმასრულებელი და ჩვეულებრივი ისევე როგორც დამკვირვებელი წევრებისგან შედგება, მათ შორის არიან პროფესიული კავშირების წარმომადგენლები, შინაგან საქმეთა ოფისის თანამდებობის პირები და სხვები, რომლებიც თავმჯდომარის მიერ არიან დანიშნული. საბჭოს ფუნქციები მოიცავს როგორც საკონსულტაციო (სააგენტოს სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა) ისე საზედამხედველო (საქმიანობის კონტროლი, ძლიერი კორპორატიული მმართველობის უზრუნველყოფა, და სტანდარტების დადგენა, ეთიკა და ღირებულებები, რომლაც ეფუძნება სააგენტოს საქმიანობა და კულტურა, რომელსაც სააგენტო ქადაგებს) ფუნქციებს. იხილეთ გაერთიანებული სამეფოს მთავრობა, „ეროვნული სისხლის სამართლის სააგენტოს საბჭოს საქმიანობის პირობები“, ვებგვერდი, www.nationalcrimeagency.gov.uk/publications/539-nca-board-terms-of-reference/file. დამატებით, სააგენტოს საქმიანობას აკონტროლებენ გარე და დამოუკიდებელი მაკრატლები სხვა და სხვა ინსპექციები, ისევე როგორც საჩივრების დამოუკიდებელი კომისია და სხვადასხვა საპარლამენტო კომიტეტები.

255 მას შესაძლოა ყოფილი პატივსაცემი მოსამართლე გაუძღვეს, რომელსაც საჩივრის პროკურატურაში გადამისამართების უფლებამოსილება ექნება, თუკი საჩივარი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს.

256 მექანიზმის დავების განმხილველი საბჭოს თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს ნებართვა უწყებისგან მოითხოვოს ინფორმაცია და ასეთ მოთხოვნაზე უარის თქმა არ უნდა იყოს შესაძლებელი არც ერთი საფუძველით.

იმის გათვალისწინებით, რომ დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნა ბევრ მნიშვნელოვან საკადრო, სასწავლო, მასალების და ფინანსური რესურსების ალოკაციას მოითხოვს, დასანანი იქნებოდა თუ ერთადერთი დამოუკიდებელი სისხლის სამართლის გამოძიება საქართველოში დანაშაულების ვიწრო ჯგუფით იქნებოდა შემლუღული, იმის მიუხედავად, რომ საჯარო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულები მძიმე დანაშაულია.

- **დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმს მიენიჭოს მის იურისდიქცია მიკუთვნებული, როგორც წარსულში ჩადენილი, ისე მომავლში გამოვლენილი დანაშაულების გამოძიების მანდატი და ისეთი საგამოძიებო სტრატეგია შეიმუშავოს, რომლითაც მექანიზმი თავიდან აირიდებს საქმეებით გადატვირთვას.**

გმსც-თან საუბრისას ბევრი რეპონდენტი გამოთქვამდა სურვილს, რომ წარსულში ჩადენილი კანონდარღვევების გამოძიება დამოუკიდებელ და სანდო უწყებას ეწარმოებინა. დამოუკიდებელი მექანიზმის უფლებამოსილების სფეროდან წარსულში ჩადენილი დანაშაულების გამორიცხვა ასეთი დანაშაულებისა და მათთან ასოცირებული მსხვერპლის უგულვებლყოფას ნიშნავს. მართალია თეორიულად ასეთი დანაშაულების გამოძიება არსებულ საგამოძიებო ორგანოებს და სახელმწიფო პროკურატურის ოფისს შეეძლება, სინამდვილეში ეს ნაკლებად სავარაუდოა, წარსულში ამ მხრივ არცთუ სახარბიელო მაჩვენებლის გათვალისწინებით. ეს სერიოზულად შეასუსტებს სამართლებრივ სახელმწიფოს და შესაძლოა კონსტიტუციით დაცული თანაბარი მოპყრობის უფლებაც დაირღვეს, რადგან ერთი და იგივე დანაშაულის მსხვერპლის მიმართ მოპყრობა არსებითად განსხვავებული იქნება. ასეთი მიდგომით შესაძლოა ასევე საქართველოს სახელმწიფოებო ვალდებულებებიც დაირღვეს.²⁵⁷

იმ წუხილთან მიმართებით, რომ შესაძლოა უკვე დაგვიანებულია წარსული საქმეების გამოძიება, რადგან განადგურებულია მტკიცებულებები, ზოგადად, ნებისმიერი სერიოზული და მეთოდური გამოძიების დასრულებამდე მტკიცებულებათა ნაკლებობა გარდაუვალია. მართალია ძველი საქმეები უფრო რთულია, მაგრამ ამჟამად გამოძიება მკიცებულებების არსებობის თაობაზე უნდა ჩატარდეს. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ ისეთ ქვეყნებში როგორც არის არგენტინა, გერმანია და გუატემალა სისხლის სამართლის დევნის განმახორციელებელი ორგანოებმა სასამართლოში ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები წარადგინეს 1980-იან, 1970-იან და კიდევ უფრო შორეულ მე-20 საუკუნის შუა წლებში.²⁵⁸

მართალია გმსც-ი იზიარებს წუხილს, რომ შეთავაზებული მექანიზმი საქმეების მოცულობით არ უნდა გადაიტვირთოს, ამის თავიდან არიდება სათანადო საგამოძიებო სტრატეგიის განვითარებითა შესაძლებელია. გამყოფი წერტილი უნდა იყოს იმის გააზრება, რომ ყოველი საჩივრის გამოძიება არ არის შესაძლებელი.²⁵⁹ სისხლის სამართლის დევნის ყველაზე სათანადო შეფასების კრიტერიუმი სიმძიმის ზღვრის განსაზღვრა და შესაბამისი მოსაზრებების გამოყენება იქნება. სავარაუდოდ პრიორიტეტი ყველაზე მძიმე საქმეები უნდა იყოს. უპირველესად მექანიზმმა საქმეების დატვირთვა მის არსებულ რესურსებს და პერსონალს უნდა შეუსაბამოს.

257 გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის ოფისი, რატიფიკაციის მდგომარეობა

ინტერაქტიული ინსტრუმენტების დაფა, ვებგვერდი, <http://indicators.ohchr.org/>

258 კო-მარი ბურტი, „CREOMPAZ-ის დასკვნითი სხდომა; ტრიბუნალი საქმის სასამართლოში განხილვის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას“, მართლმსაჯულების საერთაშორისო მონიტორი, 7 ივნისი, 2016 წელი, www.ijmonitor.org/2016/06/creompaz-hearings-conclude-tribunal-to-determine-if-case-goes-to-trial/; უკი გონი, „არგენტინის სასამართლო ოპერაცია კონდორის შეთქმულებაზე იღებს გადაწყვეტილებას“, The Guardian, 26 მაისი, 2016 წელი, www.theguardian.com/world/2016/may/26/operation-condor-trial-argentina-court-death-squads; ქეთ კონოლი, „ჰოლოკოსტის მკვლელობის სასამართლო პროცესზე აუსშვიცის დაცვის თანამშრომელს 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს“, The Guardian, 17 ივნისი, 2008 წელი, www.theguardian.com/world/2016/jun/17/auschwitz-guard-reinhold-hanning-jailed-holocaust-auschwitz

259 როგორც წესი, საგამოძიებო სტრატეგია ორ უკიდურესობას შორის მერყეობს: ყველა საქმე გამოძიონ ან არ გააკეთონ არაფერი. ნებისმიერმა სტრატეგიამ აუცილებლად უნდა შეზღუდოს განსახილველი საქმეების რაოდენობა სიღრმისეული გამოძიების და სისხლის სამართლის დევნისათვის. მან უნდა გაითვალისწინოს საქართველოს დარღვევების ისტორია, წარსულის საგამოძიებო და სისხლის სამართლის დევნის სტრატეგიების ჩათვლით.

საქართველოს კონტექსტში არსებობს იმის მაღალი ალბათობა, რომ დამნაშავეთა შედარებით მცირე ჯგუფმა სხვადასხვა ინსტიტუციაში მრავალი მსხვერპლის მიმართ მრავალი დანაშაული ჩაიდინა. ამდენად, ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ყველა საქმის განხილვა არ იქნება საჭირო დიდი რაოდენობით დამნაშავეების მართლმსაჯულების წინაშე წარსადგომად. მეტიც, სალი გონება გვკარნახობს, რომ პრიორიტეტი დიდი ზეგავლენის და ავტორიტეტის მაღალი რანგის დამნაშავეების, ბრძანებების გამცემების საქმეებს უნდა მიენიჭოს.²⁶⁰

თანმიმდევრობის შესახებ

გარდამავალი მართლმსაჯულებს ღონისძიებები იშვიათად თუ განხორციელებულა ერთდროულად და გარდაუვალია ის, რომ მათი მოქმედების პერიოდი განსხვავებული იქნება. ზოგიერთი ზომის, მაგალითად სისხლის სამართლის დევნის, განხორციელება ბევრი წლის და დეკადის შემდეგაც კი ხდება. დროსთან დაკავშირებული საკითხები დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორც არის პოლიტიკური ნება, საჯარო მობილზაცია (ან მისი არარსებობა), უნარების და რესურსების არსებობა. საქართველოში, ზოგიერთმა ან ყველა ამ ფაქტორმა სხვადასხვა დროს გარდამავალი მართლმსაჯულების პროგრამის დაწყება შეაფერხა. ამ ანგარიშში შემოთავაზებული ზომები გარკვეულ თანმიმდევრობას გვთავაზობს. შესაძლებელია თავდაპირველად შემოთავაზებული ეროვნული დიალოგი და ეროვნული დოკუმენტირების პროექტი განხორციელდეს, რომელთა მიზანია ყველა დანარჩენი ინიციატივების ინფორმირება და ხელშეწყობა.

შემოთავაზებულ ზომებს შორის ბალანსი, თეორიულად შესაძლოა მათი დაწყებისთანვე შედგეს. შემოთავაზებული სიმართლის კომისიის შემთხვევაში გონივრული იქნება მისი პირველ რიგში შექმნა, რადგან მისმა დასკვნებმა და რეკომენდაციებმა უნდა განსაზღვროს ინსტიტუციური რეფორმები ყველა სექტორში.

შესაძლოა საწყის სამ ზომას საკმაოდ მოკლე მოქმედების პერიოდი ჰქონდეს, დარჩენილი ზომები ან უფრო ხანგრძლივი ან მუდმივი ბუნების იქნება. მართლმსაჯულების ხარვეზების კომპენსირება თითოეული საქმის განხილვას მოითხოვს და სავარაუდოდ მხოლოდ მაშინ შეწყდება, როცა ყველა საჩივარი დასრულდება. დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყება მუდმივ უწყებადაა ჩაფიქრებული, რომელიც საქართველოს ძალაუფლების ენდემურ ბოროტად გამოყენებასთან და რთულ დანაშაულებთან ბრძოლის შესაძლებლობით უზრუნველყოფს. რეპარაციისათვის აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო განათლება და ინკლუზიური რეგისტრაციის პროცესი. რესურსების შეგროვება და პროგრამის დაწყება უდავოდ გრძელვადიანი საქმიანობაა. ზოგადად, ინსტიტუციური პროექტები მათი ბუნების თანახმად გრძელვადიანი პროექტებია.

ეს გრძელვადიანი ზომები სავარაუდოდ ერთმანეთის პარალელურად წარიმართება. მეტიც, თითოეული მექანიზმი შესაძლოა ძალიან ფასეული აღმოჩნდეს, შესაბამის გარემოებებში, ინფორმაციის გაცვლით და ერთმანეთისათვის ინფორმაციისა და საქმეების გადამისამართებით.

260 ასეთმა ადამიანებმა ან გასცეს ასეთი დანაშაულის ჩადენის მითითებები, ან განსაზღვრეს პოლიტიკა, რომელმაც ეს დანაშაულები შესაძლებელი გახადა ან უარი თქვეს მათ შეწყვეტაზე.

ICTJ

Justice
Truth
Dignity

ICTJ New York
40 Fulton Street, 20th Floor
New York, NY 10038
Tel +1 917 637 3800
Fax +1 917 637 3900
www.ictj.org